ISSN 2298-0954

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

# არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 ლარი

1134/2
2016



2016/ივლისი
7 (249)

დევიდ ტროტერი

## ლიფტის კულტურული ისტორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


პროზა 1 სანდრო უგლავა | რიონის ზეიგენები

5 ჯოკერი

9 ვარდისფერი ტრუსიკი

პოეზია 14 ლელა სამნიაშვილი

18 პაატა შამუგია

20 ნანა აკობიძე

პერსონა 22 მარგარეტ ეტვუდი | ლექსები

26 ყალბი სისხლი

31 Lusus Naturae
*ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ*

თარგმანი 35 თაჰერე ალავი | სადგური
*სპარსულიდან თარგმნა მზია ბურჯანაძემ*

ესე 37 დევიდ ტროტერი | გზავნილი 29-ე სართულიდან
*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*

კრიტიკა 42 ლექსო დორეული | აღდგომა სიკვდილის გარეშე.
ხმაურის ისტორია.
თავბრუდამხვევი სიები.
სიკვდილი და სტატისტიკა.
„ველინები" და დუმილი.
პაროდიის საფრთხე.
Sacr Derrida!


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები:
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი: ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია



სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.


არილი - დასასვენებელი სიგრილეთა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დაფენილი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალხური


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან



© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია



ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



მწერალთა სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო უგლავა

# რიონის ზვიგენები



მოპლეტიას ეძახდნენ მისი სირბილის გამო, კი არ გაიქცეოდა, მოპლეტავდა ხოლმე.

სტადიონთან ცხოვრობდა, 13 წლის იყო მაშინ. ქუთაისში ვინც სტადიონზე დადიოდა, ყველა იცნობდა, სულ ჯუნგლებში იჯდა და იქედან "ბალეშიკობდა" ტორპედოს. "ჯუნგლებში" ვინც კარგად იგინებოდა, მარტო ისინი სხდებოდნენ, ტრიბუნა იყო ასეთი, დამტვრეული სკამებით.

მოპლეტიას ჰქონდა თანდაყოლილი მანკი: ტაშის დაკვრა არ შეეძლო, პირდაპირ იღლიიდან ეწყებოდა ხელის მტევნები, სამაგიეროდ ყველაზე კარგად იგინებოდა.

ჩვენც გვყავდა ჩვენი გუნდი, ჩვენც გვინდოდა ოდესმე ცენტრალურ სტადიონზე გვეთამაშა. იქვე კაუჩუკის მოედანზე ვეთამაშეობდით ხოლმე სხვა უბნელებს. მოპლეტია იყო ჩვენი მეკარე. მაგრად მეკარეობდა, სულ სახით იღებდა ბურთებს.

ტაშის დაკვრის გარდა კიდე ერთი პრობლემა ჰქონდა მოპლეტიას, რაშიც მოედნის ტერიტორიაზე ამოსულ ნაძვზე მიჭედებული ერთი

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული

შიფერის ლურსმანი შველოდა. იმ ლურსმნის დახმარებით ისე ადვილად ჩაიწევდა და ამოიწევდა შარვალს, კაცს შეშურდებოდა. სულ შარდის სუნი იდგა იმ ნაძვთან.

ფეხბურთი უყვარდა მოპლეტიას და ლიმონი. ლიმონის ლიმონათზე თუ იყო თამაში გოლს ვერ გაუტანდი.

მისი სახლი ჩემი სახლის პიდაპირ იდგა. მზე მისი მხრიდან ამოდიოდა და ნელ-ნელა უახლოვდებოდა იმ სახლის ჩრდილი ჩემს სახლს. ბავშვობაში ვფიქრობდი, სახლებიც არსებობენ კაცები და ქალები. მოპლეტიას სახლი შეყვარებული კაცი იყო, მიზნამდე რომ ცოტა რჩებოდა, მაშინ იხევდა უკან. მოპლეტიას რომ არ წყენოდა, იმიტომ ქონდა მის სახლს მოკლე ჩრდილი. ასე ვფიქრობდი მაშინ და სულ მეცოდებოდა.

მოპლეტიას მამა მეზღვაური იყო, ქუთაისელი მეზღვაური. კარგად არც ვიცნობდი და, მე მგონი, მოპლეტიაც არ იცნობდა. ერთხელ აკვარიუმი და აკვარიუმის ზვიგენები ჩამოუყვანა. მოპლეტია იძახდა ზვიგენებიაო, რიონში რომ გაუშვა დიდებიც დაიზრდებიანო, მარა მაშინ რიონში ერთი კამაზი მარილი უნდა ჩაყაროო.

რაც აკვარიუმი ჩამოუვიდა, უკვე ორი ადგილი იყო, სადაც მოპლეტიას ნახავდი -აკვარიუმთან და სტადიონზე. აკვარიუმის ფსკერი ხურდა ფულებით ჰქონდა მოფენილი, შიგნით ყრიდა, დედამისის შვილია და ვინმე ხელს ჩაყოფსო.

ერთ დილას გადავედი, ლიმონს კბეჩა-კბეჩით ჭამდა და ხურდების დათვლას ცდილობდა აკვარიუმში. რას გამოუვიდოდა, მარა სულ ცდილობდა. ბლომად კი ეყარა.

ლარიანი წითელი ბურთი უნდა ჩაგვედო ჩვეულებრივი ბურთის ტყავში, მძიმე კი გამოდიოდა, მარა სულ არაობას ჯობდა. ჩვენთვის მძიმე, მოპლეტიასთვის მწარე. მაკრატელი დავჭირდა და ძებნა-ძებნაში დედამისის ტუმბოჩკაში კაპრონის ძაფზე მობმული მრგვალი მაგნიტი ვიპოვე. არ ვთქვი. მერე იმ მაგნიტს ძაფი მივაჭერი და რამდეჯერაც დედამისს დავინახავდი, სხვა მხარეს ვიხედებოდი.

სულ უყვარდა ვილაცა, ხანდახან ერთად რამდენიმეც. ერთხელ შემჭამა, მეზობლის ტალავერზე გლიცინიები მომაპარინა, უზარმაზარი თაიგული გააკეთა და ჭავჭავაძეზე მაღაზია "ფუტკარში" (სადაც რკინეულობა იყიდებოდა) დეკოლტიანი გამყიდველი ქალისთვის მიმატანინა. ის იყო პირველი გახარებული ქალი, რომელიც დამამახსოვრდა და მაშინ აღმოვაჩინე, რომ დეკოლტე ზემოდან და დეკოლტე ქვემოდან ეს არის ცა და დედამიწა. დაღამებამდე იდგა მოპლეტია მაღაზიის წინ ჭადარს ამოფარებული და ვიტრინაში გამყიდველ ქალს უყურებ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომელიც რუდუნებით დაფოფინებდა თავის გლიცინიებს და მარცხენა ხელს წვრილი ლურსმნების ყუთში ურევდა. იმ ღამით მოპლეტიას დენდის კომპიუტერი გადავიტანე სახლში და მთელი ღამე თეთრად გავათენე, თუმცა შუქი მაინც არ მოსულა.

ტრუბადურა ჩვენი გუნდის ცენტრალური მცველი იყო და ამის გამო თამაში არ იქნებოდა, მოპლეტიასთან ბინძური სიტყვების დუელი არ ჰქონოდა. მოპლეტია სულ ჩაგრავდა, მარა სულ მართალი არ იყო. ტრუბადურა დადიოდა საყვირის დაკვრაზე და უკრავდა მელოდიას ფილმიდან "პასპორტი". შეიძლება სხვებსაც უკრავდა, მარა მოპლეტია რამდენი საყვირით დაინახავდა, სულ ამას აკვრევინებდა. შეძლო ეს ერთი მელოდია მთელი წელი ესმინა.

ტრუბადურა ოცნებობდა საკუთარ "სტადიონზე" და დიდ ისეთ საყვირზე, როგორიც, მაგალითად, ოლასკურას სასაფლაოს გვერდით მდებარე მუსიკალური საკრავების მაღაზიაში მარჯვენა კედელზე ტრომბონის გვერდით ეკიდა.

ჩვენს უბანში მხოლოდ ტრუბადურას ეზოში იდგა ორი უნაბის ხე და მხოლოდ ამ ორ უნაბს შორის იყო გაბმული ჰამაკი, რომელიც მე, მოპლეტიას და ტრუბადურას -სამივეს გვიძლებდა. ამ ადგილზე ყველაზე კარგად მოჰქონდა ნიავს გორდაძეების ეზოში მოყვავილე თეთრი ვარდების სუნი.

ერთხელ ჰამაკში ვზივართ, მოპლეტიამ თქვა "შენო" და ტრუბადურასკენ გაიხედა -

"შენო საორკესტრო საყვირი რო გქონდეს და ყოველ დილით საყვირით მაღვიძებდე, ხო მაგარი იქნებოდაო".

ტრუბადურას ისედაც მობეზრებული ქონდა მოპლეტიას უხვსიტყვაობები. "შენი ტრუსიკებიც რო მერეცხაო", მიუგდო და ადგა. მეც გამეცინა, მოპლეტიასაც და ტრუბადურასაც. მოპლეტიაც ადგა, უკნიდან დაუდგა და ყურში არც ისე ჩუმად უთხრა "საყვირი თუ გაჩუქე, პირიდან არც უნდა გამოიღოო". "პირიდან" ძალიან რო მეგონა გააცინებდათ, ისეთი რამის თქმა დავიწყე, ჰამაკი ჩამოწყდა და მოვიტეხე კუდუსუნის ძვალი. ერთი თვე ლოგინში გავატარე. ჰამაკში აღარასდროს ჩავმჯდარვარ. თურმე შიში მარტო სიყვარულს არ შეიქმნს.

ერთხელ ეზოში ვიჯექით მე და მოპლეტია. მამამისის ჯაყვით, რომელზეც memento mori ეწერა, თხილის წკნელებს ვთლიდი. ისეთი თეთრი ღრუბლები იყო ცაზე, ტანის გაქაფვა მოგინდებოდა.

- თავსიეა, - დამიძახა უცებ მოპლეტიამ.

- ოუ.

- სადაა თუ იცი ბევრი ფული?

- მოსკოვში.

- ნნ.

- თბილისში.

- არა.

- აბა?

- ლომის ტრაკში. მითხრა გაბრაზებით.

- ლომის ტრაკში არა...

- სადაა ლომი თუ იცი?

- მოსკოვში

- ...

- თბილისში.

- ფუ რა სლეა, - უთხრა თავის მარცხენა ბეჭს - თბილისში ლომებს რა უნდათ? ამერიკაში.

- ზოოპარკი? შე სირო - და სანამ პასუხს მოიფიქრებდა - ხილი გაქვს რამე? ვკითხე.

- კი, ლიმონი... აკლია.

- რას?

- აკვარიუმს.

- მერე, ჩაამატე.

- ფული აკლია ბიჯო.

- ზეიგენები შეჭამდნენ - ვუთხარი იმისთვის, რომ რამე მეთქვა.- ლომები ვერ მიგეპარებოდნენ, დავაყოლე ფხუკუნით. სიტყვა არ დაუძრავს, უბრალოდ ისევ იმ სახით, ისევ მარცხენა ბეჭზე დაიხედა და კი არ გადააფურთხა, რაღაცნაირად გადაანიტა. ამ დროს ღრიალი გავიგონე. მთვრალი მამაჩემი მეძახდა. წამოვდექი. "- გინდა ლიმონი?" - მომაყოლა უკან.

- არა.

ზუსტად 78 ლარი და 50 თეთრი იყო, დაახლოებით დედაჩემის სამი თეის ხელფასი, დიდ ოცთეთრიან პარკში ერთ მესამედამდე ეყარა და მოპლეტიას ჰქონდა ბეჭზე გადაკიდებული, თავის პატარა, მარცხენა ხელით. ჩემთან იყო მოსული სახლში, მე მაგიდას ვუჯექი, რომელზეც მოჭრილი ფრჩხილები ეყარა და მოპლეტიას თვალს არ ვაცილებდი. "სალოლ შენ", ამოვღერღე ბოლოს, მარჯვენა ხელზე ფრჩხილების მოჭრა მეორე დღისთვის გადავდე, მაგიდა ხელით გადავწმინდე და ოლასკურას სასაფლაოსკენ წავედით...

- გამომართვი რა, ნამეტანი დამძიმდა, მითხრა მოპლეტიამ.

- ტრუბადურა კვერცხს დაემგვანება ისე გაუხარდება, ვუთხარი და დიდი, ოქროსფერი საყვირი გამოვართვი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მოვდიოდით მე და მოპლეტია და ხალხის თვალი ჩემზეც ჩერდებოდა.

- როდის უნდა მისცე?

- როცა ვნახავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვირი ჩემთან შევინახეთ და ქუჩაში ველოდებოდით, როდის გამოჩნდებოდა ტრუბადურა. სიცხე ნაძვების ქვეშ ვერ შემოდიოდა. "კენ-გუ-რო-ჩიკს" ვთამაშობდით მე და მოპლეტია ჩრდილში, ტრუბადურა რომ გამოჩნდა მის ორ კლასელთან ერთად. სამივეს გაკეცილი, შავი პაპკები ეჭირათ და სიცილ-ხარხარით მოდიოდნენ. თამაშს თავი დავანებეთ და ტრუბადურას დავუძახეთ. სამივე მოვიდა, სიცილი არ შეუწყვეტიათ. "ზდაროვათ, ზდაროვათ, და ერთმა ახსენა ვენერაო, ტრუბადურამ მოპლეტიას შეხედა და ხარხარით ვენერა ქუთაისელიო თქვა. კვდებოდნენ სიცილით. მოპლეტიას შევხედე, შტერიეით იდგა და სახეზე გაურკვევლობა ეწერა. მეთქი ამ ბებიაჩემის სახელს ტრუბადურა ახსენებს ახსენებს, ჯანდაბას, მარა ესენი სიცილით რას კვდებიან. ჩვენ არ ვიცინით. მოპლეტიას გავხედე შუბლზე "რაის ვენერა" ეწერა. თავი მე უფრო დიდი მქონდა, ვიდრე მოპლეტიას და შესაბამისად, ტვინიც მეტი მექნებოდა. ესენი ბებიაჩემს დასცინიან და იმ სამიდან, რომელიც ყველაზე ჩემიანი იყო, მივედი და ამხელა თავი პირდაპირ კბილებში ჩავარტყი. წასკდა სისხლი გახეთქილი ტუჩიდან. გამოვიქეცი, მოპლეტიამაც ადგილიდან მოპლეტა. მე ვიგინებოდი, მოპლეტია ხმას არ იღებდა. თითქოს რაც მოხდა კი არ მოხდა, ჩვენ წარმოვიდგინეთ. საღამოს უკვე იმას ვნანობდით, იმ ფულით ბევრი ტყავის ბურთი რომ არ ვიყიდეთ.

მოპლეტია მომიტრიალდა უცებ და მოდი, ზვიგენები რიონში გავუშვათო. ერთი კამაზი მარილი სად ვიშოვოთ-თქო და, აკვარიუმში ძლებენ უმარილოდ, რიონში რავა ვერ გაძლებენო. რას ვერ გაძლებენ-თქო და, მოპლეტიას ოთხი ზვიგენი ცელოფნის ოთხ პარკში ჩავსვით და რიონისკენ დავაწექით. ბნელდებოდა.

- ყველა ცოცხალია?

- კი.

რიონის პირას ძველი წისქვილის ნანგრევებზე ტკბილი ბროწეული როა ამოსული, იქ ავძვერით და იქედან ვაგდებდით წყალში ზვიგენებს. სამი თვითონ გაუშვა, ერთი ძლივს გამაშვებია მე. სამაგიეროდ, ჩემმა ყველაზე სწრაფად გაცურა. ერთხანს ვუყურებდით, თუ გამოჩნდებოდა რომელიმე, მარა რიონი ადიდებული და ძალიან მღვრიე იყო.

- ახლა რას შეჭამდი? მკითხა მოპლეტიამ. პასუხი არ მაცადა, ჯიბე ჩემკენ გამოწია - ერთი შენ, ერთი მე. ორი ლიმონი იყო. მივეცი თუ არა, ისე ჩაკბიჩა, ქვედა ყბები ამეწვა, მე მხოლოდ დავსუნე, გაისად უკვე დიდები იქნებიან-თქო, ზვიგენებზე ვთქვი და ნანგრევიდან ჩამოვხტი, - სახლში წავიდეთ, თან აცივდა ცოტა, ვთქვი და შარვალი დავიფერთხე.

მერე დიდხანს ვიხსენებდი, გავიგონე თუ არა წყლის დგაფუნი, მარა ვერაფრით გავიხსენე გამეგონოს. მოპლეტია ნანგრევზე აღარ იჯდა, ბროწეულის ძირში ჩაკბეჩილი ლიმონი ეგდო. რიონი ჩვეულებრივი რიონი იყო, ნაპირზე სულიერი არ ჭაჭანებდა. მე შტერმა იმის მაგივრად, რიონის ნაპირს ჩავყოლოდი, იქნება თვალი მომეკრა და რამე მეღონა, სახლში გამოვიქეცი და დედამისთან მივვარდი. კივილი, კივილი, კივილი. მთელი ღამე რიონის ნაპირზე ვეძებდით, თითქმის რიონჰესამდე ჩავედით მთელი სამეზობლო, მაგრამ ტყუილად. მეორე დღეს ტრუბადურამ მოიტანა ერთი პლასტმასის შიპიანი მწვანე ბუცი, რომელზეც ოთხჯერ შემაბნევია თასმა წინა დღით მოპლეტიამ. ყველაზე ბოლომ ტრუბადურამ გაანება თავი მოპლეტიას ძებნას, მეორე ბუცი როცა იპოვა რიონის მეორე ნაპირზე, ნაწისქვილარიდან ერთ კილომეტრში. იმ საღამოს მივეცი მოპლეტიას ნაყიდი საყვირი. მე მეგონა თვალები მაინც აუწყლიანდებოდა. არა.

ორი კვირის თავზე, 9 საათზე, საინფორმაციო გამოშვებაში, ძალიან ლამაზმა ჟურნალისტმა კმაყოფილი სახით გამოაცხადა, რომ ვანის რაიონში რიონს გამოურიყავს უცნაური არსების გვამი, რომელსაც ხელების მაგივრად ფარფლები ჰქონია და ქართველი იხტიოლოგების აზრით, მამრობითი სქესის უნდა ყოფილიყო.

ამის შემდეგ ტელევიზორისთვის არ მიყურებია.

იმ ღამით მამაჩემი მთვრალი იყო და ბუინობდა. სახლიდან გამოვიპარე, რიონის პირას გავიქეცი, ნანგრევზე ავძვერი, ბროწეულის ძირში ჩამოვჯექი და ხან ვტიროდი, ხან წყალს ვუყურებდი, ხან ცას. მოპლეტია ამოყავი თავი წყლიდან-თქო, ვჩურჩულებდი. მერე ჩამეძინა.

კანკალმა გამაღვიძა, ძალიან ციოდა. ხელები ფეხებზე რამდენჯერმე მაგრად ავისვ-ჩამოვისვი. რაღაც ნაცნობი ხმა მომესმა. ყურები დავძაბე, მელოდია იყო, მოპლეტიას რო უყვარდა ის. მუსიკა მომიახლოვდა, გვერდი ჩამიარა და რიონს დაუყვა ქვემოთ. მთელი ტანი დაბურძგლული მქონდა, ოღონდ არა სიცივისგან.

ჩამოხტომა მინდოდა ნანგრევებიდან და ტრუბადურას მინდოდა გავკიდებოდი, ოთხი პატარა ფარფლი გამოჩნდა წყლის ზედაპირზე. ისე ახლოს იყვნენ მოსული, ყველა გავარჩიე. ლაღად ცურავდნენ, ყურადღებასაც არ მაქცევდნენ. ერთხანს იქვე იტრიალეს და უცებ კი არ ჩაყვინთეს, ან გაიქცნენ, ან გაცურეს... მოპლეტეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯოკერი




გამარჯობა მეგობარო...

მე ჯოკერ მეთოთხმეტე ვარ, მამაჩემი მეცამეტე იყო და ბაბუაჩემი მეთორმეტე. გაგიკვირდება და კედლიდან ცამეტი ჯოკერი არ მიყურებს. ვცხოვრობ ქალაქში, სადაც ადრე წაგლეჯა იყო, ახლა შეტენეაა. სად ჯოკერი და სად საქართველოო ნუ იტყვი, იყო დრო, ჩემი მეზობელი ერეკლე ბათუმის კერასინკაზე ითბობდა, ბოდიში და, ტრაკს. თვითონ მითხრა. მოდის ხოლმე ჩემთან, ბანქოს ქაღალდი უჭირავს ხელში და ჯოკერი მეთამაშეო მეწვენება. მე კარტს რანაირად მომიგებს, მარა თავხედია და რა ქნას. ჯოკერს ოთხი კაცი უნდა? იაპონურს ვთამაშობთ, ბატონო.

სულ ნაგებული კი გადის ისე ჩემგან. ტყავს გაგაძრობო და მათრახს გავიკეთებო, მემუქრება. სანამ მაგი ტყავს გამაძრობს, მანამდე კი ეჭამ აგერ მოგებულ ჩხირებს. გუშინ ეკლესიაში სანთლები დავანთე. გუშინწინ ერთმა ჩახედულმა კაცმა მითხრა, კაცის პორტრეტი, რომელსაც მთელი ცხოვრება, გულის ჯიბით ვატარებ ავგაროზად, ვინმე ალექსანდრე ნეველის ყოფილა. დღეს კი შენ გიპოვე და ულრმესი მადლობა ღმერთს... და კიდევ დიდი მადლობა, რომ ასეთად გამაჩინა. რატომ იცი? იმიტო, რო ქე რო მაგარი ხალხი არიან, ქე რო ძაან მაგარი ხალხი არიან, იმათ ჩემი მისვლა უფრო უხარიათ, ვიდრე სტუმრის.

სტუმრობაზე გამახსენდა, ამ ერეკლეს ცოლი ყავს, აუ... კიბეებზე რო ჩამოსხდებიან, ავუველი, ჩავუველი, ავუველი, ჩავუველი, ბიჯო, რა ძუძუები აქ! ერეკლე ახლა მეფეა, ტუზიც არაა და მინდა რომ ცოლის მზერა დაეიჭირო და ვანიშნო, ჯოკერი ვარ მე და შემიძლია ყველაფერი, მარა არაფერი გამომდის. ნუ გაგეცინება, მე კიდევ რა ვარ, მამაჩემი და ბაბუაჩემი მთლად "კოზირების მტრები" ყოფილან. ქალები ხო იცი რა სულელებიც არიან? ცრემლებით აქვს სავსე თვალები და მარილიან ჩხირებს აჭმევს მის ქმარს. პრინციპები და თავმოყვარეობა მეც მაქვს, დამაა და ხო არ მოვჯოკრავ, მაგათთან მარტო ქვევიდან...

ისე, რაღა დაგიმალო და, ეს ტუზები ნერვებს მიშლიან, დადიან გაბღენძილები და ყველა მოკრძალებულად ექცევა. იმ დღეს ერთს თავში რო ვრეკე, დამიჭირეს. ავუხსენი, ჩვენ, ჯოკრები, მაგისთვის ვარსებობთ, რომ ასეთ თავხედ ჯიკოებს მუსრი გავავლოთ-მეთქი. შემოიყვანეს ტუზი გახეთქილი თავით, მოჰყვა მეფე, მოჰყვა ქალი და მე ერთი რას გავაწყობდი, გაიტანეს თავისი. აი, შენ ხომ კარგად იცი, ათიანის მერე ხომ ყველა ადამიანები ვართ, ტუზები ჩვენ შორის რას აკეთებენ? ეგენი ხომ ადამიანები არ არიან? რევოლუციის დედა რომ ვატირე, ჰქონდათ მაგათ თავისი ადგილი. რას იზამ, დრო იცვლება, რევოლუცია ყველასთვის ცუდის კარგით შეცვლა როდია. ტყუილა ამბობენ, დრო კარგი მასწავლებელიაო. ცუდია. ყოველთვის მაშინ გვასწავლის, როცა გვიანაა...

ჩემ ქალაქზე რა გითხრა...

ისე გაკეთდა ჩემი ქალაქი, ჯოკერი მორჩა. თავს მაინც ვიმშვიდებ, ჩემო მეგობარო, წინ იმდენი დარიგებაა...

დღეს დილით ერეკლე შემოვიდა ისევ ჩემთან. ანი ლირი დამიძახეო, მითხრა, ერეკლე აღარ ვარო. ამას მე მასხარა ვგონივარ. ერთ ბედნიერ დღეს გამეფებული მეფეების არ მწამს. წააგო კიდევ და კიდევ შემპირდა გატყავებას.

მე დარწმუნებული ვარ, შენ ძალიან განათლებული იქნები. მიყვარს განათლებული ხალხი. ვგიჟდები მათთან საუბარზე. ახლა კი ვფიქრობ, ნეტა რაც კარტის თამაშში დრო ვხარჯე, წიგნების ფურცვლაში მაინც მეხარჯა-თქო, თუ კითხვაში არა... ეს ერეკლე კიდევ იცი რანაირია? აი, რომ ხედავ კაცს, განათლებულია, მაგარი ნასწავლია, რომ ეტყობა შენზე მეტი რომ იცის და მაინც რომ არ გევასება, რა. ყველა ხო მაგრად გევასება, მაგრამ ეს იმნაირად განათლებულია, რომ მაგრად არა, რა. მარა შენ რას გიხსნი, ჩემზე კარგად გეცოდინება, მასეთები დედაქალაქში რომაა ისე უნდა.

ჩემი ჰობი ფოკუსების კეთებაა.

საყვარელი მსახიობი - ჰიტ ლეჯერი.

საყვარელი მუსიკოსი - პიტერ კრისი.

საყვარელი რიცხვი - 54.

საყვარელი არ მყავს...

ეროვნული

ერთი საათის წინ ფანჯარასთან სტუდენტები იდგნენ, სიგარეტი ვთხოვე, გამომკითხეს ვინ ხარო, რომ გაიგეს, ერთმა მითხრა, შენ რადგან ქუთაისელი ხარ და ჯოკერი, შავი იქნებიო და გამიხარდა. თუ შავი ვარ, ესე იგი, წითელიც იქნება სადღაც. თბილისშიაო. მისამართიც მომცეს ასათიანის 10-ში.

ჩემო ძმაო, ისე გამიხარდა შენი არსებობა. იმედი მაქვს ამ წერილს რომ მიიღებ, მაშინვე მოიმარჯვებ "პასტა-ფურცელს" და მომწერ. როგორ მინდა შენთან საუბარი, ნეტავ იცოდე. დავილალე უკვე იმ ნაპრალებზე ხტომით, რომლებიც ჩემსა და ხალხს შორის მხვდება.

არავის უთხრა, ამ ბოლო დროს სიკვდილზე მეფიქრება. უფრო სწორად, სიცოცხლეზე. დიდი ხანია უკვე ქალაღდს ვანიჭებ ისეთ აჩქარებას, კანის გასერვა რომ თავისუფლად შეუძლია.

ჯოკრები ძალიან გულჩვილი ხალხი ვართ, რადგან არავის უნახავს ცრემლით აზელილ სალებავში მოთხვრილი ჩვენი სახე, ამიტომ არავინ დაფიქრებულა ამაზე. ფიქრი ნანახის შესახებ ხომ უფრო ადვილია...

დარწმუნებული ვარ, ჩემზე სიმპათიური იქნები და ბევრი დამა გეყოლება წაყვანილი ნეტარების ჩანჩქერთან. არ ვიცი დაკვირვებიხარ თუ არა, მაგრამ მაგ ჩანჩქერთან მისულ ქალებს განსაკუთრებულად უყვართ ხავსზე ჩაჭიდება, ვითომ ჩანჩქერის ქვეშ, ან პირდაპირ წყალში, ნაკლებ სასიამოვნო იყოს...

ჩემო ძვირფასო წითელო ჯოკერო, ჩემო ტყუპისცალო, მე ვაცხადებ:

ყველა შენი და შენი ქვეყნის მტერი, ყველა სიბინძურე, რაშიც ცხოვრება და რისი კეთებაც გიწევს, ყველა წამალი და მედიკამენტი, რომლებიც გაიძულებენ დაწვე, ცინიზმს და ნიჰილიზმს ამოფარებული ყველა კიკო-ტუზი, ყველა ჯაერი, რაც გულზე გაწევს და სინანული მოუსწრებლის და დაგვიანებულის გამო, ყველა შენივე თავის ღალატი, უძილო უსიზმრო ღამეები და ტყუილად ლოდინი... ყვავმა წაიღოს!

როგორც კი ამოვარდება, მაშინვე გამოვატან ამ წერილს ქარს. იმედი მაქვს მიიღებ და აუცილებლად მომწერ.

ჩემი მისამართია ქ. ქუთაისი. ბარათაშვილის ქუჩა, ნომერი 101. სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი...

ან მარად შენი ერთგული,
ჯოკერ მეთოთხმეტე შავი.

* * *

გამარჯობა, მეგობარო!

გამიხარდა შენი წერილი.

მართალი უთქვამთ სტუდენტებს, ვარსებობ, მაგრამ არა იქ, სადაც მათ გითხრეს, შეგნებულად არ ვწერ მისამართს, ქარმა იცის და მას გამოატანე ხოლმე. მე წითელი ჯოკერი ვარ, უფრო სწორად, ხალხი მეძახის ასე. მე ვთვლი, რომ ბრონეულის ფერი ვარ. მამაჩემი ბრონეულის ყვავილის ფერი იყო, ბაბუაჩემი - ცის. მაქვს ბაბუაჩემის მოქსოვილი ფერადი ქუდი, მყავს თეთრი თაგვი, სახელად კაენი და საყვარელი - სახელად მარტა. მარტა ჩემი ტოლია. შავი თმა აქვს და მხოლოდ მარჯვენა მკერდი. როგორც მიხვდი, ამორძალი არ არის, უბრალოდ ხანდახან მებრძვის ხოლმე. როცა კაცები ვერ კაცობენ, ქალები გვებრძვიან. შენ კი იცი, რა დასანანია დამის მოჯოკვრა, როცა ტუზებიც გეგულებიან. თაგვსაც და საყვარელსაც სახელები მე დავარქვი. კაენი იმიტომ, რომ პირველი თაგვია დედამიწაზე, რომელიც აკეთებს იმას, რაც არც ერთ თაგვს არ უქნია. ჩემს წამლებს ვაჭმევ. ჰოდა, ხანდახან მელაპარაკება ხოლმე. იმ კაენმაც ხომ პირველმა ჰქნა ის, რაც მანამდე არავის გაეკეთებინა. ჩემი მარტა გულია, უფრო სწორად, ცარიელი გული. უკვე დიდი ხანია ერთად დავდივართ ნეტარების ჩანჩქერთან. მეუბნება, რომ ჩემს ტუჩებს ბრონეულის ფერი აქვს. ხანდახან მარტა რომ წავა ხოლმე, ჩემს კაენს გულზე დავისვამ და ვუსმენ, მიმტკიცებს, რომ კაცის სასქესო ორგანოსა და ტვინს შორის არის უხილავი მილი, რომელიც ამავე გზით ტვინის ორგანიზმიდან გამოყოფას იწყებს ბევრი სექსის დროს. ჩვენ ხომ უბრალოდ კაცები არა ვართ, ჩვენ ჯოკრები ვართ, ამიტომაც უხილავი ხვრელების არ მეშინია.

დაწესებულებაში, სადაც მე ვარ, ზუსტად ისეთივე სიტუაციაა, როგორიც შენთან, ამიტომ ამის მოყოლას არ დავიწყებ, მოგიყვები, როგორ მოვხვდი აქ. დიდი ხნის წინ, როცა ერთი დამა შემიყვარდა, სისუსტე გამოვიჩინე და ის, რაც მე უნდა წამეღო, მას გავატანე. შედეგად ლოგინი მივიღე. მოკლედ, ჯოკრებისთვის სიყვარული ლოგინით არ უნდა დამთავრდეს, თორემ ხიშტზე წამოგება არ აცდებათ. ამას კი ის შიში უწოდეს, რომლისგან დამალვაც თურმე მხოლოდ ამ შენობაში შეიძლება. მოკლედ, იმ ავადსახსენებელი დღის შედეგ, ხიშტებისგან მიღებული ჭრილობები ახლაც მტკივა ღრუბლიან ამინდში. ასეთ დროს მარტა ნაიარევებზე მისვამს ენას და ჩემი კაენი აღმოსავლეთის ზღაპრებს მიყვება ძილისთვის. ამის გამო ორივე ჩემს სიცოცხლეზე მეტად მიყვარს.

თითქმის ყოველ ორშაბათს წერგს ვრგავ ეზოში. ყოველ მეორე დღეს კი გამხმარი მხვდება. ახლა ორშაბათსაც უნდა დავრგო. ჯობია ათასჯერ დარგო და ყოველთვის გახმეს, ვიდრე არასდროს დარგო. მეც ვრგავ და მეორე დღეს ნაგავში ვაგდებ. დამღლელია სიახლის ძებნა, როცა ძველმოდური ხარ. ძველმოდურ ჯოკრებსაც ხომ გვაქვს უფლება, ენდორფინები გამოგვეყოს? ბედნიერი კიდევ, ჩემი აზრით, ცხოვრება მაშინაა, როცა იხსენებ. სრულიად შესაძლებელია აწმყო ბედნიერი გახდეს, თუ წარსულად გადაიქცევა. სიყვარულიც ხომ მოსაწყენია, როცა მხოლოდ სიყვარულია და მეტი არაფერი. არ მიყვარს მოწყენა. მე და მარტა არასდროს ვიწყენთ. ორივე დავსხდებით ხოლმე და კაენის ისტორიებზე ვტირით. ძალიან გთხოვ, დაიჯერე, რომ ჩემი თეთრი თაგვი ლაპარაკობს. ოდესმე პირადად გაგაცნობ და მაშინ ნახავ.

გუშინ ისეთი რამ მოხდა, რაზეც მთელი დღეა თავს ვიმტვრევ. ვერც კაენი და ვერც მარტა ვერ დამეხმარნენ. მე და ჩემი საყვარელი ეზოში ბორდიურზე ვისხედით, მარტა მეუბნებოდა, რომ თურმე ადამიანები ნახევარ მთვარეს გვანან, როცა მარტოები არიან და სავსე მთვარეს,– როცა ვინმე შეუყვარდებათ. მერე გინდა თუ არა, ბადრის დაგიძახებო და მე გამოვუტყდი, რომ ნამდვილი ჯოკრები ჩვეულებრივი ადამიანები ვერასდროს გახდებიან, რადგანაც პეპელა არასდროს დათანხმდება მატლად გადაქცევას, რა ფრენის ემხს შეიგრძნობს. ამაზე მარტა სიცილით მოკვდა. მითხრა, რომ ჭუპრში უფრო სიმყუდროვეა, ვიდრე ნებისმიერი ყვავილის ბუტკოზე. ამ საუბრის დროს ალუბლის ხეზე შაშვი შემოგვიჯდა. უსტვინა, იჭიკჭიკა, იგალობა და ვერაფერი ვიგრძენი საერთოდ. საღამოს, ვახშმად, შემწვარი შაშვი მქონდა. ვიგრძენი, რომ გავძეხი. ჩემო მეგობარო შავო ჯოკერო, იქნებ შენ მითხრა, ჩვეულებრივ ადამიანებს ხომ არ ვემსგავსები?

ცხოვრება ისეთივე მოკლეა, როგორც "ცხრიანები" და ძალიან არ მინდა "მინუსებში" დამთავრდეს.

ძალიან გამიხარდა, რომ გამოჩნდი. ახლა, როცა უკვე ერთად ვართ, იქნებ მიუჩინონ თავისი ადგილი შავ "შესტიორკებს".

მარტა მოვიდა, ამ ბოლო დროს მუცელი სტკივა ხოლმე. მაპატიე, იმას რომ ვერ ვწერ, რისი დაწერაც მინდა.

გისურვებ გამარჯვებას მეფეებსა და კიკოებზე.

მუდამ შენი მეგობარი, ბრონეულისფერი ჯოკერი.

პ.ს. მთავარია შენი ქალაქი გაკეთდა... ყველაფერი მორჩენილი ზედმეტი ბარგია, ჯოკერის გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ასეც ვიცოდი. არავინაა მარტო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქალაქებს შორის კაი ხელა მანძილია, ვგრძნობ, რომ ჩემთან ხარ. ჩვენ გუშინ წინასაახალწლოდ მოვრთეთ ჩვენი ოთახები. საღამოს ექიმს მოვთხოვე, ბევრი ფერადი ბუშტი დაერიგებინა ჩვენთვის, იმდენი, რო ცა გაევსო და მათში გამოვლილი ფერადი მზის სხივებით განათებულ ქუთაისში დამდგარიყო ახალი წელი. ახლა არ შემიძლიაო. სამაგიეროდ შემპირდა, რომ მომავალ ახალ წელს აუცილებლად გვექნება უთვალავი ფერადი ბუშტი და ორმაგი ამიტრიპტილინის დოზაც გამიკეთა.

ხვალ ახალი წელი მოვა, ჩემო მეგობარო, გარეთ კი ისეთი მზეა, ტყემლები ყვავიან. მეფე ლირი, რომელიც წინა საახალწლოდ ცინ ში ხუანდი გახდა, მიმტკიცებს, რომ ყველა ახალი წელი ყალბია, როცა ტყემლები ყვავიან. მერე ამაზე კარტი ვითამაშეთ. თუ მოგიგებ, მართალი ვიქნებიო... ჰოდა, არ არსებობენ ყალბი ახალი წლები, ჩემო მეგობარო, არსებობენ ყალბი ადამიანები ყალბი მორალით. ზუსტად ეგ ყალბი მორალია, ვირთხასავით რომ ცდილობს, მიეპაროს ჩემს მაჯებს და გადაღრღნას.

გუშინწინ ჩემს ექიმს ფონენდოსკოპი მოვპარე, საავადმყოფოდან გავიპარე და ძალიან ბევრ სახლს მივადე კედელზე. გული უჩერდება ჩემს ქალაქს ნელ-ნელა, ბრონწეულისფერო, გული უჩერდება ისე, რომ არ აწუხებს. როგორც შობაა ახალ წლებს შორის, ისე გაეჩხირა წარსულსა და მომავალს შუა და ველარ გაუგია, წინ რომელია. ფერადი ბუშტებით გადაესებულ ცას და ფერად სხივებს იქნება გაექრო ამდენი ვირთხა-მორალი. რა ძვირფასია შენი კაენი, თაგვი რომაა და არა ვირთაგვა.

წუხელ დამესიზმრა, თითქოს მწვანე სახურავისგან სილაგაწნული სპილენძისფერი გუმბათები მორიგეობით ხტებოდნენ ფერადი ხიდებიდან ისტორიაში, რომელიც სინამდვილეში ქალაქის ბოლოს მდებარე ნაგავსაყრელი იყო. გადავწყვიტე, აღარასოდეს გავიპარო კლინიკიდან და აღარც დავიძინო. თან მომბეზრდა შეცდომების გამოსწორება უფრო დიდი შეცდომებით.

ცინ ში ხუანდის ცოლი აღარ აკითხავს, შესაბამისად მარილიანი ჩხირებიც გაქრა. კარტის თამაშმაც მუღამი დაკარგა თითქოს. არადა ახალი წელი მოდის. მოწყენას არ ვიტყობ, სხვას რომ არ ეწყინოს.

ყველაფერში გეთანხმები გარდა ერთისა: არ არსებობს მარტო სიყვარული. ადამიანების გულები კი არსებობს სხვადასხვა მოცულობის.

ერთი კვირის წინ ცინ შიმ კედელში ამოსული პატარა ბრონწეული მოგლიჯა, კედელს არღვევსო. ახლა ფანჯრიდან ვხედავ, ისევ ამოუყრია. აყვავებული ტყემლების მაგივრად ფიფქებით დაფარული ხეებია. ისევ გავასხარი დროს. გული დამწყდა... მაინც თბილი ახალი წელია ჩვენთან.

მარტას ლოყაზე აკოცე და უთხარი, ყველა ტკივილის საზღაური ბოლოს სიხარულია. კაენს უთხარი, ოდესმე აუცილებლად გავიცნობ. მესმის რომ შეუძლებელია, მაგრამ მაინც ძალიან მინდა ქუთაისში მესტუმროთ. მოკლედ, როგორც ერთმა ჭკვიანმა თქვა, იცხოვრეთ ისე, როგორც ცხოვრობთ: კეთილად, უბოროტოდ, სიყვარულით და სიკვდილის მერე მოხვდებით ქუთაისში.

ოპტიმიზმი ყველაზე რეალურია.

ახალ წელს გილოცავთ!

მარად შენი მეგობარი

ჯოკერ მეთოთხმეტე შავი.

* * *

გამარჯობა მეგობარო... ჩემო სულისმიერო ძმაო.

როგორც ჩანს, ჩვენი ბედია, ერთიანებით დავიწყოთ და ერთმავე დავამთავროთ ეს არც ისე აზარტული თამაში, რომელიც ასე ტკბილია უბრალო ხალხისთვის.

ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი აირია ჯოკერ მეთოთხმეტევ. ყველა დარიგება არიეს. ღმერთმა ჩაიწყო.

ერთი თვის წინ, ორშაბათს, თოვდა, მე და[illegible]ში ხეს ვრგავდით, მარტამ აიჩემა, გინდა თუ არა ალუჩა დავრგოთო. ყინულივით ცივი მიწა სულ თითებით გაუფხვიერა და მიაყარა ფესვებზე, მე სანიტარს ვთხოვე და ერთი ჭიქა თბილი ჩაით მოვრწყე. მერე ერთხანს ვუყურეთ მე და მარტამ ჩვენს დარგულ ხეს და მარტამ თქვა, მუცელი ამტკივდაო, მე ვაკოცე, ხუთ წუთში ჩაიცუცქა, ხელები მუცელზე მოიჭირა და ისე თქვა მუცელი მტკივაო, მეც ჩავიცუცქე, მუცელზე ხელები შემოვიჭირე მარტასებურად და ახლა უფრო ნელა და ხანგრძლივად ვაკოცე. ასე ვიყავით ერთხანს ჩაცუცქულები და ახალდარგულ ალუჩას ვუყურებდით, ტკივილები წამოუვლიდა თუ არა, ტუჩებს გამომიწევდა ხოლმე, ზუსტად იმ პოზაში წაიქცა, როგორაც ჩაცუცქული იყო. მეც მივბაძე და ახლა მისი ამონასუნთქი პირდაპირ ზედა ტუჩზე მხვდებოდა. "მარტა.." ვუთხარი მე. "მტკივა.." მითხრა მან. მე მის ტუჩებს დავეწაფე. გაეღიმა. "მატყუებ", ვთქვი და მეც გავიღიმე. "კარგად დაიმახსოვრე ჩემი სახე და მომავალ ცხოვრებაში ნუ გამომეპარები", მითხრა. "მომავალ ცხოვრებაში ჩვენ კატები ვიქნებით", ვუთხარი მე. "ახლა მართლა მტკივა", თქვა და გაფითრებულ ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა. ის იყო მისი ცივ ტუჩებს შევეხე, კივილი ატყდა უკნიდან, თავზე რამდენიმე ექთანი და სანიტარი წამოგვადგა. ისე გამომათრიეს, ტკივილის გაყუჩებაც ვერ მოვუსწარი. "სტკივა", ვყვიროდი... "მაცადეთ", ფეხებს ვიქნევდი. თან მარტას თვალს არ ვაშორებდი. არ განძრეულა, შევხედე, როგორ მოარბენინეს საკაცე და შენობაში შეიყვანეს. მე აბები პირში ძალით ჩამტენეს და პალატაში ჩამკეტეს. თვალს მოეფარნენ თუ არა, ყველა აბი იატაკზე გადმოვაფურთხე. უცებ კაენი გამოძვრა საწოლს ქვემოდან და ჭამა დაიწყო. ცოტა დავმშვიდდი. ჩემი კაენი უღალატოა. გაძვრა, საათნახევრით დაიკარგა. ფანჯრის გისოსებს იქით თოვდა ბრონწეულისფრად, მოჩანდა თოვლში ბრონწეულისფერი აგურის ეკლესია, რომლის გუმბათზე, ბრონწეულისფერ ჯვარზე, ბრონწეულისფერი ყვავი ჩხაოდა. მოკვდა ჩემი ბრონწეულისფერი გული, რომელიც მარტაში ცემდა. ასეთი ამბავი მომიტანა კაენმა.

მოვგლიჯე რკინის სკამი, რომელიც იატაკზე იყო მირჩილული და კარს მანამ ვურტყი, სანამ არ გაინგრა. ხმაურზე ღიპიანი სანიტრები მოძუნძულებდნენ, ერთს ბეჭში მოვახვედრე სკამი, მეორე დამეტაკა და გადამაქცია, მისი ბიბილო კბილებში მოვიგდე და მანამ ვღეჭე, სანამ ვიღაცის მუჭი პირდაპირ ნიკაპში არ მომხვდა და გონება არ დამაკარგვინა. ერთი თვე უფანჯრო ოთახში ჩამკეტეს, არავინ შემოდიოდა ჩემთან, გარდა კაენისა. ჩაცუცქდებოდა ჩემ წინ და მარტას ამბებს მიყვებოდა. ჩემი გული თურმე იქ წავიდა, სადაც მუცელი არასოდეს სტკივათ, ოთახებში არ კეტავენ და პატარა ხეები არ ხმებიან. ელოდება თურმე მარტა, როდის დავაღწევ ამ ოთახს თავს და მასთან როდის გაეიპარები. კაენი ჩემი ნამდვილი მეგობარია.

დღეს დილით ხელებზე და ფეხებზე ერთმანეთზე ჯაჭვით გადაბმული ბორკილები დამადეს და ეზოში გამიყვანეს. წამლების და გაზაფხულის სუნი იდგა თბილისში. ბორდიურზე იმ ადგილას ჩამოვჯექი, სადაც მე და მარტას გვიყვარდა ჯდომა და პატარა, აყვავებული ალუჩის წინ ბევრი ვიტირე. როგორც იქნა გაიხარა ჩვენმა ხემ. მარტა დავარქვი ალუჩას.

ალბათ, ძალიან მალე გესტუმრებით ქუთაისში. . .

მარად შენი მეგობარი

ბრონწეულისფერი ჯოკერი

* * *

გილოცავ მეგობარო მარტას სიკვდილს, ბოლოსდაბოლოს, ეს ის გზაა, რომელსაც ყველა შევუდგებით, ნე-

ტა ყველა ლამაზად მოვკვდეთ. დარწმუნებული ვარ, იქ, სადაც ხეები არ ხმებიან, უფრო მეტი სითბოა და სიყვარული, მარტაც უფრო მეტ სითბოში და სიყვარულშია. ჩვენ ალბათ მალე შევხვდებით მარტას, რომელიც იასამნისფერ ბალახზე იჯდება, ნაწნავზე იადონი ეყოლება შემოსკუპებული და დები იმხნელების სიმღერას ილიღინებს. ყველაფერი მთავრდება ადრე თუ გვიან ჩემო ბრონწეულისფერო. ხალხი მოკლე სიცოცხლეებს უფრო იმახსოვრებს. მე ვამაყობ მარტათი და შენით ჩემო ბრონწეულისფერო.

გუშინ ჩემი ცინ ში ხუანდი იულიუს კეისარი გახდა. ისე მინდოდა 54 ჯერ დამერტყა დანა. მხოლოდ აგურის ორიანი ვესროლე. მაუბუქად გაეკაწრა ლოყა. ტირილი დაიწყო. ისე შემზიზღდა, ჩემი თავი მომაგონა. "შენც"? მეფლუკუნებოდა და ცრემლებს მაჯით იწმენდდა.

ქალაქი, რომელშიც გიჟებიც ტირიან.

არა... მეც არა.

ჩემი ქალაქი აღარ არის ჩემი, ჩემო ბრონწეულისფერო. ჩემი ოთახიც აღარ არის ჩემი. ჩემი თავიც აღარ არის ჩემი. ყველაფერი ისე მოხდა, შეტენვაში რომ ნაგერთმევა, ან ჯოკერში რომ გაიხიშტები.

როცა პატარა ჯოკერი ვიყავი, ყოველთვის ვოცნებობდი, მერე ოცნება მომწყინდა, იმიტომ, რომ ეხედავდი ჩემზე ოცნებობდნენ. როგორ მეზარებიან რეალისტები. როგორ მეზარებიან ადამიანები, რომლებიც წარმატებებისთვის ყველაფერს აკეთებენ. როგორ ვერ ვიტან ადამიანებს, რომლებიც კლავენ ყველაზე სათუთ და ნათელ გრძნობებს და ემოციებს. ლოყაგაკაწრული იულიუსი რომ ტიროდა, მივხვდი, რომ სულ ტყუილად ვერ ვიტან. ისინი არანაირ გრძნობებს არ კლავენ. მათ უბრალოდ არ აქვთ სათუთი გრძნობები. მაგათ რომ სათუთი ჰგონიათ, იმათში მხოლოდ პასი უნდა თქვა. არასდროს არაფერი შეგეტენება.

ერთი კვირაა ჩემს პალატაში პატარა, გისოსიანი ფანჯრიდან ღამღამობით ციცინათელები მოფრინავენ. ოთახს მიფერადებენ და იხოცებიან. დილით სანიტარი გვის და ტარაკნები ჰგონია. ახლა, როცა შენ გწერ, შემოფრენა დაიწყეს, თავს დამტრიალებენ. ხომ არიან ადამიანებიც ციცინათელებივით. თავისით ცხოვრობენ ანთებული, კვდებიან და ვილაცვებს ტარაკნები გონიათ. ან პირიქით, ტარაკნებივით ნახველში ცხოვრობენ, მოკვდებიან და ციცინათელებად ნათლავენ.

მოსაწყენია სიცოცხლე ოთხ კედელში. სხეულიც თავისებური ოთხი კედელია, ჩემო ბრონწეულისფერო.

ვერ წარმოიდგენ ამ წამს რა მოხდა, კარი გაიღო და ხელჯოხს დაყრდნობილი თეთრწვერა მოხუცი შემოვიდა ჩემს პალატაში. თეთრი ფაფახი ეხურა და ძალიან სევდიანი თვალები ქონდა, ისეთი აქცენტით ლაპარაკობდა, ძალიან მაღლიდან უნდა ყოფილიყო ჩამოსული, ერთხანს დამაკვირდა და დაკარგულ ცხვარს ვეძებო, მითხრა, თვალი მოვავლე ირგვლივ, მხრები ავიჩეჩე და ხელები გავშალე. თვალები უფრო აუწყლიანდა, კედელში გავიდა და ყველა ციცინათელა გაიყოლა. ერთხანს ვუყურე ღია კარს. წერას მოვრჩები და გავალ. ჩემო ძვირფასო ბრონწეულისფერო, დიდი ხანია ვიცი, რომ ყველა კარში არ უნდა შეხვიდე და რომ ყველა კარის გაღება შეიძლება, შემტვრევა მაინც. მე მინდა ვუსურვო ამ ქალაქს მშვიდი ძილი და მღელვარე ცხოვრება. იულიუსს ბევრი გამარჯვებები. ჩემს მთავარ ექიმს პენსია. შენ - მარტას ოქროსფერი თვალები.

მე იქ დაგხვდები, სადაც შენ მოხვალ.

მუდამ შენი ჯოკერ მეთოთხმეტე, შავი.

* * *

ყველაფერი გასაგებია და მისალები ჩემო მეთოთხმეტევ. ყველაფერს აქვს დასასრული, მათ შორის ჩვენს მიმოწერასაც. მე ვიცი, რომ ჩვენი მეგობრობაა მარადიული და მიხარია, რომ ჩვენი მეგობრობა იყო სიკვდილამდე.

ამ დილით ჩემი მკურნალი ექიმი შემოვიდა ჩემთან, წინ დამიჯდა, სათვალე მოიხსნა, დაორთქლა, მერე თეთრი ხალათის კალთით გაწმინდა, ძალიან პედანტურად გაიკეთა, საჩვენებლი თითით ცხირზე თვალებს შორის ჩაიჭირა. ჯიბიდან კარტის დასტა ამოიღო და დაიწყო:

თურმე აგური - და ამოიღო აგურის ათიანი - აგური ეს ყოფილა სიმბოლო სამსჭვალისა, იგივე ლურსმნისა, რომლითაც იესო ჯვარზე გააკრეს.

ყვავი - და ამოიღო ყვავის ათიანი - ყვავი ეს არის შუბი, რომელიც ჯვარზე გაკრულ იესოს ფერდში აძგერეს.

გული - ეს არის სიმბოლურად ის ღრუბელი, რომლითაც ძმარი მიაწოდეს ქრისტეს, როცა ჯვარზე გაკრულმა წყალი ითხოვა.

ჯვარი - ეს არის და ამოიღო ჯვრის ათიანი, რაზეც ქრისტე გააკრეს (მე სამყურა ბალახი ბედნიერების მომტანი სიმბოლო მეგონა).

მან მითხრა, რომ სიტყვა კოზირი თურმე ებრაული სიტყვაა (კოშერი) და წმინდას ნიშნავს.

და რომ თურმე კარტი მოიგონეს ცუდმა ადამიანებმა იმისთვის, რომ ღმერთი შეურაცხეყოთ. და რომ ჯოკერი მასხარა, იგივე ეშმაკია.

ჩემმა მკურნალმა ექიმმა მითხრა, რომ ბოლო რამოდენიმე ათეული წელია ამ შენობაში არავინ მომკვდარა და ჩემი მარტა რომ მოკვდა, ჩემი ჯოკრობის ბრალია. და რომ ჩემი კაენი იწვევს ანტისანიტარიას და ირგვლივ ყველგან ხაფანგია დაგებული. და აუცილებლად დაიჭერენ ჩემს კაენს. ამაზე ისე გამეცინა, ჩემს მკურნალ ექიმს ტუჩები დაებრიცა, წითელმანიკურიანი საჩვენებელი თითი დამიქნია, სათვალე მოიხსნა, ისევ გაიკეთა და სწრაფი ნაბიჯით გარეთ გაეიდა. კარტი ჩემთან დარჩა.

გადიოდა ოთახიდან შავკოლგოტიანი და თეთრხალათიანი ადამიანი, რომელიც შეიქმნა ხატად ღმერთისა.

ჩემო მეთოთხმეტევ, შენ იცი, მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს: რაც შეიძლება მალე წავიდე მარტასთან. ჩემი კაენის ზღაპრები მხოლოდ მარტასტან ერთად იყო საინტერესო.

დიახ, ეს იყო დილით და ახლა, როცა უკუნი ღამეა და ამ ღამეში ერთადერთი ნათელი წერტილი ჩემი თეთრი თაგვია. მე გავაკარი 52 კარტი კედელზე, ჯოკრების გარდა, 52 წმინდა სიმბოლო, რომელიც შეიქმნა იმისთვის, რომ ადამიანებს ღმერთი შეურაცხეყოთ თურმე და მე, ჯოკერმა, დავიჩოქე და ვთქვი:

"მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
წმიდა იყავნ სახელი შენი,
მოვედინ სუფევა შენი,
იყავნ ნება შენი,
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა,
პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს
და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა
და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა,
არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.
ამინ".

და გადმოფრინდნენ კედლიდან ციცინათელები და მოჰყვა მოხუცი შინდის ჯოხით და ფაფახით. ერთხანს მიყურა საოცრად წყლიანი თვალებით, ახლოს მოვიდა, კოჟრიანი ხელით მუდამ ცრემლიანი სალებავები მომწმინდა და მითხრა: საკმარისია.

და გამუქდა წითელი, გამუქდა და გახდა შავი. გამუქდა შავი, გამუქდა და გახდა თეთრი. და იყო სითეთრე და იყო შუქი და იჯდა მარტა იასამნისფერ ბალახზე, ნაწნავზე იადონი შემოესკუპებინა და დები იმხნელების სიმღერას ღიღინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარდისფერი ტრუსიკი



ასეთი სახით რო დაიბადები, მერე ალბათ მთელი ცხოვრება გაუგებრობაში უნდა იცხოვრო. შესიებული ყვრიმალები და ქუთუთოები, უპროპორციოდ დაბერილ-დაბრეცილი ტუჩები. ნახევრად ღია, სხივგამქრალი თვალები...

მაგრამ ცხოვრება, რა თქმა უნდა, მშვენიერია! ღმერთო, მაინც დიდი მადლობა, რომ ნათელმა შეცვალა ბნელი და გათენდა. კაცმა რომ თქვას, ენას ძვალი არა აქვს და რაზეც უნდა, იმაზე ინუნუნებს, თორემ ასეთი სახე შეიძლება წუხანდელი ლოთაობის ბრალიც იყოს.

თუ ვიკიპედიას დავუჯერებთ, საქართველოს მეორე სამრეწველო და კუტურულ ქალაქში, ან თუ არ დავუჯერებთ, უბრალოდ ქუთაისში სამი წლით წასული და სასწაულით დაბრუნებული კაცისთვის ლოთობა არც დასაძრახია და მით უმეტეს, არც საგანგაშო. ეს შეიძლება უბრალოდ თვითდამცავი მექანიზმი იყოს, რათა თეთრი ყვავივით არ გამოჩნდე ირგვლივ მყოფებში და შავი ნისკარტების მსხვერპლი არ გახდე.

იმათთვის, ვინც დაიბნა: კაი ხანია უკვე ქუთაისიდან წასულების უკან დაბრუნება ან მათ უჭკუობაზე მიუთითებს, ან სასწაულზე. ზემოთ ნახსენები სასწაული, ავტორის უმორჩილესი თხოვნით, ჩათვალეთ მის ოპტიმიზმად.

მე ვცხოვრობ ყველასთვის ცნობილი და საყვარელი მხატვრის, ალექსანდრე შმიდტის ქუჩაზე. მიუხედავად მცირე შანსისა, შეიძლება ვინმემ ამ ქუჩის მდებარეობა არც იცოდეს, ამიტომ გეტყვით, ბულვარის გაჭრის შემდეგ ის ოთხ დამოუკიდებელ შმიდტის ქუჩად გაიყო და ასე აღმოვჩნდი მე იმ ნაწილში, რომელიც იწყება ბელკაიას მაღაზიიდან (ოთხმოციან და ცოტათი ოთხმოცდაათიან წლებში ყოფილი ბიბლიოთეკა) და მთავრდება აბესალო გორდაძის დარგულ მუხასთან. ოთხმოცდახუთი წლის მოხუცის ეს მარკეტინგული გათვლა აუცილებლად ყურადსაღები იქნებოდა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, ამ უკანასკნელთ, სულ მცირე, ყურები მაინც რომ ჰქონოდათ. ათი წლის მკვდარი აბესალოს გახსენების გარეშე არ ჩაუვლია არც ერთ გადარევას ჩვენი სისხლებისა და ციცოს ვითომ ვარციხის კონიაკის ქარხნიდან წამოღებული, შეფერადებული ჭაჭისა.

ვინც დაიბნა, იმათთვის ნაბახუსევი, როგორც მოგეხსენებათ, სულის და სხეულის ისეთი მდგომარეობაა, როცა შეგიძლია ყველაფერზე იფიქრო და ილაპარაკო, რაც თავის, გულის და სინდისის ტკივილს დაგავიწყებს. აქვე ავტორი სულგრძელად ითხოვს პატიებას აბესალო ბაბუას სულისგან, მითვის არასაკადრის ნაწერში ხსენების გამო.

მოკლედ, ეს ამბავი ქუთაისში ხდება, - იქ, სადაც პარლამენტია, იუსტიციის სახლია, საგადასახადო სამსახურია, ფალიაშვილის სახელობის ოპერა, მესხიშვილის სახელობის თეატრი, ბიკენტიას საქაბაბე, ქოთანას დუქანი და ბელკაიას მაღაზიაა. მოკლედ, ახლა აბაზანაში რომ არ ვიდგე და წინ სარკის მაგივრად ბაგრატის ტაძარს ან ოქროს ჩარდახს ვხედავდე, ჰოლივუდის ღიმილით გავიღიმებდი და ვიტყოდი: "ქუთაისი კონტრასტების ქალაქია". მაგრამ ღმერთმა ინება, რომ აქ ვიდგე და კბილების გამოხეხვაც კი მეზარებოდეს.

წესით, აქ არავინ უნდა დაბნეულიყო.

მოთხრობა რომ მოსაწყენი არ გახდეს და სიუჟეტისთვისაც, მამა-პაპათა წესი მოითხოვს, თხრო-

ეროვნული

ბა და პერსონაჟი აბანოდან გამოვიდეს და ამ უკანასკნელმა სტუმარს კარი გაუღოს, იმიტომ რომ, აქ, უფრო სწორად,- აქანე, ქუთაისია და მარტოობა ფუფუნებაა.

- ხელოუ, ზასტაველო კაზანოვა!

ორნი არიან კარში. ერთი ხელმოცარულად ნაიქუჩისბიჭებს და მეორე ხელმოცარული ინტელექტუალია.

- ლევანია, არ გიხდება მასეთები! - ვუთხარი მე და ავათვალიერე. გაცრეცილი ჯინსი ეცვა, სპორტული ზედა, შიგნით ნახევრად ამოჩაჩული მაიკა. არ მეგულება მე პირადად კაცი, ასე მოუწესრიგებელი ჩაცმა უხდებოდეს. იმ სამი წლის მანძილზე, რაც მოსკოვში დავყავი, ბევრჯერ ვცადე ლევანიასნაირად ჩამეცვა, ჩავიცვი კიდეც, მარა ისე არ მიხდებოდა, როგორც მაგას და ისეთ რამეს, რაშიც ვილაცა აშკარად მჯობია, ყველაფერს ვერიდები.

ალბათ, პატივცემული მკითხველი უკვე მიხვდებოდა, რომ ავტორი და პერსონაჟი, რომელიც ამბავს ყვება, ერთი და იგივე პიროვნება არ არის.

- რაო, რა ჩუმად ხარ, შე ჩემა! - მივუბრუნდი ბორხესას.

ბორხესს ვეძახით, უფრო სწორად, ჯერ კიდე ბავშვი რომ იყო, თვითონ მოითხოვა, ბორხესი დამიძახეთო, ისე ბორისი ქვია. იმდენი დავცინეთ მაშინ, ახლა მთლად რო ხორცი ამოიჭამოს, არა ვარ ბორხესაო, მაინც ბორხესაა. ლევანიას დღესაც გონია, რო ბორხესი რომელილაც წიგნის სუპერგმირია.

- დილიდან ტვინი მოტყნა. შენზე მაგარი აკრეფილი აქვს. - მითხრა გამაფრთხილებლად ბორხესამ.

ახლა, ჩემო მკითხველო ("მკითხველოს'' წინ "ძვირფასოს" არდანერა მხოლოდ ავტორის სიყალბეების მიმართ ზიზღზე მიუთითებს), საჭიროდ ვთვლი, თქვენს ერთ ნიუანსში გათვითცნობიერებას.

ნებისმიერი არაქუთაისელი ქუთაისში მოხვედრისას გრძნობს რაღაც უჩვეულოს, რომელიც ყურის ნიჟარიდან იწყება, გაივლის ლოკოკინას გრდემლ-ჩაქუჩ-უზანგს და ტვინში მიღწეული აგზავნის იმპულსებს ტუჩის კუთხეების განზე გამწევ კუნთებთან. ეს ერთი შეხედვით ურთულესი მექანიზმი გამოწვეულია ქუთაისლების მეტყველების განსაკუთრებულ უნართან, აამოქმედონ ან გაალიზიანონ ეს იმპულსები. ტექსტში ნახსენები ყველა უჩვეულოდ დამახინჯებული არსებითი თუ ადამიანის სახელი ჩათვალეთ ნახსენები მექანიზმის გააქტიურების ავტორისეულ მცდელობად.

ავტორი მედიცინაში ვერ ერკვევა და ტერმინოლოგიურ და ანატომიურ შეუსაბამობებზე გთხოვთ ნუ გამოეკიდებით.

სმაილი კი ინგლისური სიტყვაა და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, - ჩვენებურად ტუჩის კუთხეების განზე გაწევას ნიშნავს.

ბორხესას განუყრელი ხინკალა ქუდი ეხურა, რომლის ქვემოდან გრძელი თმები მოუჩანდა. შავი სათვალე პერანგის ჯიბეზე ჩამოეკიდა და რომ შემომხედავდა, მე მირეკლავდა, ლევანას შეხედავდა, - ლევანას. მე ყოველთვის ყველაფერი შუალედურის მომხრე ვარ. ბორხესა, ჩემი აზრით, სულ ოდნავ ზედმეტად ნაკითხია და ლევანა კი სულ ოდნავ ძველი ბიჭი. ამათ ორივეს მაღალი ქალები მოწონთ, მე საშუალო სიმაღლის. ამიტომაც მე უფრო ბევრი ქალი მყოლია.

ლევანა კუხნისკენ წავიდა. ელექტროჩაიდანის ღილაკს დააწვა, მერე მაცივარი გამოაღო და ყავა თუ გაქვსო, - მკითხა. ყავას მაცივარში რა უნდა, შე ჩემა-თქო, - ვუთხარი. ეგრევე მივხვდი ჩემი პასუხის უადგილობას, იმიტო რო ლევანამ ყურადღებაც არ მომაქცია, ისე გამოიღო გაერთმესამედებული ერთჯერადი პეჩენიებიანი პარკი, მერე კარადიდან ყავა გამოიღო და მზადებას შეუდგა.

- მე ჩაი გამიკეთე რა! მისკდება თავი! - ვუთხარი.

- ახლა ბევრს ნუ აილებ შენ თავზე. პივა მოგიტანა ბორხესამ. როდის დადეს ორლიტრიანი "მთიელი" მაგიდაზე, არც შემიმჩნევია.

- კაი, ბატონო! შენ როდის მერე არ სვამ პივას? - მივუგდე ლევანას ისე, რო პასუხით არც დავინტერესებულვარ, - აბანოში შევედი და, როგორც იქნა, ცივი წყალი სახეზე შევისხი.

ბორხესამ ჯერ მთელი სახლი აირეკლა სათვალეში და მერე ჩემს "ასუსთან" დაჯდა, მერე ფრანის "ხე" ჩართო, "ხოა ქურდული პროსტა!" - ლევანას უთხრა.

- ქურდული კუჩინია! - აჯახა ლევანამ და გავიგონე, როგორ მოხვრიპა ცხელი ყავა.

- გამორთე რა! ისედაც ცუდად ვარ! - შევეხვეწე ბორხესას, სავარძელზე მივეგდე და თვალები დავხუჭე. იმან მხოლოდ დინამიკს დაუწია.

- ბიჯო, ბელკაიას მაღაზიაში რო შეხვალ, იმენა წიგნების სუნი დგას".

- რატო თუ იცი? - ვკითხე ისე, თვალებიც არ გამიხელია.

- იმიტომ რომ ბიბლიოთეკა იყო, შე ჩემა! - თქვა ბორხესამ, მიუხედავად იმისა, რო იცოდა, ყველამ ვიცოდით. "კუპატები იყიდება, კალბასები, არყები და მაინც წიგნის სუნია".

- აუ, ახლა ბელკაიას მაღაზია სირზე მკიდია მე! - თქვა ლევანამ და კი არ დადო, დააგდო ჭიქა მაგიდაზე.

- დამიმტვრიო იქნება! - ახლა გავახილე თვალები.

- დაგიმტვრიო, თვარა მადონასია! - მითხრა და სავარძელთან ჩამიცუცქდა.

- რა ქენი გუშინ, მოდლანი ის ვარდისფერტრუსიკიანი? - ისე ჩუმად მკითხა, ბორხესა იძულებული გახდა, მთლად ჩაეგდო ხმა დინამიკისთვის.

"დლვნა" უცნობი წარმოშობის სიტყვაა და გაუკულმართებულ სექსს ნიშნავს. დღეს გამოყენებაში მხოლოდ იუმორის გრძნობის მქონე დასავლეთელ აცვენილ ბიჭებში გვხვდება.

ავტორი თავს დამნაშავედ გრძნობს მკითხველის წინაშე, რადგან ამ უკანასკნელმა ვარდისფერტრუსიკიანი გოგოს არსებობა ახლახან შეიტყო.

ნინა დღე.

- ეს სამყარო გაჟღენტილია ტყუილებით. სულ ოდნავ ჩაფიქრება და იმდენ ტყუილს აღმოაჩენ... -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორხესას უკვე ეტყობოდა სიმთვრალე, რაც, მე თუ ვინმე მკითხავს, მისი ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა. მე წინა მაგიდასთან მსხდომ ქალებს ვუყურებდი, უფრო სწორად, ჩვენგან ზურგით მჯდომ ახალგაზრდა ქალს და მათემატიკური სიზუსტით თუ ვიტყვი, იმ ქალის ლურჯი ჯინსის სათავეს, ვარდისფერი ტრუსიკის თითქმის ზედა ნახევარს, გავის ძვლის რამდენიმე ბორცვს და ლურჯი მაისურის ქვედა მეექვსედს.

ლევანია ხინკალში ძმრის განზავებით იყო გართული. ხანდახან მე შემომხედავდა, ჩემ მზერას თვალს გააყოლებდა და ლუკმა ყელში ეჩხირებოდა. ხან ბორხესას ლაპარაკს აწყვეტინებდა ხინკლის შეფიცხების თხოვნაშეპარებული მოთხოვნით.

- აი, მაგალითად, არსებობს ფერი ვარდისფერი, ხო, მაგას შენ რო მიჩერებიხარ, ახლა წითელი ტრუსიკი რო ეცვას...

აქ ალბათ წმინდა ძალები არია ბორხესამ, რადგანაც ჩემი ინტერესიანი თვალები რამდენიმე წამით მიიპყრო.

- აი, წითელ ტრუსიკზე ხო არ იტყოდი ვარდისფერიაო? არადა, ვარდი წითელიც არსებობს. თეთრზეც არავინ ამბობს, რომ ვარდისფერია. ია სულ იისფერია, ნარინჯიც სულ ერთი ფერია, სტაფილოც არ არსებობს სხვადასხვა ფერის და ვარდი უამრავი ფერია და მაინც ვარდისფერი...

- ცაც მასე არაა? - ვუთხარი მე სხვათა შორის და იმ ქალის წელს გავხედე. ახლა შევამჩნიე, - მაისურზე წრეში ჩახატული პირში სიგარეტგაჩრილი კაცი ეხატა, რომლის წინ ქალი ჩაცუცქულიყო და წრეში ჩასმული ორი წითელი ხაზი ერთმანეთს კვეთდა მამაკაცის შარდგამომყოფ ორგანოებსა და ქალის სამეტყველო აპარატზე. წრის ზემოთ წარწერა: no smocking.

მაგიდაზე დაგდებული "გალუაზის'' კოლოფიდან ერთი ღერი ამოვიღე და ყველაზე ღრმა ნაფაზი დავარტყი, რაც კი ოდესმე დამირტყამს. ლევანიას ოფიციანტი ყავდა დათრეული და რალაცეებს უხურებდა.

- ცა მასე არაა, ბიჯო. - ჩაილაპარაკა ბორხესამ კაიხელა პაუზის მერე.

ვქეიფობდით ფულით, რომელიც ლევანიამ გაჩითა, უფრო სწორად, ღიად დარჩენილი X-5-ის სალონში ნაპოვნი ნიანგის ტყავის ჩანთიდან ამოილო.

მკითხველი ნახსენები ფაქტის გამჟღავნებას ნუ ჩათვლის ავტორის ჩამშვებლობად ან რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერად, უბრალოდ, ის პატიოსანი და კეთილშობილი მოქალაქეა და თავის თავთან არ იქნებოდა მართალი, ხმამაღლა რომ არ ეთქვა.

აქვე ავტორი კულინარიულ ცოდნასაც გაგიზიარებთ. იმ მამლის ხორცი უფრო გემრიელია, რომლისთვისაც სულ ერთი არაა, გათენდება თუ არა.

- ბიჯო, ბჟიტი ტყემალში მოვატანიო? - გვკითხა უცებ ლევანამ.

- ჩემი პატარა პრინცია ეს ჩემისა! - მითხრა ბორხესამ და თავი ლევანიასკენ გადააქნია, მერე ოფიციანტს ახედა და "ციდანაა ჩამოფრენილი და იმიტომო" - აუხსნა.

ლევანამ თვალი თვალში გაუყარა ბორისს, ჩუმად ჩაფშტვინა და სტვენის მელოდიაზე [illegible]ვის შარვლის ზმეიკისკენ ჩაიქნია.

- ლევანჩიკ, ძმურად, იმ გოგოებს გავუგზავნოთ ბჟიტი! - შევეხვეწე.

ბორხესას გაეცინა. ლევანა ახლა მთელი ტანით მიტრიალდა გოგოებისკენ და კარგად დააკვირდა. მერე მე და ბორხესა ორივე განგვაცვიფრა, როცა ოფიციანტს უბრძანა, იმათ ჩვენგან ბჟიტი ტყემალში მიუტანეო. ჩვენთვის შვიდასგრამიანი წინაკის "ნემიროფი" და იმერული ხაჭაპური დაამატებინა.

- ბიჭებო, დღეს ჩემი დროშა უნდა ავაფრიალო რაიხსტაგზე! სამი თვეა უკვე არც მგონია, თუ ფრიალებს საერთოდ! - ვთქვი მე და მოსკოვში გატარებული დრო გამახსენდა, ზუსტად ისე, ბაბუაჩემს რო ახსენდებოდა წყალტუბოს სანატორიუმები.

მოსკოვში ყველაფერი ადვილია. ჯერ ერთი, რო იქ ნასვამი სლავი ქალისთვის ქართველი მამაკაცი ხუთი-ათი სანტიმეტრით მეტს ნიშნავს, ვიდრე რუსი, ღამეში ხუთი სექსი მაინცაა და აქედან მინიმუმ ოთხი უეჭველი ორგაზმია, ასეთ რამეზე კიდე წმინდა კატუშას დედათა მონასტრის მონაზვნები თუ იტყვიან უარს მხოლოდ. თან რუს ქალთან ურთიერთობაში ჩემთვის იყო პატრიოტიზმის ელემენტებიც. ნიზკი პაკლონ ვაში კრასატი და ვეძებდი მერე დილით დაკარგულ პულსს.

აქ კიდევ, ქუთაისი ჯერ ისევ საქართველოს მეორე კულტურული და სამრეწველო ქალაქია და მასე იოლი არაფერია. ესენი კი არ გვანან არმკადრებლებს, მარა მაინც.

მიიტანა, როგორც იქნა, შავბაბოჩკიანმა მიმტანმა ჩვენი გაგზავნილი ბჟიტი ტყემალში იმათ სუფრაზე და ჩვენკენ ანიშნა. მოტრიალდნენ და მადლობის ნიშნად გამომწვევად გაგვიღიმეს. მერე კითხვები დააყარეს მიმტანს, რა კერძია, რისგან შედგება, ბჟიტი რა არის და ასეთები... მერე კი დაახლოებით, როგორც რკინის ლედი იზამდა ამას, ისეთი პეწით დაგემოვნება დაიწყეს.

იმ ვარისფერტრუსიკიანის სახე ზუსტად ისეთი იყო, შეკერვა რო არ გამიჭირდებოდა, ასე მომეჩვენა მე.

შენიშვნა: ავტორი დარწმუნებულია, ბჟიტის მნიშვნელობა ყველასთვის გასაგებია და მკითხველმა თავი შეურაცხყოფილად რომ არ იგრძნოს, ახსნისგან თავს იკავებს.

- კაროჩეე, მორჩებიან თუ არა, უნდა მივაჭრა! - არაყი ჩამოვასხი, ერთ ნაჭერ იმერულს დავწვდი და სისხლძარღვები უსადღეგრძელოდ გაეიფართოვე.

- ახლა მაგას ნიორის სუნი ექნება უკვე პირში! - სიცილით მითხრა ლევანამ.

- ამას არაყის სუნი, იმას ნივრის, ვერ გადადებენ ერთმანეთს ვერაფერს. - თქვა ბორხესამ. რთული შერწყმული საგინებელი წინადადების შედგენა დავიწყე გონებაში, რომ ვილაც ტიპმა შემაწყვეტინა, უფრო სწორად, იმ ვარდისფერტრუსიკიანს ჭამა შეაწყვეტინა.

მელოტმა სინთეზატორისტმა მიკროფონი ტუჩზე მოირგო და ლევანას საყვარელი და ბორხესას საძულველი "მარჯანჯან" მოსცხო.

- ჩხუბში ყოველთვის არის რომანტიკა. - ჩემს გასახელებლად თქვა ბორხესამ. ლევანამ კი "ნემი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როფის" განახევრებული ბოთლი ღიმილმორეულად მიიწია ახლოს.

ჩიტი მის დღეში არ ვყოფილვარ და მაგის ჩიტი ნაღდად არ ვიყავი, ამათ წაქეზებაზე წამოვგებულიყავი. ისე სივში ჩასაწერ გაფრენებს მეც გავიხსენებდი. იმ ტიპმა რო მიმასწრო, მაინც მაგრად გამიტყდა. ისინიც სამნი იყვნენ და თუ რამე, მასე იოლად ნაღდად ვერ მოგვერეოდნენ და თუ სალაპარაკო გახდებოდა, ლევანა ათჯერ სამსაც არ ამოაღებინებდა ხმას. რესტორნის, უფრო სწორად, ჩვენი ფინანსების დაზარალება რო მოყოლოდა, ეს მაფიქრებდა ცოტას.

იმდენ ხანს გაუგრძელდა იმ ბიჭს საუბარი, აშკარად იქ არ სტროჩკავდა, სადაც საჭირო იყო და ამდენ ფიქრში მეც გადავწყვიტე, რო ჩვენი გაგზავნილი ბჟიტი ტყემალში მაგ ტიპს კბილებს მოკვეთდა.

- ებიჯო, თუ გაქ ტრაკი, მიდი! - ამოუვიდა ლევანას ყელში. - შენც ვარდისფერტრუსიკიანი ხო არ ხარ!

ჩემი ლურჯი კელვინ კლაინის ასე უდიერი ხსენება ალმოჩნდა პიკი და წამოვდექი.

- ბიჯო, - დამიძახა ბორხესამ, - მოიწმინდე მა ფქვილიანი ტუჩები! ტუჩები ცერა და შუა თითით გავიწმინდე, სიგარეტს მოვუკიდე, წეხანდელი ჩემი ნაფაზის რეკორდი მოვხსენი და დავიძარი.

ახლოდან ის ბიჭი უფრო ჯანიანი ალმოჩნდა, ვიდრე ჩანდა, მარა არც ისე სიმპათიური. ხელი ამ ვარდისფერტრუსიკიანის საზურგეზე ქონდა ჩამოდებული და პირდაპირ დეკოლტეში უყურებდა.

დეკოლტე კი ფრანგული სიტყვაა და იმ მთებს ნიშნავს, მუჰამედთან რომ არ მივიდნენ.

- ერთი წუთი, ჩემი ძმა! - ვუთხარი, ხელი ძალით ავაწევინე, მერე იმ გოგოს მაჯაზე რბილად მოვკიდე, ყურში ვუთხარი ვიცეკვოთ-თქო და თითქმის ძალით წამოვაყენე. მის დაქალებს პირი ღიად კი დარჩათ, მარა იმ ტიპის პირს ვერც ერთის ვერ შეედრებოდა. ვარდისფერტრუსიკიანმა ერთი გაიღიმა და დამყვა. ახლა ჩემი თავხედობა რო ზღვარს კილომეტრებით გაცდა, მაგი მეც ვიცოდი, მარა ხვეწნით იმ ბიჭსაც არაფერი გამოუვიდა და მე რა გამომივიდოდა.

გავიყვანე სადაც ხალხი უკვე ცეკვავდა. თითებზე მისი წელის სითბო უნდა მეგრძნო, ვიღაცის ხელმა რომ შემომაბრუნა და მუჭის ოთხი ამოზნექილი ძვლის დანახვა მოვასწარი. ცხოვრებაში უფრო მეტი მართლა ამიცილებია, ვიდრე მომხვედრია, მარა სხვაობა იმ დღეს იმ ტიპმა შეამცირა. ბევრი ვეცადე, არ წავქცეულვიყავი, არ გამომივიდა. წამოხტომა მინდოდა უცებ, მაგრამ ეს გოგო ჩემთან ჩაიცუცქა, ორივე ხელები ლოყებზე დამადო და როგორ ხარო, - ლიქიორის და ტყემლის სუნი შემომასუნთქა. მოცილება მინდოდა, ბრაგუნი რომ გავიგონე და ის ტიპი უგონოდ დაეცა მეტლახზე. ლევანიას ხელში ისევ მთელი "ნემიროფის'' ბოთლი ეჭირა და ბოლო ხმაზე იგინებოდა. შემოსასვლელიდან დაცვის ბიჭები მორბოდნენ, სამზარეულოდან ოფიციანტები, ბორხესა ლევანჩიკას გვერდით იდგა და იმ ტიპის წამოჭიმულ ძმაკაცებს რაღაცას უყვიროდა.

საგიჟეთია ქუთაისი.

ხელით სახე ნელა მოვისინჯე, ყბა კი [illegible]და, მარა სისხლი არ მდიოდა. მერე ამ გოგოს თვალებში ჩავხედე და ხიფათიანი ხალხი ვართ ქუთათურები-თქო. - ვუთხარი და გავიღიმე. იმანაც ჩაიცინა და წამოდგომაში მომეხმარა. რაში მჭირდებოდა.

ჩხუბი უკვე ფინიშისკენ იყო. მხოლოდ გაწევგამოწევა და უწმაწური გადაძახილები ისმოდა. იმდენი ხალხი, დაცვა და ოფიციანტი მოგროვილიყო, ძაან რო მოენდომებინა ვინმეს, მეტი არც არაფერი გამოუვიდოდა. იმ ტიპის თავის მეტი არც არაფერი გატეხილა. ლევანა ბოთლს ხელიდან არ უშვებდა. უკნიდან მივადექი და ჩუმად ვუთხარი: "წევედი მე". სად ჩემ ყლეში მიდიხარო! - მომაძახა, მარა პასუხი არც გამიცია, ვარდისფერტრუსიკიანის სკამიდან მისი ჩანთა მოვხსენი, გოგოს ხელი ჩავავლე და გარეთ გამოვიყვანე.

ასე მეგონა, ნიკეას გამზირზე კი არა, კუტუზოვსკი პროსპექტზე მივაბიჯებდი. მინისტარის გზაჯვარდინზე ვაკოცე პირველად. მერე თუ გინდა ქუთაისს დაგათვალიერებინებ, თუ გინდა შენთან ჩაიზე დამპატიჟე-თქო, როგორც შენ გინდაო. ჭავჭავაძის გამზირს დავაკვირდი კარგად, - ნაღდად ჭავჭავაძის იყო. მაშინ, ხარაშო, - ვუთხარი მე, - ახლა ისეთი მთვრალი ვარ და შენც თუ ჩემი ძალიან არ გეშინია, ჩაი მირჩევნია-თქო. საშიში და ჩაის მოყვარული კაცი მე არ მინახიაო, - მითხრა. თვითონაც კაი ნასვამი იყო. თან მე ნომერში დაცვა მყავსო. დაცვა ნაღდად არ დამიჯერებია, მარა მაინც ვუთხარი, ჩემთან დაცვა შენ არ გჭირდება, შეგიძლია გაუშვა, მაგანაც ვინმესთან ჩაი დალიოსმეთქი. გავიცინეთ ორივემ.

საფიჩხიაზე სასტუმრო "დიანაში" ყოფილან გაჩერებულები ეგ და მისი დაქალები. დაცვა გაბანჯგვლული, ვირთხისხელა იორკშირ-ტერიერი შეიქნა, ერთი ტკბილი ბგერა რო არ დაცდენია, - სულ იღრინებოდა და იღრინებოდა. ათას დოლარიანი ძაღლიაო, ისე მითხრა, ჯიბეში დაკუჭული ათლარიანი ამენვა.

ჩაის მაგივრად ცოტა კონიაკი მივარტყი და ვაფრიალე ჩემი ალამი შუაღამემდე.

არ მიყვარს, ქალები რო თვითონ იხდიან ტრუსიკს, არ მოიხდარა ჯერ ისე, ქალისთვის საცვალი გამეხადოს და მინის მიზიდულობის ძალა არ დაჩაგრულიყოს.

დილით ექვს საათზე გამეღვიძა. ოთახში ისეთი მძიმე სუნი იდგა, ცოტაც და გული ამერეოდა. შუქის აუნთებლად ფეხაკრეფით გავედი სამზარეულოში და ონკანის წყალს პირი შევუყუდე. იმდენი დაველიე, ახლა წყალი დამაწვა გულზე და მომეჩვენა, პლასტმასის გემო დამიტოვა თითქოს. ვიფიქრე, რუსი ქალების წარმოდგენები და მაგათი დედაც, მშვიდ ძილს გავაგრძელებ, ბოლოს და ბოლოს, ქართველია, ამას რას მოატყუებ-თქო.

შევედი თუ არა ოთახში, სუნზე ისევ წამომაზიდა. ტუალეტში გავიქეცი და ვერ მივაღწიე. ზუსტად ტუალეტის კარებთან ვაღებიე. კვატივით ვარწყევდი და ტყემალში ჩაწყობილი ბჟიტის სუნი მცემდა. როგორც იქნა, სული მოვითქვი. ვარდისფერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრუსიკიანის დაცვა სულ მწუ-მწუთი გამოვიტყუე საძინებლიდან და ე, შენ თუ მიშველი ახლა-თქო და სულ ტხლაპა-ტხლუპით დაიწყო ჩემი გადარჩენა.

საძინებელში შევედი. ისე ფშვინავდა, მეთქი ხო არ იგუდება ეს ჩემისა, ხელის ცეცებით სიბნელეში მოვძებნე ტრუსიკი, შარვალი, მაისური, ნასკები. ფეხსაცმელები შემოსასვლელში ჩავიცვი, კარი ჩუმად გამოვიხურე და გამოვიპარე.

საფიჩხიას დილის ცივი ნიავი ბორჯომზე უკეთესია ნაბახუსევზე.

მოვდიოდი დაღმართში და მიუხედავად სირცხვილისა, მაინც კმაყოფილი ვფიქრობდი. ბორხესა იძახის, ჩვენო, დუმფარები ვართო. ეს ქალაქი ჭაობია და იშვიათად, რო ვინმე არ ჩაძიროსო. ვინც ვერ ჩაგვძირა, დუმფარები ვართ და მანამ ვიყოთ კარგად, სანამ დუმფარები ჭაობში არ ჩაიძირონო. მაგი ქუთაისზე აღრენილია. ამ ქალაქის გამო ერთხელ ერთს დაშორდა. ყველა სიყვარულის დედას არ შევეცი ერთი, ბორხეს, როცა რაიმეს გამო წყდება? ჩვენ გვჩვევია პროსტა გადაბრალებები.

ამასობაში თეთრ ხიდზე გადმოვედი და ბჟოლებისკენ ჩავუყევი.

ჩემი ერთი სომეხი ძმაკაცი იძახის, ეს ქალაქი მაგნიტს გავსო, აქ თუ ხარ, მიგიკრავს და განძრევის საშუალებას არ გაძლევს, მოშორდები და წიანეტ, წიანეტ, წიანეტო. აი ლევანჩიკა იძახის ჩესტნად, - ქუთაისი ბნელია, მარა დედისმტყვნელიაო. მე კიდე ქუთაისი იმიტო მიყვარს, რო ოლასკურას სასაფლაოა აქ და კიდე იმიტო, რო სხვაგან რო სირცხვილით დაიწვები, აქ იმაზე სიკვდილამდე იღადავებ. და კიდე იმიტოც, რო აქ ვიღაც ნაშა ჩამოვა თავის ათასდოლარიანი ძაღლით, დილამდე იხმარ, მის ძაღლს ნარწყევით გააძღობ და გამოუმშვიდობებლად დაეთესები. იგი მაინც კმაყოფილი წავა, იმიტო რო ქუთაისლები უცნაურად კაი ტიპები არიან და ყველგან მასეთებს ვერ გადაეყრები.

ისე კი დუმფარაც კაი უცნაური მცენარეა.

ნინოშვილის ქუჩა ჩავიარე და პატარა ბაზართან გამოვედი. ღადაობა იქეთ იყოს და მაინც გულის სიღრმეში მიტყდებოდა ჩემი საქციელი.

აბესალომ გორდაძის დარგულ მუხას კენწეროზე ელამუნებოდა ამომავალი მზის სხივები, სახლს რო მივაღწიე. დაბანის თავი სად მქონდა, გაუხდელადვე მივეგდე ლოგინზე იმ იმედით, რომ გაღვიძებულს არაფერი შემახსოვრებოდა.

* * *

- ააფრიალე შენი ბაირაღი თუ არა, ბოლოს და ბოლოს? - ჩამაცივდა ლევანა.

- ნაპერწკლები არ გავაყრევი? - ისეთი ტონით ვუპასუხე, ეჭვის შეტანა როგორ გაბედეთს რო ნიშნავდა.

ამათმა სიცილი დაიწყეს.

- რა იყო უქიმერიონში ვართ?

- უქიმერიონში ბოზები არიან! - შემიღრინა ლევანამ.

- აბა, რა დაკითხვა მომიწყვეთ!

- შენი ნატრაკი არ იქნა! გუშინ შენ შეგვატოვე იმ ხალხს და წესიერი პასუხის გაცემაც არ გინდა? - ამოიღო ხმა ბორხესამ.

- მოვლენ იგენი ამ საღამოს.

- მოვიდნენ. მაგენის დედაც მოვტყან! - ჩავილაპარაკე ჩემთვის.

- პარაბელუმთან ძველი ტეტეც უჯრაში გდია თუ რა იყო? - ნერვებს მიშლიდა ბორხესა.

- გათხრიან ტრაკში.

- ბიჭო, თქვენ შარზე ხო არ ხართ?

- აბა თქვი, სად წადი გუშინ.

- საფიჩხიაზე ვიყავი სასტუმროში.

- შენ მთელი ღამის ნასიამოვნები ხარ ახლა?

- რა გინდათ, ბიჭო, რა შემეცით, ვიდეოს ხო არ გადავიღებდი.

- დას ისტ ფანტასტიშ! და რამე - გაეცინა ბორხესას, ლევანას ნარბი არ გაუხსნია - ეს ყველაფერი იმისთვისაა, რო ესენი ჩემი გუშინდელი საქციელის გამართლებას მაშინ შეძლებენ, თუ იმ გოგოსთან ყველაფერი ისე მექნებოდა, როგორც ფრანგულ კინოებშია, იმიტო რო ეგ აქ იშვიათობაა და ყველას ეპატიება, მე კიდე მასეთი პახაბნი ნაღდად არა ვარ, ქალებთან სექსზე დამამტკიცებელი საბუთები ვიგროვო.

- რა იყო გუშინ, დაგიბრაგუნეს ? - ვცადე თემის შეცვლა.

- მაგენის დასაბრაგუნებელი აგერ მაქვს! - თქვა ლევანამ და თავი დაიქნია.

- ხოდა, გამანებეთ თავი, ისედაც ცუდად ვარ!

- არ შეიძლება, ბიძია, მასე არ შეიძლება! –

მაღიზიანებდა მაგრად ლევანას ლაპარაკი და ისე გავხედე, რაც შემეძლო, ვაგრძნობინე.

- შენ მაინც ასწავლე რამე! - უთხრა ხელისჩაქნევით ბორხესას.

- ერთ ჭიქაში ერთ გრაფინ წყალს ჩაასხამ? - უპასუხა ბორხესამ.

- ებიჭო, იდი ნახუით ახლა! - მართლა ამომიყვანეს ყელში.

- ჩვენ კი წავალთ, მარა მოვლენ იგენი ამ საღამოს და გაგირომბავენ თავს.

- აგერ შევხედავ.

მართლა არ წავიდნენ? ადგნენ და წავიდნენ. ამაზე მთლად გავბრაზდი. ამ დილით დამადგნენ, პახმელიაზე ვარ, ვკვდები, ნერვები მიშალეს, პატარა მატყუარა ბიჭივით არაფერი დამიჯერეს და კიდე ნაწყენები ესენი წავიდნენ. მოგსტყნიათ პატრონი! ორლიტრიანი "მთიელი" მოვიყუდე და კარგა ბლომად ჩავიცალე, მერე აქლემივით დავაბოყინე და საძინებელში დავბრუნდი. გადასაფარებელი გადავწიე, ჩუსტები უწესრიგოდ მივყარე, ჯერ წინდები გავიხადე, მერე მაისური, ქამარი შევიხსენი და შარვალი გავიძვრე... ის იყო, ლოგინში უნდა მედურთა თავი, გავშეშდი. ჩემი ლურჯი "კელვინ კლაინის" მაგივრად ვარდისფერი ტრუსიკი მეცვა. ხუთჯერ დავაპაჭუნე თვალები. ვარდისფერი, ნახევრად გამჭვირვალე ტრუსიკი ისე სასაცილოდ ეხამებოდა ბანჯგვლიან მუცელს და ფეხებს, ისტერიკულად ავხარხარდი, მობილური ჩავრთე, ბორხესას ნომერი ავკრიფე და იმდენი ვიცინე, სული ძლივს მოვითქვი.

- მოდით, თქვე სირებო აგერ, მოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელა სამნიაშვილი

## როგორ ჭამდა ლექსი ადამიანს

მე ვნახე, როგორ ჭამდა ლექსი ადამიანს.
და ამაში არ ყავდა ბადალი.
არც რომელიმე მტაცებელი ბასრი კლანჭებით,
არც მინა, შავი ჰერბარიუმით,
კვების ყველაზე ზუსტი რეჟიმით,
მინარევებით, ფესვებით და მწერებით ძვალსაც რომ მოინელებს;
არც სიყვარული, როგორც დაკლული პირუტყვიდან ამოცლილი გულის ფორმის ჭეშმარიტება -
სიმეტრიასთან რომ არა აქვს რამე კავშირი;
ერთად ყოფნის ღამეებშიც ჭერს მიშტერება -
თავის ქალას რომ აგხდის, სახლის სახურავსაც, ოზონსაც და მთელ სამყაროს, ვარსკვლავებიანს,
თითქოს არც კარი, არც მკლავები აქვს
სხეულს, სხვა სხეულს რომ ჩაეჭიდოს,
არც სიბერე - თითქოს კანი გათავისუფლებს -
აღარ არის ისეთი მჭიდრო,
სიცოცხლე კი ყირავდება შუა გზაზე -
ქვიშის ნამზომი, რომ არა აქვს წაღმა-უკუღმა,
ყოველ ჯერზე თითო სევდიან ბორცვს რომ აშენებს
ბლაგვი მნვერვალით
(ბოლო მარცვალი ერთი წამით მაინც ბრწყინავდეს,
იყოს რაღაც, ლოდინის ღირსი),
ის პირველი ეცემა ფსკერზე,
რომ ზედ სხვა ბორცვი დაიშენოს;
არც რამე ნელი სნეულება,
მოძრაობის უფლებას რომ თანდათან გართმევს
და გშორდება შენი სხეული,
და გარშემო - რამდენიმე თავის კანტური -
თითქოს მთელი შენი ძალა მათ რხევაში კონცენტრირდება;
არც რომელიმე ძალაუფლება - ცემენტით სავსე
შავი ტომარა, გარედან რომ ამჩნევია იდაყვები,
ნამუხლარები, თითქოს ვიღაცამ მოათრია,
წელში გაწყდა, გზაზე დატოვა,
და თავის თავს ძერასაც ვერ უზამს.
ლექსი კი ისე ნაზად ჭამდა, ისე ფაქიზად,
ჯერ გარშემო უტრიალებდა - ჩურჩულებდა -
გრძნობ? გტკივა? - წერე!
ის კი იდგა დაბნეული, არ იცოდა, რა უნდა ეგრძნო,
რა სტკენოდა, რაზე ეწერა
და ყველაფერს დაეძებდა, რაც იყო ბასრი -
ირონია, არაყი, თოვლი,
სილის გაწვნა, სამართებელი,
ყველა ამბავი, საიდანაც სისხლი გაჟონავს,
ან ცრემლის წვეთი, ან სიცილი ისტერიული.
და გრძნობდა, წერდა,
მერე უკვე ვეღარც გრძნობდა და მაინც წერდა,
და რაც არ იყო წერისათვის
საკმარისად მჭრელი, ნამდვილი,
სულყველაფერს მრავალისმთქმელად შეუკურთხებდა -
ადამიანებს, დროს, სიბერეს, მიწას, სიყვარულს,
საკუთარ თავს. საკუთარ თავს - ყველაზე მეტად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოსტმოდერნული გოთიკა

რა აქვს ცხოვრებას დასაწუნი -
ის ხომ მუქთაა -
ყველა სწავლება ამას ღაღადებს.
ჩვენ კი ვწუწუნებთ, ვაპროტესტებთ,
ვითხოვთ, ვამუქებთ.
თან, გამოგონილ გადასახადებს
ვაწესებთ. ტკივილს ვატრაგიკულებთ
როცა სიკვდილიც ასე მუქთაა.
ის - გოთიკური რიკულია -
მცირე დეტალი,
ის - ტყუილებით სავსე გუდაა.
გიჩხვლეტს და უცებ - აღარ არის.
სისხლის მარტივი
აღება - თითის ბალიშიდან,
თუნდაც - ვენიდან.
ანგელოზები ლამაზ თავებს აკანტურებენ,
გვიშხაპუნებენ ირონიას - უკვდავებიდან.



## ჰარდ დრაივ ინსპექტორი

როგორ იტყუება სამყარო
ამ თავისი სიმეტრიით.
თითქოს ყველაფერს ქონდეს ადგილი
დასაწყისი და დასასრული.
წყვილი ხელი, ფეხი, თვალები
და ტუჩები - მოძრავი ორმო
საიდანაც ამოდის ხმები
უცხო ქვესკნელის.
იკუმება თუ არა, თავის ადგილზეა -
ლოგიკურ წერტილში.
თითქოს ფარგლით საგანგებოდ შემოგვიხაზეს.
ყურიმალებს შორისაც - ზუსტი დისტანციით
ცხვირი, რომლითაც სამყაროს ყნოსავ.
სიტკბოებისგან ხუჭავ თვალებს,
ან მთელ ტანში გცრის.
მაგრამ რას არყევს ეს სურნელი?
რა არსებაა -
ბუშტივით კრიალა ახალშობილი.
დრო სულს უბერავს.
ზრდის შესაძლო წერტილამდე.
ჩონჩხის მწვერვალს ვერსად გასცდება.
სრულწლოვანი -
თითქოს წყალში გაუშვეს გემი.
დაცურავს სამყაროს თავზე
და არაფერი იცის არც სიღრმის,
არც გემბანით გადასაზიდი ტვირთის შესახებ.
მას არ ეკუთვნის საკუთარი დაბადება
და არც სიკვდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლე კი ცარიელი სუნთქვითაც იოლად ივსება.
კამერა - სივრცეს მიშტერებული.
სიუჟეტის გარეშეც იწერს.
თავიდან თითქოს კარგად ერთობი.
გიყვარდება. წუხარ, როდესაც აღმოაჩენ,
რომ ყველა კადრს გასდევს ნამზომი.
კომპაქტური სკივრი -
დღეებით გამოტენილი.
როცა პირთამდეა, ხურავენ.
სხვა სკივრში დებენ.
კიდევ სხვა სკივრში.
მიწა კი არასდროს არის მსუბუქი.
მთელი ძალით აწვება. ტკეპნის.
თითქოს ჰარდ დრაივ ინსპექტორია -
საგულდაგულოდ ამოწმებს ჩანაწერს,
გადაბეჭდავს თვალით უხილავ ნაწილაკებში.
და მერე სად არის სიმეტრია?
ეს ყველაზე დიდი ტყუილი.
ამ აბსურდულ სქემაზე სად შეიძლება იპოვო თავი?
ყველა წერტილში სამყაროს ცენტრია.
ყველა წერტილი, ზუსტად ჩვენსავით,
არსებობას თავის გარშემო აპროწიალებს.



## წმინდა ნიკოლოზის ტაძარი, ბარი

წმინდა ნიკოლოზ,
დაიფარე სიყვარული ემიგრანტი ქალის,
და შინ დარჩენილი ქმრის, შვილების და მოხუცების,
ვიდრე სხვის მოხუცს მოთმინებით ბანს დამჭკნარ ფეხებს -
სავარძლიდან იატაკისკენ ცხოვრებასავით ასე უმწეოდ ჩამოკიდებულს,
და იმეორებს უცხო ენაზე ჩაბეჭდილ სიტყვებს -
უცვლელ კოდს მისი აქაური არსებობისა,
მადლიერებით, ყოველ საღამოს.
მან მიამბო თავის დღეებზე, მარტოობაზე
და თქვა, სულ ახსოვს, რომ ამ ქალაქში ინახება შენი ნეშტი
და ამიტომ მსუბუქია მისი ხვედრი
სხვა ქალაქებში მოხვედრილებთან შედარებით, ცოტათი მაინც.
კვირაობით შეუძლია მოსვლა ტაძარში,
შენს წმინდა ძვლებთან შორიახლოს ტრიალი, ლოცვა,
სასანთლეების წმენდა მტვრისაგან
და ფიქრი თავის სიყვარულზე,
მგალობლების გუნდის მოსმენა,
რომ მღერიან გადარჩენაზე,
გადიდებენ თეთრთმიან მოხუცს,
სიყვარულის კეთილ შემწეს,
მოგზაურთა და დევნილთა მფარველს,
თვითონ მოგზაურს,
ასე შორს რომ დაგრჩა სამშობლო.
წლების გასწვრივ უხვად ჟონავს წმინდა ზეთი,

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ფლაკონები ერთმანეთის მიყოლებით
ივსება და ლაგდება ტაძრის სუვენირების მაღაზიაში.
მათ აგზავნიან სამშობლოში,
ტურისტების და იღბლიანი მგზავრების ხელით,
ისე შორს, რომ გასაკვირი არ იქნება,
სასწაულის ამბავი თუკი ვერც ჩამოაღწევს.
სკეპტიკოსი მნახველი ფიქრობს,
რომ ეს ზეთი მხოლოდ ზეთია.
მისი ცოდვები, სნეულებები
ამ იმედებს არ იკარებენ.
ზუსტად იცის, რომ სჭირს რაღაც მოურჩენელი,
რაც დრომ დამართა,
და დრომ იცის თავისი საქმის.
ადგილობრივი გამომცემელიც ბევრს ფიქრობს შენზე.
ფიქრობს - შენდამი მოძღვნილ ლექსებს,
თუკი შეკრებს, ერთად დაბეჭდავს, - არ იზარალებს.
ალბათ ისინიც მრავალ ხმაში წაიკითხება.
მე კი, რომელიც შემთხვევითი ამბებით მოვხვდი
შენს ტაძარში, და ამ ქალაქში ვარ სულ ორი დღით,
ვფიქრობ, რომ ალბათ სიცოცხლეში ყველას უსმენდი,
ყველასთვის გქონდა თავშესაფარი.
ამიტომაც ვერ შეგელია ხალხი, მათ მიღმა დრო და სისტემა,
კომერციის და მუზების ღმერთი.
და კიდევ მიღმა - ადამიანი - მთელი თავისი მხოლობითობით.
და ვინ იცის, სად მიდიან ჩვენი ხმები,
ამ სამყაროში რა მანძილზე ძლებს ერთი ბგერა,
სმენას როდის ჩაეჭიდება.
წმინდა ნიკოლოზ,
დაიფარე სიყვარული ამდენნაირი,
ამდენი გზით შემოსული შენს ტაძარში,
ამდენი გზით რომ მიეშურება.



## გზის სონეტი

ეს სამად სამი უტყუარი განზომილება -
წმინდა სამება - არსებობის ვრცელი ხედებით -
სიგრძის, სიგანის და სიმაღლის გარნიზონებით,
რომელშიც ასე საიმედოდ ჩაიკეტები -
გამძლე ციხეა. ყველაფერი ემორჩილება -
ნაგებობები, სხეულები, ცოცხლები, მკვდრები,
მთები, ღრუბლები, პლანეტები, ქვები, ჩრდილები,
სახეობები, თაობები და კიდევ მეტი
ფორმა, ვიდრე თვალს დაუნახავს, გაფაციცებულს,
ცხვირწინ ფრიალი უთვალავი ფერის, ჭრილობის,
სურვილი უფრო ფართო ხედის, უფრო ციცაბო
ნერტილის, და გზა, რომ უყურებ, როგორც კინოფილმს,
სულ რომ გაურბის სისწრაფეში კადრს და სიუჟეტს,
რომ გადაადნობს სამს - ერთ ნრფეში, თუკი მიუშვებ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაატა შამუგია

## ქველმოქმედება

რა შეგვიძლია გავაკეთოთ?
ტოტი, რომელზეც ცდუნებები გვიყვაოდა, მოჭრილია,
მეტაფორებსაც ველარ მოეჭიდები,
რამე უფრო სანდო გვჭირდება.
ვინ დაგვიცავს სიყვარულისგან?
სიკეთისგან?
დანასავით მოქნეული კეთილგანწყობისგან?
ვინ შეაჩერებს გამოწვდილ ხელს,
როცა მშვენივრად ვიხრჩობით ზღვაში
და საკმაოდ მაცდუნებლად
მობჯენილია შუბლზე ლულა?
ვინ შეუყუდებს ეჭვის ბზარებს
მოულოდნელად გაჩენილ სიყვარულს?
რა შეგვიძლია გავაკეთოთ?
როგორ მოვიშინაუროთ ზომიერება - დროის ნიშანი -
მისხალ-მისხალ რომ გვიწონის სათქმელს.
ჩვენი სხეულები გადავსებულია სათნოებით
და არავინ არ ჩანს მშველელი.
რა შეგვიძლია გავაკეთოთ?



## ლიტერატურა და ტექნოლოგიები

კამილო ხოსე სელას არაჩვეულებრივი რომანი მოვიქნიე
და ღამის პეპელა კედელზე მივასრისე -
ლიტერატურა თანდათან პრაქტიკული ხდება.
ტექნოლოგიები, დიახ, ისინი მუდმივად ცდილობენ
ლიტერატურის ჩაჩოჩებას,
"აიფონი" წიგნზე კარგია ხელში დასაჭერად,
თითქოს მტევნის ფორმებს ნებდება,
მაგრამ კამილო ხოსე სელა, ნუ დავუკარგავთ,
უფრო კარგად კლავს პეპელას.
ოდესღაც ლაშა ნადარეიშვილის
რბილფურცლიანი წიგნებით შევდიოდი საპირფარეშოში,
მაგრამ მერე ისეთი ფუმფულა
ტუალეტის ქაღალდები გამოიგონეს
(ღმერთო, დალოცე მაღალი ტექნოლოგიები!),
რომ სრულიად გამოუსადეგარი გახდა ბატონი ლაშას წიგნები.
საწყენია, მესმის, მაგრამ რას გააწყობ -
ტექნოლოგიები მტრობენ ლიტერატურას.
არაფერი დაეწუნება "ბოშის" მაცივარს,
გაცილებით კარგად აციებს,
ვიდრე, მაგალითად, კამილო ხოსე სელა,
მაგრამ "პასკუალე დუარტეს ოჯახით"
პეპლების მთელი ოჯახის გაუვნებელყოფა შეიძლება.
აი, სად არის მისი ძალა -
პრაქტიკაში, დესტრუქციაში... ვინ იფიქრებდა...

ქირისუფალივით დავყურებ პეპელას,
რომელიც კარგმა ლიტერატურამ იმსხვერპლა
და ვფიქრობ, რომ ჩვენ ახლა
გაცილებით კარგად გვესმის ერთმანეთის.

## ანონიმი

იმ დროს, როდესაც ეს ლექსი ხდებოდა,
მე იქ არ ვყოფილვარ.
მე არ ვიცი ვინ დაწერა,
ან რას შეიძლება ის ნიშნავდეს,
ან რას განსაზღვრავს,
თუ შეიძლება საერთოდ რამე განსაზღვროს ლექსმა.
როდესაც ვამბობ "მე",

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვგულისხმობ პირველი პირის ნაცვალსახელს
მხოლობით რიცხვში,
და არა ვინაობას,
რადგან მას, ვინც ამ ლექსში "მე"-დ სახელდება,
წარმოდგენა არა აქვს იმის შესახებ,
ვინც ლექსის ბოლოს
პაატა შამუგიად დამოწმდება.
მე მხოლოდ სიტყვები ჩავმოწერე,
და თუ სიტყვებმა თავად შეძლეს ის,
რასაც მომავალში ლექსი ეწოდა,
მე ამაში არაფერი ბრალი არა მაქვს.
ყურმოკვრით მაინც რომ ვიცოდე ბარტის თეორიული ნაშრომები,
დაუყოვნებლივ განვაცხადებდი,
რომ ავტორი
მოკვდა,
ღვთივმიიცვალა,
განისვენა,
გაღმა გავიდა,
დედა ეტირა,
ჩაილურის წყალი დალია...
მის ადგილას კი ანონიმური მკითხველი გაჩნდა,
რომელიც თავს აფარებს პირველი პირის ნაცვალსახელის
მხოლობითი რიცხვის ავატარს (იხ: ისევ ბარტი, ოღონდ უკუღმა).

## გმირი

გმირი იღვიძებს,
გმირი ჭამს ცხელ ტაფამწვარს,
გმირი გამოდის სახლიდან,
გმირს ესალმებიან მეზობლები,
მეზობლებს უყვართ გმირი,
რადგან ის გმირია,
გმირს უყვარს მეზობლები,
რადგან ის გმირია,
გმირი გამოდის ყველაზე ცხელ ტოკშოუში,
წნავს ფრაზებს,
ხრავს მოპაექრეებს,
გმირი ამბობს გულისმომკვლელ სიტყვებს,
გმირი ამბობს: სამყაროში მშვიდობა, ხოლო გულებში - სიყვარული,
გმირი ამბობს: Dum spiro spero
(წვიმა არ არის, მაყურებლები დაასველა რამ?!)
გმირი ზოგჯერ ლოცულობს
და მცირე ფულს და ღვთის სიყვარულს გამოიმუშავებს,
რადგან ის გმირია.
გმირი ზოგჯერ არც ლოცულობს,
რადგან მცირე ფულს და ღვთის სიყვარულს ისედაც გამოიმუშავებს,
რადგან ის გმირია.
გმირს ჰყავს შავი "მაზერატი" და ყველაზე ცხელი წითური გოგო
(თოვლი არ არის, მაყურებლები დაასველა რამ?!)
გმირი ჩნდება ხალხმრავალ ადგილებში,
ოღონდ იშვიათად,
რადგან ის გმირია.
გმირს აქვს მაღალი შუბლი და დაბალი წნევა
(ოთხმოცდაათი სამოცზე),
რადგან ის გმირია.
გმირი დადის მარტო,
რადგან ის გმირია,
გმირი ზოგჯერ არ დადის მარტო,
რადგან ის გმირია.
გმირი ზოგჯერ არ დადის,
რადგან ის გმირია.
გმირი ზოგჯერ არ რადგან გმირია
გმირი ზოგჯერ დადის რადგან
გმირი ზოგჯერ რადგან გმირია
გმირი ზოგჯერ... გმირია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნანა აკობიძე

## თმა და სიყვარულის დათმენა

როცა სიყვარული მომედება,
ვიჭრი თმას და ვლოცულობ სარკეში:
„მონადებო დედიანო,
მონადებო მამიანო,
ამ ნანას გაეყარე,
სხვა ნანას შეეყარე..."
რაც უფრო მოკლედ ვიჭრი,
მით უფრო გრძელდება მანძილი
ჩემსა და არასაჩემო სიყვარულებს შორის...
ამიტომაც არასოდეს მეზრდება თმა.
მაგრამ მეზრდება შიში:
რომ ერთხელაც მაკრატელი დამიჟანგდება და
ბებიაჩემის ის ლოცვაც - მონადებზე - დამავიწყდება...
.....
დღეს, როცა ასე დამოკლდა ჩემი თმა,
ვდგავარ სარკესთან და გხედავ შენ,
ხელში - ჩემი თმებისგან დაწნული თოკით,
რომელსაც ან ყულფად მიქცევ, ანდა - საბელად,
და ვფიქრობ: ღირს თუ არა ლოცვა...

## ლამაზი მკვდარი არ გინახავთ?

მინდა, ლამაზი მკვდარი ვიყო,
რომ კაცს, რომელსაც არასდროს ვუყვარდი,
მოუნდეს არამარტო კოცნა...
(ეს ვითომ არ მითქვამს -
მკვდარზე ასეთი „არამარტოები" არ შეიძლება)...

მინდა, ლამაზი მკვდარი ვიყო -
ერთადერთი - ეს ბონუსი მივიღო სიცოცხლისგან,
რომ ღირდეს სიკვდილამდე მოცდა -
(ვითომ არც ეს მითქვამს -
ასე ძაღლუმადურად ყოფნაც არ შეიძლება).

მინდა, ლამაზი მკვდარი ვიყო:
ისეთი ლამაზი, რომ ჰაერი შედედდეს ჩემს გარშემო
და კაცი, ვისაც არ ვუყვარდი,
შავტარიანი დანით ჭრიდეს ჰაერს,
მერე კი იმ დანას სასთუმალქვეშ იდებდეს, რომ ვესიზმრო...

## ამის პატრონმა, რა ვქნათ

მოდი, ასე ვქნათ:
როცა მკითხავ - „რა ვქნათ"
და დახვავებულ ყოველდღიურობას იგულისხმებ,
მე წარმოვიდგენ,
როგორ გვიყვარს ერთმანეთი აკრძალული სიყვარულით
და კითხვაზე კითხვით გიპასუხებ:
„ამის პატრონმა, რა ვქნათ?"
ახლა შენ უნდა წარმოიდგინო
ამ სიყვარულის შეუძლებლობა -
ნახევარი ქალაქი რომ უნდა დაანგრიო
და ისევ მკითხო: „რა ვქნათ?"
ასე ვქნათ ამის პატრონებმა.
ყოველდღიურობა მოიცდის.
თუ არადა - გადავავადებთ,



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული კიდევ - არასოდეს -
არც ნამდვილი, არც წარმოსახვითი, არც აკრძალული და არც - გამხელილი.
მოგივლის და თუ არ გაყვები, გადაგივლის...
თუ გაყვები - მაშინაც...
ამიტომ „რა ვქნათ"ერთადერთი საშველია.
ეს „რა ვქნათ" აკავშირებს სამყაროს.
„რა ვქნათ"-ზე დგანან ოჯახები და კლანები.
„რა ვქნათზე" დგას ღმერთიც -
გვიყურებს და ამბობს:
რა მარტივი იყო ყველაფერი სიყვარულის სახელით...
ახლა ძალით არავინ ტყუვდება.
ნებით თუ მოვიტყუებთ თავს
და როცა მკითხავ „რა ვქნათ" -
გიპასუხებ:
„მიყვარხარ."



## ნიშანი

აღარ თქვა ეს სიტყვა - მომენატრე;
ნიშნავს:
ჩიტები სხედან დენის მავთულზე და
მაღალ ძაზვას კენკავენ ჩემი ხელისგულებიდან,
დასრესილ პურთან და მსგავს სიტყვებთან ერთად.
ჩიტებს უჭირთ მათი მონელება;
აღარ თქვა ეს სიტყვა - სიყვარული;
ნიშნავს:
ბავშვები თამაშობენ დამალობანას.
სამალავებში ეშვებიან, როგორც ჭებში
და ვშეშდები – მეშინია, არ მიაგნონ იმ ჭას,
რომელშიც მე ვარ ჩამარხული,
და ვყვირი: ბავშვებო, გამოდით!
არ თქვა ეს სიტყვა - შეხვედრა;
ნიშნავს:
საშობაო სანთლები აღარ ენთება ჩემს ფანჯრებზე,
რადგან ფანჯრები – უკან ჩაბრუნებული თვალებია,
საკუთარ ტყავში მომზირალი,
ნიშანი კი წაშლილია,
ბოლო მგზავრი რომ უნდა მოეყვანა ჩემამდე.

აღარ თქვა ეს სიტყვები!...
შეაგროვე, გასანთლე და მარყუჟი გამონასკვე –
შემინახე იმ დროისთვის,
როცა ჩიტები აღარ აკენკავენ დასრესილ პურს ჩემი ხელებიდან,
ბავშვები იმ ჭას მიაგნებენ,
ბოლო მგზავრს კი ნიშანი მიეცემა...

## გადავადება

„გადავადება ერთადერთია,
რაც შეგვიძლია, შემოგთავაზოთ" –
ამბობს ჩემი ცხოვრების ბანკირი.
გადავავადე.
მეც მერე ვიცხოვრებ,
როცა ამ ცხოვრებიდან ამოვალ.
ვალის ჩამოწერის ნაცადი გზა
დღეს არ გამოვა - პროცენტები გაიზრდება,
რადგან თვითმკვლელობა ცოდვაა.
ამიტომ ხვალ ვიცხოვრებ.
დღეს ვერა.
დღევანდელი დღე ხვალინდელის ანგარიშშია გაცემული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარგარეტ ეტვუდი

*ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ*

## ვარიაცია სიტყვაზე ძილი

მინდა გიყურო მძინარეს,
რაც შეიძლება არასდროს მოხდეს.
მინდა გიყურო, როცა
გძინავს. მინდა შენთან ერთად
დავიძინო, შენს ძილში
შემოვაღწიო როცა ჩემს თავზე ძილის
ტალღა შავად აიზვირთება

და გამოგყვე წლიანი მზისა და სამი
მთვარის ხასხასა ლურჯმწვანე
ფოთლებიან დატალღულ ტყეში
გამოქვაბულთან, სადაც შენი
აკვიატებული შიშისკენ ეშვები

მინდა მოგცე ვერცხლის
ტოტი, თეთრი ყვავილი, ის ერთი
სიტყვა, შენი სიზმრის შუაგულში
საფრთხისგან რომ გიცავს.
მინდა შენთან ერთად
ისევ ავიარო გრძელი
კიბე & ვიქცე
ნავად, რომელიც უვნებლად გაგიყვანს
უკან, მინდა, ვიყო შენი
ხელისგულებიდან ასული ალი
იქ, სადაც შენი სხეული
ჩემს გვერდით წევს და მასში ისე
ადვილად აღწევ,
თითქოს ჰაერი ჩაისუნთქე,



მინდა ვიყო ჰაერი,
რომელიც წამით სახლდება
შენში. მინდა ვიყო ზუსტად ისეთივე შეუმჩნეველი
& ისეთივე აუცილებელი.

## დილა დამწვარ სახლში

დამწვარ სახლში ვსაუზმობ.
ხვდებით: არც სახლია, არც საუზმე, თუმცა,
მე ნამდვილად ვარ.

კოვზი, რომელიც გადნა, ფხაჭუნობს
ჯამზე, რომელიც ასევე გადნა.
ირგვლივ სხვა არავინაა.

სად წავიდნენ ჩემი და-ძმა,
დედა და მამა? ალბათ სანაპიროზე.
მათი ტანსაცმელი ჯერ კიდევ კარადაში კიდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ჭურჭელი ახონხლილია ნიჟარის გვერდით,
რომელიც ბუხრის გვერდითაა,
იქვეა ცხაური და ჭვარტლიანი ჩაიდანი,

ყველა წვრილმანი მკაფიოდ ჩანს,
თუნუქის ტოლჩა და რკინის სარკე,
დღეა კაშკაშა და უსიმღერო,

ტბა ცისფერი, ტყე ფხიზელი.
აღმოსავლეთით ღრუბლის ფთილა
შავი პურივით უხმაუროდ ფუვდება.



მე ვხედავ მორევს მუშამბაზე,
მე ვხედავ ბზარებს ჭიქაზე,
სადაც მზე ეცემა, ცეცხლი ბრიალებს.

მე ვერ ვხედავ საკუთარ ხელებს და ფეხებს
და არც ის ვიცი ეს მახეა თუ ღვთის წყალობა,
აი, დავბრუნდი აქ, ამ სახლში, სადაც

ყველაფერი დიდი ხნის წინ უკვე დასრულდა,
ჩაიდანიც და სარკეც, კოვზიც და ჯამიც,
ჩემი სხეულიც,

ის სხეულიც, მაშინ რომ მქონდა,
ის სხეულიც, ახლა რომ მაქვს, როცა
ვუზივარ ამ მაგიდას მარტოსული და ბედნიერი.

ბავშვის შიშველი ფეხები დამწვარ ფიცარნაგზე
(თითქმის ვხედავ).
ჩემს ცეცხლმოკიდებულ ტანსაცმელში, თხელ მწვანე მოკლე შარვალში
ყვითელ დასვრილ მაისურში -
ჩემი ნაცრიანი, არარსებული,
მანათობელი ხორცი.
თვალისმომჭრელი.

## არ/არის

სიყვარული არ არის პროფესია.
არც დახვეწილი, არც სხვაგვარი

სექსი არ არის კბილის მკურნალობა
სლიკინა პლომბით ტკივილისა და ღრმულების ამოვსება.

შენ არ ხარ ჩემი ექიმი
შენ არ ხარ ჩემი მკურნალობის კურსი,

არავის შესწევს ამის
ძალა, შენ უბრალოდ ხარ ამხანაგი/თანამგზავრი.

მოეშვი მედიკოსის ფორიაქს,
ღილებშეკრულს, ყურადღებიანს,

მიეცი საკუთარ თავს გაბრაზების უფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეც, იგივე უფლება,

რომელსაც არ სჭირდება შენი არც
თანხმობა, არც შეცხადება,

რომელსაც არ სჭირდება დაკანონება,
ის ავადმყოფობისგან

კი არ დამიცავს, არამედ შენგან,
რომელსაც არ სჭირდება განმარტება,

არც ჭრილობის ჩამობანა, არც მოწვა,
რომელსაც ერთი რამ სჭირდება მხოლოდ

ისევ და ისევ გამეორება.

მომეცი აწმყო დროის უფლება.



## მაგნოლიად რეინკარნირებული ავა გარდნერი

რატომლაც ისე მოხდა, რომ
არასოდეს აღმიქვამდნენ სერიოზულად. მაიძულებდნენ,
ფუშფუშა რალაცები ჩამეცვა: მხრებმოხდილი ბლუზები, ესპანელი
მოცეკვავეების ფენა-ფენა ასხმული ფრიალა კაბები, თუმცა,
მაინც, ვერასოდეს მოვიპოვე თავდაჯერება, - სულ მინდოდა
ვინმესთვის თვალი ჩამეკრა და ტრაგიკულად
წაგრძელებული კისრის ნაცვლად ჩემი გვერდები მეჩვენებინა. ახლა
შემომხედეთ: რომელიღაც კომპანიის
მიერ ბოძებული რესპექტაბელური
ფერი კი არა, ალმოდებული ვაგინალური წითელი,
თუ აჯანჯღარებული სასაქმებელი ზეთის ფერი
მადევს. პირდაპირ ვთქვათ: ჩემ დროს, ყოფილიყავი
ლამაზი და თანაც ქალი, მასხრობას
ჰგავდა. კაცებს ერთი სული ჰქონდათ,
ნანადირევივით კედელზე როდის მიმაჭედებდნენ,
ან, თუ შანსი მიეცემოდათ,
ბილიარდის მაგიდაზეც, ქალები სიამოვნებით
ამომჩიჩქნიდნენ თვალებს. მე კი, მე
სიამოვნებას ვამჯობინებდი, - ქარაფშუტა
სიყვარულს, კისკისს, ცოტა სასმელს, მაგრამ მაშინ არჩევანი მე არ მქონია.
რა მომანიჭებდა წონას? ფასს? მათ თვალში.
გრძელი ეშვები? შურისძიება?
კაბაში დამალული დაშნა,
ბედიწერის ნაცრისფერი ცისარტყელა,
როგორც მძალე ქონის შარავანდედი
თუ უკეთესი: ჯავშანი მკერდზე,
ქროლა სტეპებზე, იარაღასხმული მკვლელების
ურდოს წინამძღოლობა. ამისათვის, დიდი - დიდი, ძეგლი
დაგიდგან, ფხიზელი მოქალაქეების მიერ სევდიანი
გამანადგურებლებისთვის წლების მერე აღმართული
ძეგლების მსგავსი - ქვის ან სპილენძის, დიდებულად
შუბლშეკრული, კბილი კბილს მიჭერილი, თითქოს რაღაცას
ღეჭავდე. მაგათ ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ. მე მირჩევნია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავილი ვიყო - თუნდაც, ის, სკოლის საცეკვაო
საღამოზე ტუალეტის ქაღალდისგან გაკეთებულ
დეკორაციას რომ ჰგავს.
ის ყვავილი, გაქელილი, წვეულების მეორე
დღეს დარაჯი ნაგავს რომ გააყოლებს,
ნაღვლიანი ფლირტი თუ დაჭმუჭნული
კაბის ფოჩები, ან უხეში კოცნაობა
პარკინგზე, თუნდაც ბიჭი, ქონიანი კისრითა
და ბარძაყებით, ან ხელის უხეში ფათური ლიფის
გასახსნელად, დაჭორფლილ ძუძუებს შორის
იაფფასიანი სუნამოც კი, მთელ მათ ისტორიაზე
გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მათ ტალახიან
დროშებზე, ხმელ ეტრატზე, მკვდარი ძვლების შრეებზე, რომლებსაც
ასე დიდებულად მიიჩნევენ, სისხლისღვრებზე, რომელთა
დაზეპირებაზეც გიჟდებიან, და თავის შვილებს ასწავლიან, რომ იმ ადგილებში ილოცონ, სადაც სძულთ
თაიგულები, უდარდელი ბოტანიკით ტკბობა,
ჭიქა ღვინო ტერასაზე, შიშველი ფეხი მაგიდის ქვეშ, თეთრ
შარვალზე, ანტიკური ეშმაკობა და სასიცოცხლო თავსატეხი,
უკვდავების წყლის კლიშე, სიცოცხლეს
რომ ახანგრძლივებს, უგემურს და უფასურს, სიო, რომელიც
იმას აშრიალებს, რაც, შეიძლება, ახლა ჩემი ფოთლებია, ჩემი
დახუჭული მწვანე თვალები, ჩემი
ვულგარული, მყიფე, თვალისმომჭრელი
უმნიშვნელო ყვავილის ფურცლები, უამრავი
ტუჩი, შეღებილი და მყვირალა, და
ნოტიო, როცა სათბურში მკოცნის, ოჰ,
რას არ მივცემდი, რომ დამიბრუნდეს,
განსხეულდეს, სხეული,
რომელიც იყო ერთადერთი, რაც
კი ოდესმე მქონია. სიხარული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარგარეტ ეტვუდი

# ყალბი სისხლი*

*ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგია*



მარლამ „წინა ცხოვრება" სალის საშუალებით აღმოაჩინა. სალი და მარლა უბრალოდ, თანამშრომლები იყვნენ, არაფერი განსაკუთრებული - ერთად დადიოდნენ საყიდლებზე, ზოგჯერ კინოშიც.

ერთ დღეს სალიმ უზარმაზარი ბრილიანტი აჩვენა და გამოუცხადა, რომ წინა ცხოვრებაში კლეოპატრა იყო და ახლა მარკ ანტონიუსზეა დანიშნული. საქმე ისაა, რომ სალიმ თავისი საქმრო ინტერნეტ საიტზე გაიცნო, ხოლო შემდეგ, როცა ერთმანეთს რეალურ ცხოვრებაში შეხვდნენ, რაღა თქმა უნდა, ერთმანეთი გაგიჟებით შეუყვარდათ. მოდი და ნუ გაოცდები!

ამის გაგონებაზე, მარლას ყავა გადასცდა და ლამის დაიხრჩო. ჯერ ერთი, თუ სალი კლეოპატრაა, მაშინ თვითონ საბის დედოფალი გამოდის, რადგან ვერავინ იტყვის ოცდათხუთმეტი წლის სქელ და ცომივით თონთლო სალიზე, რომ მას ძველი ეგვიპტელი ქალის სექსუალურობის რამე სცხია. თანაც, მარლას გაახსენდა ის სპექტაკლი, რომელიც დიდი ხნის წინ ნახა, მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინ, რომ დავიწყებოდა მარკ ანტონიუსის, ან თავად კლეოპატრას აღსასრული - ასპიტებით სავსე კალათი.

„კლეოპატრამ პირველი ცხოვრება არც ისე კარგად დაასრულა", ამოთქვა. თავი ძლივს შეიკავა, რომ არ გასცინებოდა. სისასტიკე იქნებოდა ვიღაცის ახირებული ილუზიების დაცინვა, ბოლო-ბოლო, თავად ვინ იყო, რომ ვინმესთვის დაეცინა? ახირებული ილუზიები ეძახე და, სალისთვის მშვენიერი შედეგი კი გამოიღო.

„მართალია," თქვა სალიმ, „საშინელი დრო იყო", და ცოტათი გააჟრჟოლა. შემდეგ აუხსნა, რომ „წინა ცხოვრების" დადებითი მხარე ისაა, რომ შანსი გეძლევა, დედამიწაზე იმავე ადამიანად დაბრუნდე, შეცდომები გამოასწორო და უკეთეს შედეგს მიაღწიო. ამით აიხსნება ისიც, რომ წინა ცხოვრების წევრები უმეტესად ის ისტორიული ფიგურები არიან, ვინც ცხოვრება ტრაგიკულად დაასრულა. მაგალითად, უამრავია ძველი რომის იმპერიიდან. მეფეებს, დედოფლებს და დიდებულებს საკუთარი ამბიციებისა და შურიანი თუ ეჭვიანი და ა.შ. ადამიანების გამო, წინა ცხოვრებაში გამოუსწორებელი პრობლემები ექმნებოდათ. ახლა კი ბედისწერის შეცვლის შესაძლებლობა მიეცათ.

„საიდან იცი, რომ მაინცდამაინც კლეოპატრა იყავი?" - იკითხა მარლამ.

„რაღაცნაირად, მივხვდი." უთხრა სალიმ. „რო-

---

* - კრებულიდან: Crimespotting: An Edinburgh Crime Collection, 2009.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა პირველად პირამიდები ვნახე, ნამდვილი კი არა, ფოტო, ისეთი ნაცნობი და მშობლიური მეჩვენა! ჰო, და თანაც, საშინლად მეშინია გველების".

ისევე, როგორც ყველას. - გაიფიქრა მარლამ. ჯობია, მაგ მარკ ანტონიუსის გეშინოდეს, ნამდვილ მაჩოს მიყვები ცოლად. იმ მანიაკს ალბათ ყოფილი კლეოპატრები სარდაფში შემასავით უწყვია. თუმცა, მისი სკეპტიციზმი მარკის, რომლის ნამდვილი სახელი ბობი აღმოჩნდა, გაცნობისთანავე გაქრა. ბობი არაჩვეულებრივად მომხიბლავი, თუმცა სალიზე ბევრად უფროსი და მდიდარი გამოდგა. მას ძალიან უნდოდა, რომ სალი და ბობი, თუ კლეოპატრა და მარკი დაქორწინებულიყვნენ და შოტლანდიაში, თავის სამშობლოში გადასულიყვნენ საცხოვრებლად. მართალია, შოტლანდიის კლიმატი ბევრად განსხვავდება ეგვიპტის კლიმატისაგან, მაგრამ ეს სალის სულაც არ ანაღვლებდა: ეგვიპტესთან მისი წინა ცხოვრების ბევრი ტრაგიკული ამბავი იყო დაკავშირებული, და როგორც მარლას აუხსნა, ეგვიპტეს, შესაძლოა, დეპრესიაც კი გამოეწვია. თუმცა, ორივეს ძალიან უნდოდა იქ მცირე შვებულების გატარება, რადგან ნოსტალგია აწუხებდათ. სალის უნდოდა, გემით ნილოსს ჩაყოლოდნენ და ძველი ეგვიპტის წარმტაცი ისტორიული ადგილები დაეთვალიერებინათ.

ვიდრე თავის ახალ, გათხოვილი ქალის ცხოვრებას შეუდგებოდა, სალიმ მარლას იმ ინტერნეტ საიტის სახელი უთხრა - **„თამაშები, წინა ცხოვრება და შენი შინაგანი მე"** - და დააყოლა, რომ მარლას აუცილებლად ეცადა ბედი: გული უგრძნობდა, ისიც ძველი სული იყო, თანაც, ასეა თუ ისე, არაფერს კარგავდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მარლა კი არ ახალგაზრდავდებოდა, პირიქით; თანაც, სალისგან განსხვავებით, მომაკვდინებელი სამსახური ჰქონდა, ხოლო კაცი კი მის ცხოვრებაში არა და არ ჩანდა. მარლა კარგად მიხვდა სალის სიტყვებში დაფარულ ღვარძლს და საკმაოდ გაღიზიანდა კიდეც.

* * *

მარლას საკმაო დრო დასჭირდა, ვიდრე „თამაშებში" მონაწილეობის მიღებას გადაწყვეტდა, თავს ნამდვილ იდიოტად გრძნობდა, ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცი, ჯეკ მფატრავს გადავაწყდებოი, ფიქრობდა. ბოლოს მაინც მოძებნა საიტი. რეგისტრაცია 50 დოლარი ღირდა, წესების წაკითხვა და დაფიცებაც მოუწია, რომ დადგენილ წესებს დაემორჩილებოდა. წესების მიხედვით, მაგალითად, იკრძალებოდა დუელი ყოფილ მტრებთან, არ შეიძლებოდა სხვა მოთამაშისთვის ნამდვილი ვინაობის კითხვა, თუნდაც ერთი და იგივე სახელით რამდენიმე წევრი შეხვედროდა. საიტზე მრავალი ანა ბოლეინი აღმოჩნდა, მაგრამ ერთმანეთისგან გასარჩევად, მათ წინა ცხოვრების სხვადასხვა პერიოდი ჰქონდათ მითითებული - როცა ჰენრიზე დაქორწინდა, ფეხმძიმობა, ან დრო, როცა ტაუერში განაჩენის აღსრულებას ელოდა და ა.შ. „თამაშების" ძირითადი კონცეფციის მიხედვით, ადამიანი ცხოვრების სხვადასხვა ფაზაში იცვლება, და ამიტომ, საიტზე ერთი და იგივე სახელით მოთამაშე წევრებს სხვადასხვა ემოცია ამოძრავებთ.

მისდა გასაკვირად, მარლა „წინა ცხოვრებამ" საკმაოდ გაამხიარულა. თავი ვირტუალურ მასკარადზე ეგონა: გრძნობდა, როცა ვილაც სხვა ხარ, შესაძლოა, სწორედ მაშინ აღმოაჩინო შენი რეალური მე. თავდაპირველად, მარლა სხვა წევრებს ადევნებდა თვალს, ხედავდა, თუ როგორ საუბრობდნენ ისტორიულ ფაქტებზე, ან როგორ უზიარებდნენ ერთმანეთს იმდროინდელ რეცეპტებს - სუფლეს, ტკბილეულს, ფარშირებულ ფარშევანგს. ის აკვირდებოდა ურთიერთობის ფორმებს, აკვირდებოდა, როგორ ფლირტაობდნენ ჰენრი მეოთხე და ალიენორ აკვიტანიელი, თუ მარიანა ევანსი და ჯორჯ ჰენრი ლუისი. შემდეგ წყვილები დაფარულ პირად საუბრებზე გადადიოდნენ. მარლას გული ელეოდა, ისე უნდოდა გაეგო, რითი მთავრდებოდა ასეთი დაწყვილებები. არც ისე ხშირად, საიტზე ნიშნობისა და ქორწინების განცხადებებიც ჩნდებოდა, როგორც ეს სალის შემთხვევაში მოხდა.

საიტზე აქტიურად ჩართვაში, მხოლოდ პაროლი არ კმაროდა: მას თავისი საკუთარი წინა ცხოვრება უნდა შეექმნა, მაგრამ არ იცოდა, რომელ ისტორიულ სახელს ამოეფარებოდა. ახლა მარლას უკვე ეჭვი გაუჩნდა, რომ „თამაშები" შესაძლოა ჩვეულებრივი გაცნობის საიტიც კი იყო. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, წინა ცხოვრება სჭირდებოდა. არავითარი სურვილი არ ჰქონდა, თავი ევა ბრაუნად გამოეცხადებინა და რომელიმე ფსიქოპატ ადოლფ ჰიტლერს გადაყროდა, თანაც, ამ წყვილმა რომანი მის ცხვირწინ გაება.

თავადაც გაუკვირდა, როცა თამაში შოტლანდიის დედოფლის, მარია სტუარტის სახელით დაიწყო. მანამდე ამ ფიგურის მიმართ არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია, და არც წინასწარ მომზადებულა ამისთვის - ეს სახელი იმიტომ ამოარჩია, რომ ორივე სახელი ასო მ-ზე იწყებოდა და ერთხელ კი, ვილაც კაცს შეხვდა, სახელად სტუარტს. თუმცა, როგორც კი საიტზე ეს სახელი დააფიქსირა, ახალმა როლმა თავიდან ბოლომდე შთანთქა. მაშინვე მოუვიდა წერილები რამდენიმე ელიზაბეტ პირველისგან. „ჩემს წინააღმდეგ მართლა ამზადებდი გადატრიალებას?" ეკითხებოდა ერთი. „შეგვეძლო ახლო მეგობრები ვყოფილიყავით, იმდენი რამ გვაქვს საერთო! ვწუხვარ იმის გამო, რაც მოხდა". წერდა მეორე. „თავს საშინლად ვგრძნობ, თავის მოკვეთა საშინელი შეცდომა იყო, ტყვიის კუბო ჩემი გადაწყვეტილება არაა". წერდა მესამე. „შენმა ვაჟმა მიიღო მემკვიდრეობა. შენი მოქარგული სპილო ჯერ კიდევ არსებობს. ასე, რომ ყველაფერი არც ისე ცუდადაა".

რა ტყვიის კუბო? ფიქრობდა მარლა, რა მოქარგული სპილო? და კითხვა დაიწყო. ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა ამ საიტზე, თავისებური საგანმანათლებლო პროგრამაც ეთქმოდა.

* * *

სალი თავის ამბებს მეილით აცნობდა. თავიდან მოკლე და ცოცხალი წერილები მოდიოდა. წერდა, რომ მას და ბობ/მარკს მშვენიერი სახლი და ბაღი ჰქონდათ, და ბობიც ძალიან ყურადღებიანი და ხელგაშლილი იყო. თავის მხრივ, მარლამ თავისი ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავგადასავალი უამბო, და ცოტათი გაბრაზდა კიდეც, როცა სალი ამ სიახლეს დიდი ენთუზიაზმით არ გამოხმაურებია.

ამასობაში, მარლამ რამდენიმე უხეში წერილი მიიღო ჯონ ნოქსისგან. კონცერტზე დევიდ რიციოსთან ერთად წავიდა, რომელიც საკმაოდ ხალისიანი, თუმცა გეი აღმოჩნდა; პაემანზე უარი უთხრა რამდენიმე ლორდ დარნლის: ის ცხვირმოუხოცავი იყო წინა ცხოვრებაში, და ამ ცხოვრებაში რა გამოასწორებდა. სამაგიეროდ, ერთი საღამო გაატარა ბარში ბოთუელის გრაფთან ერთად, რომელიც დიდი წუწურაქი ვინმე გამოდგა და სამი მარტინის შემდეგ ლამის გააუპატიურა.

მარლა გრძნობდა, რომ თანდათან მარიას შინაგანი სამყაროს გაცნობას იწყებდა. მარიას ის გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრებისკენ მიჰყავდა, ვიდრე აქამდე ჰქონდა. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ბევრი მაინც არაფერი იყო აღსანიშნავი.

* * *

რამდენიმე თვის დუმილის შემდეგ, სალისგან მწუხარე წერილი მიიღო: ბობ/მარკი გემიდან გადავარდა და ნილოსში დაიხრჩო. ეს მისი ართრიტის, თუ რომელიღაც ნიანგის ბრალი უნდა ყოფილიყო. გულგატეხილი სალი წერდა, რომ იქ არ უნდა დაბრუნებულიყვნენ, რომ ეგვიპტე მათთვის უბედურების მომტანი გახდა. ამასთან, მას აინტერესებდა, მარლა შვებულებას მასთან ედინბურგში ხომ არ გაატარებდა, რომ ამ მძიმე წუთებში მეგობარს გვერდში დასდგომოდა. სალი მზად იყო, მისი ბილეთის საფასური გადაეხადა, ახლა ხომ უკვე უამრავი ფული ჰქონდა. ის ვარაუდობდა, რომ მარლას სურვილი ექნებოდა, ენახა უძველესი ქალაქი, სადაც ოდესღაც თავს საბედისწერო ამბები გადახდა.

მარლა მაშინვე დათანხმდა. შვებულებაში ორ თვეში გადიოდა, მოსამზადებლად საკმაო დრო რჩებოდა. მან მარიას შესახებ წიგნები შეიძინა, ახლა უკვე მოზრდილი ბიბლიოთეკა ჰქონდა. წიგნებში ის ენერა, რაც ისედაც იცოდა იმ ყალბი, ჯაშუშებისა და მტრების მიერ შეთითხნილი „ზარდახშის წერილების" შესახებ. თავისი იტალიელი მდივნის, გონიერი დევით რიციოს მკვლელობის გამო ენით გამოუთქმელი ტკივილი იგრძნო, თუმცა, გაურკვეველი გრძნობები აღეძრა უვარგისი ქმრის, დარნლისთან დაკავშირებით, რომელიც მისი სახლის აფეთქების შემდეგ ბაღში მკვდარი იპოვეს. იმ აფეთქების შესახებ წინასწარ, აბა, საიდან უნდა სცოდნოდა! გადარეული ბოთუელი.

შოტლანდიაში გამგზავრებას გულისფანცქალით ელოდა.

სალის წერილებში უკვე აშკარად ჩანდა, რომ მას იმდენად აღარ უხაროდა მარლას სტუმრობა. თვითონ რაც უნდა, ის თქვას, მე კი, მეტი საქმე არ მაქვს, ეს შანსი ხელიდან გავუშვა და იმ მიწაზე კიდევ ერთხელ არ დავადგა ფეხიო, ფიქრობდა მარლა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სალი აეროპორტში დახვდა. თავიდან მარლამ ვერც კი იცნო: ქალი გამხდარიყო და თმა წითლად შეეღება. მარლას მისი ცხვირის ფორმაც შეცვლილი მოეჩვენა, მოშვებული ღაბაბიც სადღაც გამქრალიყო და კბილებიც უფრო თეთრი მოუჩანდა. სახეზე მაკიაჟი სქლად ედო. მარლამ კი იცოდა, რომ სალის ძვირფასი ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ, ვერ ხვდებოდა, რამდენად ძვირფასი. თუმცა, აშკარა იყო, მათი ფასი მარლას შესაძლებლობებს ბევრად აღემატებოდა. მთლიანი ეფექტი განსაცვიფრებელი ჩანდა. ლამაზს ვერ დაარქმევ, მაგრამ თვალში აუცილებლად მოგხვდება, უხალისოდ გაიფიქრა მარლამ. ერთი თვალის შევლება რას ეყოფოდა, სალი ისეთი საყურებელი იყო, როგორც აღლუმი.

სალი უზარმაზარ ქუსლებზე თავს ძლივს იკავებდა, მარლას გადაეხვია და ცივად აღნიშნა, როგორ უხაროდა, რომ მისთვის მძიმე წუთებში ჩამოსვლა მოახერხა. „ჰერცოგი მანქანაში გველოდება", თქვა მან, როცა გასასვლელისკენ წავიდნენ. „აუცილებლად მოგეწონება, ძალიან საყვარელია".

„ვინ ჰერცოგი?"

„ესექსის". თქვა სალიმ. მარლა გაჩერდა.

„ესექსის ჰერცოგი?"

„ჰო, წინა ცხოვრებაში ჰერცოგი, ისე დეივი ჰქვია, დეივ მაკლეოდი".

„რა საერთო გაქვს ესექსის ჰერცოგთან?" ჰკითხა მარლამ, „რომელი ჰერცოგია?" გული ცუდს უგრძნობდა.

„როგორ გითხრა. მე, როგორც ელიზაბეტ პირველი, თავს მის წინაშე დამნაშავედ ვგრძნობ. იმედია, ამჯერად მაინც წავა საქმე უკეთ. მიუხედავად იმისა, რომ სიგიჟემდე მიყვარდა, მისი სიკვდილით დასჯის ბრძანებას ხელი მაინც მოვაწერე, მაგრამ, აბა, სხვა რა არჩევანი მქონდა?"

„მოიცადე." თქვა მარლამ. „შენ ხარ ელიზაბეტ პირველი? შენ ხომ კლეოპატრა ხარ!"

„ოჰ, მარლა, ეს ადრე იყო." - გაეცინა სალის. უფლება გაქვს, ერთზე მეტი წინა ცხოვრება გქონდეს. ეს უბრალოდ თამაშია, აი, ახლა ჩვენ ბიძაშვილები გამოვდივართ. ჩემო ბიძაშვილო, რა ცუდია, რომ მაშინ არ შევხვედრივართ, მაგრამ carpe diem.- სალიმ ხელმკლავი გამოსდო და მანქანისკენ წაიყვანა.

ბოროტო კუდიანო! - გაიფიქრა მარლამ, იცოდი, უდანაშაულო ვიყავი, მაგრამ ღალატისთვის მაინც დამსაჯე, მერე კი, მშრალად რომ გამოსულიყავი, თქვი, რომ უბრალოდ მოგატყუეს. მარლას ნათლად ახსოვს ის სირცხვილი, როცა ჯალათმა ყველას დასანახად მისი წითელი პარიკი აღმართა და მოკვეთილი თავი მიწაზე გაგორდა. და მერე კიდევ, ის ძაღლი, კაბის ქვეშ! ნამდვილი ფარსია!

დეივი, ესექსის ჰერცოგი, წითელსახიანი, ჭაღარათმიანი შოტლანდიელი იყო, რომელსაც საკუთარი სამშენებლო ბიზნესი ჰქონდა. ის ბობ/მარკზე უფროსი, და, მარლა ნიძლავს ჩამოვიდოდა, მასზე მდიდარიც იქნებოდა. როცა ქალები მიუახლოვდნენ, მანქანიდან გადმოვიდა და მარლას ხელი ჩამოართვა.

„ეს ჩემი პატარა დედოფალია". - ჩაიხითხითა, სალის დიზაინერის კაბით შემოსილ უკანალზე ხელი მოუთათუნა და მარლას თვალი ჩაუკრა - და თქვენ კი, როგორც ვხვდები, დიდი ხნის წინ დაკარგული მარია ბრიანდებით".

თავს მიხედე, უნდოდა ეთქვა მარლას, არც სუფლეს გაეკარო, არც გემს.

* * *

სალი ბობ/მარკს აღარ გლოვობდა. ფაქტობრივად, არც კი ახსენებდა. როგორც გაირკვა, მარლა იმიტომ მიიწვია, რომ თავისი ახალი ცხოვრებით ეტრაბახა. სალის უზარმაზარი სახლი ჰქონდა, გარშემო უზარმაზარი მიწებით. უზარმაზარი იყო გარაჟიც, სადაც რამდენიმე მერსედესი ეყენა, ფეხსაცმლის კოლექციაც და კარადებიც, რომელშიც თავის ძვირფას ტანსაცმელს ინახავდა; სალის სამკაულიც უამრავი ჰქონდა. ზუსტად ისე, როგორ ელიზაბეტ პირველს, გაიფიქრა მარლამ, ყოველთვის ჩემზე უკეთესი ტანსაცმელი ეცვა, მანამდეც, ვიდრე იმ ნესტიან, ცივ კოშკებში გამომამწყვევდა, მე კი საშუალება არ მქონდა, ჩემი შესაფერისი მოსასხამი მეყიდა. იაფფასიანი შურისძიება! ჩემი ქარიზმის შურდა. თვითონ ფუფუნებაში იხრჩობოდა, ვიდრე მე ვიჯექი და სპილოს ვქარგავდი. მარტოობისთვის გამწირა! დამცინა! რა უსამართლობაა!

მეორე დღეს ესექსი/დეივი სტირლინგში თავისი შვილიშვილების სანახავად, შემდეგ კი თავის მეგობართან, ერთ-ერთ სერ უილიამ უოლესთან შესახვედრად წავიდა. სალიმ დილით ჯერ სალონში თმა მოიწესრიგა, მერე თავის ჯიუტ შოტლანდიელ მებაღეს ეჩხუბა, მერე კი მარლა ჰოლირუდის სასახლის მოსანახულებლად წაიყვანა.

„დიდი არაფერია", გააფრთხილა წინასწარ. „ჩვეულებრივი ტურისტული მახეა, ეს ის აღარაა, რაც გახსოვს".

მარლას სასახლე თითქოს ეცნო, თუმცა, ეს იმითაც აიხსნება, რომ უამრავი ფოტო ჰქონდა ნანახი. რამდენი ხანი გავიდა ჩემს მერე, გაიფიქრა მარლამ. ახლა ყველაფერი მეტისმეტად სუფთაა. სისუფთავისთვის თავს დიდად არასდროს იწუხებდა. არ მოეწონა უსასრულო გალერეა, სადაც სტიუარტების პორტრეტები იყო ჩამწკრივებული – „თითქმის ადამიდან იწყება, იმის საჩვენებლად, თუ რა კეთილშობილი დინასტიაა," - დამცინავად თქვა სალიმ. – „და ყველას ერთნაირი დიდი ცხვირი ადევს. არ ვიცი, ამას ვინ ხატავდა, მაგრამ ხელებისთვის ყურადღება აშკარად არ მიუქცევია, ამათ ხელები რომ ჩამოუშვან, ალბათ მუხლებამდე მისწვდებათ".

თავის პორტრეტზე საშინლად გამოიყურებოდა - ლამაზი არ ეთქმოდა, თუმცა, მაშინ ყველა გიჟდებოდა მის სილამაზეზე. მის წინაშე კაცები ეცემოდნენ, მშვენივრად ახსოვს ბოთუელი, მისი ვნება... თუმცა, მან ცუდად დაასრულა.

„თითქოს რაღაცით გვავს, არა?" თქვა სალიმ. „მგონი, აჯობებს, თმა წითლად შეიღებო, უფრო დაემსგავსები".

* - მეწამული. ჯიმი ჩუ. - მალაიზიელი დიზაინერი. მეწამული - ჯიმი ჩუს ფეხსაცმლის კოლექცია.

ეროვნული

სხვა ოთახებიც მოიარეს, სალი უსიამოვნოდ დაკაკუნობდა. ექსკურსიაზე ამ ფეხსაცმლით წამოსვლა რა სისულელეა, ფიქრობდა მარლა. მენამული. ჯიმი ჩუ*. როგორც სალიმ აუხსნა.

ზედა სართულზე ავიდნენ. იქ მეტი ავეჯი იდგა. სურათები დაათვალიერეს. მარლა ელოდა, რომ რაღაც ისეთს წააწყდებოდა, რაც მოგონებებს აღუძრავდა, რაც მხოლოდ მისთვის იქნებოდა ნაცნობი და მშობლიური, მაგრამ ასეთი გარშემო არაფერი ჩანდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ იქ არასოდეს უცხოვრია.

„აი, საძინებელი". თქვა სალიმ. „ეს კი, ცნობილი სავახშმო ოთახი, სადაც რიციო მოკლეს". მან მარლას სულელურად გაუღიმა და დაამატა: „შენი ეგრეთწოდებული პირადი მდივანი".

„ვიცი," თქვა მარლამ. აი, ახლა კი მართლაც იგრძნო რაღაც. პანიკა, სასოწარკვეთა... ალბათ ბევრი იყვირა. ალბათ იარაღი დაადეს, ვიდრე საწყალი დევიდი... ალბათ მარიას ამოეფარა, მაგრამ მაინც მისწვდნენ და გამოათრიეს. თვალზე ცრემლები მოადგა. იქნებ, მართალია ეს ყველაფერი? იქნებ მართლაც იყო აქ, ოდესღაც, როგორღაც? არა, რა თქმა უნდა არა.

„ამ ადგილას, მეტი ეფექტისთვის, სისხლის ლაქები დახატეს, მაგრამ ხალხი გაგიჟდა და საღებავს ფხეკდა". - სიცილით თქვა სალიმ. „ახლა ყავისფრად გადაღებეს და უკეთესიცაა, მაინც ეტყობოდა, რომ ნამდვილი სისხლი არ იყო. აი, ამას შეხედე".

ხის იატაკს წითელი ლაქები აჩნდა, კაცს ნამდვილი სისხლი ეგონებოდა. მათ უკან კედელზე კი ფირფიტა იუწყებოდა, რომ მართალია, სისხლი ყალბი იყო, მაგრამ ეს ნამდვილად იყო ის ადგილი, სადაც დევიდს 56-ჯერ ჩასცეს მახვილი და შემდეგ კიბიდან გადააგდეს.

აი, ის კიბეც. მარლა კანკალებდა. მისთვის საშინელი შოკი იქნებოდა, მაშინ ექვსი თვის ორსული იყო. ხომ შეიძლებოდა, მუცელი მოშლოდა. დევიდს ტანსაცმელი გახადეს და სამკაული მოხსნეს, რომ ძარცვას დამსგავსებოდა, შემდეგ კი სრულიად შიშველი ორმოში ჩააგდეს.

„მითხარი," თქვა სალიმ. „ მართალია? მართალია, რომ მასთან იწექი? იმ პატარა მახინჯ მუსიკოსთან?" როგორც ჩანს, მარლას ცრემლებს ვერ ამჩნევდა.

მარლამ თავი ხელში აიყვანა. „ეს როგორ იფიქრე?" თქვა მან. „მე დედოფალი ვიყავი!" უკვე სიმრაზეს გრძნობდა. მაგრამ ხმა არ აუმაღლებია: იქვე ამერიკელი ტურისტები დედოფლის საწოლთან ჩამოკიდებულ ნაქარგებს ათვალიერებდნენ.

„ბევრი თვლიდა ასე". სალი აშკარად მის გაღიზიანებას ცდილობდა. "იმ დროს სისხლი გიდუღდა და თავს დიდად არ იზღუდავდი, ფრანგი დოფინი, მერე დარნლი, მერე ბოთუელი და ვინ იცის, კიდევ ვინ. ვითომ რიციოს რატომ დაიწუნებდი?

„გეი იყო", თქვა მარლამ, მაგრამ სალი არ ეშვებოდა.

„როგორც ამბობენ, ნამდვილი ბოზი იყავი. ჯობია, ახლაც ასე გააგრძელო, ცოტა გართობაზე რას იტყვი? თუ წონაშიც დაიკლებ..."

„ შენ მოაგზავნე ისინი".თქვა მარლამ. სადმე ნაიკითხა? იგრძნო, მუშტები როგორ შეკრა, „შენ გადაუხადე! იმ შეთქმულებს! შენ გაწყობდა ჩემი სიკვდილი, რომ მერე ყველაფერი შენ დაგრჩენოდა!" დედოფალი ფუტკარია თავისი ფეხსაცმლის კოლექციასთან, თავის მდიდარ, თვითმარქვია, ვითომ ჰერცოგთან, თავის მერსედესებთან ერთად - გაიფიქრა მან. მარლამ ნაბიჯი გადადგა სალისკენ. სალიმ უკან დაიხია, ქუსლებზე ყანყალებდა. უკვე კიბის კიდესთან იდგა.

„მარლა, მარლა," თქვა ნერვიულად. „ნუ გადაირიე! ეს მხოლოდ თამაშია!"

არანაირი თამაში, გაიფიქრა მარლამ. ხელის კვრა ასე ძლიერად არ უნდოდა. სალი უკან გადავარდა, კიბეზე ჩაგორდა. გაისმა ჭრიალი, მერე უსიამოვნო ტკაცუნი.

„ფეხსაცმლის ბრალია," მოგვიანებით გაუთავებლად სლუკუნებდა მარლა, „ფეხი გადაუბრუნდა. ამხელა ქუსლები არ უნდა ჩაეცვა, მუზეუმში მაინც არა. გავაფრთხილე".

* * *

თავიდან ჰერცოგი შფოთავდა, მაგრამ მარლა დაეხმარა ამ მძიმე დარტყმის გადატანაში. „ჩემი საწყალი დედოფალი," თქვა ბოლოს. „პატივმოყვარეობამ დაღუპა. საკუთარი თავით იყო შეპყრობილი, ხომ ასეა, არ მეთანხმები?"

შემდეგ, ის გამოტყდა, რომ მალულად უყვარდა მარია, ისევე, როგორც უამრავ კაცს მაშინ, თუმცა, პირადად არასოდეს შეხვედრია მას. აქამდე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# Lusus Naturae*

*ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ*



რამე ეშველება? როგორ მოვიქცეთ? სულ ეს ორი შეკითხვა ისმოდა. დიდი არჩევანი არ ჰქონდათ. ჩემი ოჯახი დარდობდა და გამოსავალს დაუსრულებლად ეძებდა, როცა ღამით დარაბებდახურულ სამზარეულოში მაგიდას მიუჯდებოდა და გამომშრალ, ბეწვიან ძეხვსა და კარტოფილის სუპს შეექცეოდა. თუ სრულ ჭკუაზე ვიყავი, მეც მათთან ერთად ვჯდებოდი, საუბარში აქტიურად ვერთვებოდი და თან ჩემს ჯამში კარტოფილის დიდ ნაჭრებს ვარჩევდი. თუ არა და, ბნელ კუთხეში ვიჯექი, ჩემთვის ვწკმუტუნებდი და იმ ყლურტულს ვუსმენდი, რომელიც მხოლოდ მე მესმოდა.

„ისეთი საყვარელი ბავშვი იყო", იმეორებდა დედაჩემი. „არასოდეს ავადმყოფობდა". ნაღვლობდა, რომ ისეთი რამ გააჩინა, როგორიც მე ვარ: ეს ბრალდებას ჰგავდა, განაჩენს. მაინც, ასეთი რა დააშავა?

„ვიღაცამ დაგვწყევლა". თქვა ბებიამ. ისიც ძეხვივით გამომშრალი და ბეწვიანი იყო, თუმცა, ეს მისი ასაკისთვის ბუნებრივია.

„დაბადებიდან ჯანმრთელი იყო", თქვა მამამ. „ყველაფერი ბატონების მერე დაემართა, როცა შვიდი წლის იყო. ამის შემდეგ".

„ვის უნდა დავეწყევლეთ?" თქვა დედამ.

ბებიამ ნარბები შეკრა. მას კანდიდატების გრძელი სია ჰქონდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ხელს ვერავის დაადებდა. ჩვენს ოჯახს ყველა პატივს სცემდა, ასე თუ ისე, უყვარდათ კიდეც. ჯერ კიდევ ასე იყო. ასეც გაგრძელდებოდა, მე თუ რამეს მომიხერხებდნენ, უფრო სწორად, ვიდრე ჩემი ამბავი გამჟღავნდებოდა.

„ექიმი ამბობს, რომ რაღაც ავადმყოფობა შეეყარა". თქვა მამამ. მას უყვარდა იმის მტკიცება, რომ რაციონალური ადამიანი იყო. ის გაზეთებს იღებდა. სწორედ მან დაიჟინა, რომ კითხვა მესწავლა და თავად მასწავლა კიდეც. მაშინ მე უკვე აღარ ვნებივრობდი მის მკლავებზე, მაგიდის ბოლოს მომიჩინა ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთმა სიშორემ გული მატკინა, მაინც მესმოდა მისი.

„მაშინ წამალი რატომ არ მოგვცა?" თქვა დედამ. ბებიამ წაიფრუტუნა. მას საკუთარი აზრი ჰქონდა და ეს აზრი სოკოსა და მოჭრილი ხიდან გადმოსულ წყალს უკავშირდებოდა. ერთხელ, თავზე ნარეცხი წყალი დამასხა და თან ლოცულობდა. ეს რიტუალი იმ ეშმაკის გასადევნად იყო მიმართული, რომელიც, როგორც მას მტკიცედ სწამდა, პირიდან შემიფრინდა და ახლა ჩემს გულისფიცარზე ბუდობდა. მაშინ დედამ მითხრა, რომ ბებიას გულის სიღრმეში ცუდი არაფერი ედო და მხოლოდ კეთილი ზრახვები ამოძრავებდა.

გოგონას პური მიეცით, თქვა ექიმმა, ბევრი პური და კარტოფილი. სისხლსაც მოგთხოვთ. ქათ-

*-კრებულიდან: Stone Mattress, 2014.

მის სისხლი გამოდგება, ძროხისაც. ბევრი არ დაალევინოთ. ავადმყოფობის სახელიც გვითხრა, ბევრი პს, თუ რს ერია, და ჩვენ ეს სახელი არაფერს გვეუბნებოდა. როცა ყვითელი თვალები, ვარდისფერი კბილები, წითელი ფრჩხილები და მკერდზე და მკლავებზე გრძელი, მუქი თმა დამითვალიერა, გვითხრა, რომ ასეთი ავადმყოფი ჩემამდე მხოლოდ ერთხელ ენახა. უნდოდა, ქალაქში წავეყვანე, რომ სხვა ექიმებსაც გავესინჯე, მაგრამ ჩემმა ოჯახმა უარი განაცხადა. თქვენი გოგონა არის lusus naturae, დაასკვნა მან.

„ეს რას ნიშნავს?" იკითხა ბებიამ. „გონჯია" თქვა ექიმმა. ჩვენ ის შორიდან გამოვიძახეთ, რადგან, ვშიშობდით, ჩვენი ექიმი, სოფელში ხმებს გაავრცელებდა. „ლათინური სიტყვაა, დემონს ნიშნავს". ეგონა, მე არ მესმოდა, რადგან ამ დროს ვკრუტუნებდი. „არავის ბრალი არაა".

„ის ადამიანია". თქვა მამამ. მან ექიმს კარგად გადაუხადა, რომ თავის შორეულ სახლში დაბრუნებულიყო და აღარასოდეს გამოჩენილიყო ჩვენს მხარეში.

„ასე რატომ გაგვწირა ღმერთმა?" თქვა დედამ.

„წყევლაა თუ დაავადება, რა მნიშვნელობა აქვს, არავინ წამიყვანს ცოლად". თქვა ჩემმა დამ. მე თავი დავუქნიე: სიმართლეს ამბობდა. ჩემი და ლამაზი გოგო იყო, არც ჩვენ გვეთქმოდა ღარიბები, ლამის ბობოლებიც ვიყავით, ერთადერთ დაბრკოლებას მე ვუქმნიდი.

დღისით ჩემს ჩაბნელებულ ოთახში ვიყავი გამოკეტილი: საქმე უკვე სახუმაროდ აღარ იყო. ამაზე არ ვწუხდი, რადგან მზის სინათლეს მაინც ვერ ვიტანდი. ღამით სახლში დავბორიალობდი, სხვათა ხვრინვას და ღამის კოშმარის ყვირილს ვუსმენდი. კატა ერთადერთი სულიერი აღმოჩნდა, ვისაც ჩემთან ყოფნა სურდა. მე სისხლის სუნი მცემდა, ბებერი, გამხმარი სისხლის სუნი, და შესაძლოა, გვერდიდან სწორედ ამიტომ არ მშორდებოდა, ზედ მახტებოდა და მტლეკდა.

მეზობლებს უთხრეს, რომ ციება მქონდა, ნერვიული აშლილობა, დელირიუმი. მეზობლები კვერცხს და კომბოსტოს მიგზავნიდნენ, დროდადრო სახლშიც მოდიოდნენ, ჩემს ამბებს კითხულობდნენ, თუმცა, ჩემი ნახვის სურვილს არ გამოთქვამდნენ, ეშინოდათ, რამე არ გადასდებოდათ.

გადაწყდა, უნდა მოვმკვდარიყავი, რომ ჩემი დისთვის გათხოვებაში ხელი არ შემეშალა. „ჯობს, ერთი მაინც იყოს ბედნიერი, ვიდრე ორივე საცოდავი". თქვა ბებიამ და ჩემი კარის ჩარჩოს ნიორი წაუსვა. მე დავთანხმდი, მინდოდა, ვინმეს რამეში გამოვდგომოდი.

მღვდელი მოისყიდეს. ამასთან, ის ჩვენს მდგომარეობაში შევიდა. ყველას უყვარს, როცა ფიქრობს, რომ სიკეთეს აკეთებს, და ამავდროულად, ერთ ტომარა ფულსაც იჯიბავს, და ჩვენი მღვდელი რატომ იქნებოდა გამონაკლისი. მან მითხრა, რომ ღმერთმა სხვა გოგოებისგან გამომარჩია, როგორც თავისი საცოლე. ასევე მითხრა, რომ ღმერთი ჩემგან მსხვერპლს მოითხოვს და ჩემი ტანჯვა სულის განწმენდას ემსახურება. ისიც თქვა, რომ გამიმართლა: მთელი სიცოცხლე უმანკო დავრჩები, და ვერცერთი კაცი ვერ წამბილწავს, ამის გამო კი, პირდაპირ სამოთხეში მოვხვდები.

მან მეზობლებს ამცნო, რომ ნამდვილი წმინდანივით აღვესრულე. ქალწულის შესაფერისად თეთრი კაბა ჩამაცვეს, ბნელ ოთახში, ღრმა კუბოში ჩამაწვინეს, ზემოდან, ჩემი ბალნის დასაფარად რამდენიმე ფენა თეთრი ვუალი გადამაფარეს. იქ ორი დღე ვიწექი, ოღონდ, ღამით, რა თქმა უნდა ვდგებოდი და სახლში დავდიოდი. როცა ოთახში ვინმე შემოდიოდა, სუნთქვას ვიკავებდი; ხალხი ფეხაკრეფით დადიოდა, ჩურჩულებდა, კუბოსთან ახლოს არავინ მოდიოდა, რადგან ჩემი ავადმყოფობის ისევ ეშინოდათ, დედაჩემს კი ეუბნებოდნენ, რომ ნამდვილ ანგელოზს ვგავდი.

დედა სამზარეულოში იჯდა და ისე დამტიროდა, თითქოს მართლა მოვკვდი. ჩემმა დამაც კი მოახერხა და მგლოვიარე სახე მიიღო. მამამ შავი ტანსაცმელი ჩაიცვა, ბებია პურს აცხობდა. მესამე დღეს კუბო სველი თივით გაავსეს, სასაფლაოზე წაიღეს, ჩამარხეს, ილოცეს და ზედ მოკრძალებული ქვა დაადეს, სამი თვის შემდეგ კი ჩემი და გათხოვდა. ის ეკლესიაში ეტლით წაიყვანეს, რაც პირველი შემთხვევა იყო ჩვენს ოჯახში. იმ ეტლში ასასვლელად მან ჩემს კუბოზე გადაიარა.

მკვდარი თავს უფრო თავისუფლად ვგრძნობდი. დედაჩემის გარდა, არავის ჰქონდა ჩემს ოთახში, ანუ, როგორც მას ეძახდნენ, ჩემს ყოფილ ოთახში, შემოსვლის უფლება. მეზობლებს უთხრეს, რომ ოთახი უცვლელად დატოვეს, როგორც ჩემი ხსოვნის წმინდა ტაძარი. კარზე ჩემი სურათი დაკიდეს, ეს სურათი იმ დროინდელი იყო, როცა ჯერ კიდევ ადამიანი ვიყავი. წარმოდგენა არ მქონდა, ახლა როგორ გამოვიყურებოდი. სარკეს ვერიდებოდი.

მკრთალ შუქზე პუშკინს, ლორდ ბაირონსა და ჯონ კიტსს ვკითხულობდი. გავიგე, რა იყო უიმედო სიყვარული, სასოწარკვეთა, სიკვდილის სიტკბო და ეს ყველაფერი მომწონდა. დედას ჩემთან პური, კარტოფილი და ფინჯნით სისხლი შემოჰქონდა, ღამის ქოთანი კი გაჰქონდა ხოლმე. ადრე, ვიდრე ბალნით მთლიანად დავიფარებოდი, თმას მვარცხნიდა, გულში მიკრავდა და ტიროდა, მაგრამ ახლა ცდილობდა, ოთახიდან რაც შეიძლება სწრაფად გასულიყო, თუმცა, ცდილობდა, მე არ შემემჩნია. მე კი, რა თქმა უნდა, ძალიან მწყინდა.

ღამით ჯერ სახლს მოვივლიდი ხოლმე, მერე ეზოში გავრბოდი, შემდეგ კი ტყეში. სხვა ადამიანები ან მათი მომავალი აღარ მადარდებდა. მე მომავალი არ მქონდა. მხოლოდ აწმყო მქონდა, აწმყო, რომელიც, როგორც ვხვდებოდი, მთვარესთან ერთად იცვლებოდა. შეტევები რომ არა, ტკივილი რომ არა, რომ არა ის ხმები, რომელიც მესმოდა, მაგრამ არაფერი გამეგებოდა, შეიძლება ითქვას, რომ თავს ბედნიერად ვგრძნობდი.

ჯერ ბებია მოკვდა, მერე მამა. კატა დაბერდა. დედა უფრო დიდ სასოწარკვეთილებას მიეცა. „ჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი სანყალი გოგო". ისე ამბობდა, თითქოს გოგო აღარ ვყოფილიყავი. „ვინ მოგხედავს, როცა მე აღარ ვიქნები?"

ამ შეკითხვაზე ერთადერთი პასუხი არსებობდა: თვითონ მიეხედავ თავს. ამიტომ, ჩემი შესაძლებლობების კვლევა დავიწყე. აღმოჩნდა, რომ უფრო მეტი შემეძლო მაშინ, როცა არ ვჩანდი, ვიდრე მაშინ, როცა ვჩანდი, და გაცილებით მეტი, როცა ნაწილობრივ ვჩანდი. ტყეში ორი ბავშვი განგებ შევაშინე: მათ ჩემი ვარდისფერი კბილები, ბანჯგვლიანი სახე და წითელი ფრჩხილები დავანახე, მერე დავიკნავლე, და ისინიც წივილ-კივილით გაიქცნენ. მალე ხალხი ტყეში ჩვენს მხარეს სიარულს ერიდებოდა. ერთხელ ფანჯრიდან გავიჭყიტე და მეზობელ ქალს გული გავუხეთქე. ის ქალი კარგა ხანს ისტერიულად მოთქვამდა: „დავინახე, ის რაღაც დავინახე". როგორც მივხვდი, ის რაღაც მე ვიყავი. კი, მაგრამ ის რაღაც რატომ არ არის ადამიანი?

ვიღაც უცნობმა ჩვენი კარმიდამოს ყიდვა გადაწყვიტა. დედას ყველაფრის გაყიდვა და საცხოვრებლად გადასვლა უნდოდა ჩემს დასთან და მის ბობოლა ქმართან და მის მზარდ ოჯახთან, რომელთა პორტრეტები იმჟამად დახატეს. მარტოყოფნა უკვე ძალიან უჭირდა, მაგრამ აბა, როგორ მიმატოვებდა?

„წადი" ვუთხარი დედას. იმ დროისთვის კი აღარ ვლაპარაკობდი, რაღაცნაირად, ვიღრინებოდი. „ჩემს ოთახს გავათავისუფლებ. სხვა ადგილს ვიპოვი." დედაჩემი, ის საბრალო სული, ჩემი მად-



ლობელი დარჩა. ამასობაში, ისე მიმეჩვია, როგორც თითში ჩაბრუნებულ ფრჩხილს, ან ხიჭვს, ან მეჭეჭს - რას იზამდა, მისი ნაწილი ვიყავი. თუმცა, დიდი სიამოვნებით მომიშორებდა, თავისი ვალი უკვე მოიხადა.

გადაბარგებისა და ავეჯის გაყიდვის დროს თივის ზვინში ვიმალებოდი. ჩემთვის თივა სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ ზამთარს იქ ვერ გავატარებდი. როცა ახალი მაცხოვრებლები გადმოვიდნენ, მათი გაყრა არ გამჭირვებია. სახლს კარგად ვიცნობდი, ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი ვიცოდი. სიბნელეშიც თავისუფლად ვიკვლევდი გზას. ჯერ ერთხელ გამოვეცხადე, მერე მეორედ. მათთვის მე გავხდი მოჩვენება, მთვარის შუქზე წითელფრჩხილიანი ხელით სახეზე რომ ეხებოდა და ჟანგიანი ანჯამების ჭრიალის ხმაც, რომელსაც ჩემდაუნებურად გამოვცემდი. მალე ყველა გაიქცა, სოფელმა კი ჩვენს სახლს მოჩვენებების სახლი დაარქვა. ისევ იქაურობის ბატონ-პატრონი ვიყავი.

მთვარის შუქზე მოპარულ კარტოფილსა და კვერცხზე ვცხოვრობდი. დროდადრო საქათმეში ვიპარებოდი, ქათამს თავს ვაწყვეტდი და სისხლს ვსვამდი. ძაღლები, მართალია მიყეფდნენ, მაგრამ თავს არასოდეს მესხმოდნენ: ვერ ხვდებოდნენ, რასთან ჰქონდათ საქმე. სახლში სარკეში ჩავიხედე. სიმართლეა, რომ მკვდრები სარკეში არ ჩანან - საკუთარი თავი ვერ დავინახე. სარკეში გამოჩნდა რაღაც, რაც მე არ ვიყავი. ის არ ჰგავდა უმანკო, ლამაზ გოგონას, როგორიც მე საკუთარი თავი მახსოვდა.

ახლა ყველაფერი დასასრულს უახლოვდება. მეტისმეტად ხილული გავხდი.

აი, ეს როგორ მოხდა:

ბინდბუნდში, მინდორში, ტყის განაპირას მაყვალს ვკრეფდი, როცა ორი ადამიანი დავინახე, ერთი ახალგაზრდა კაცი, მეორე კი ახალგაზრდა გოგონა. სხვადასხვა მხრიდან მოდიოდნენ. კაცს გოგონაზე უკეთესი ტანსაცმელი ემოსა. ფეხსაცმელიც კი ეცვა.

დროდადრო ჩერდებოდნენ, უკან იხედებოდნენ, კარგად ვიცნობ ამ მზერას - ისე მოდიოდნენ, თითქოს ვიღაცას ემალებოდნენ, ზუსტად ისე, როგორც მე მივიპარებოდი ხოლმე. ბუჩქებში ჩავიმალე და იქიდან ვუთვალთვალებდი. ერთმანეთს შეხვდნენ, ჩაეკვრნენ და მიწაზე დაეცნენ. დროდადრო წკმუტუნის და შეკივლების ხმა მესმოდა. მივხვდი - ორივეს ერთდროულად ავადმყოფობის შეტევა ქონდა. ალბათ ის ორი, - ო, ღმერთო, როგორც იქნა! - ჩემნაირი იყო. ახლოს მივცოცდი, რომ უკეთ დამენახა. მე ჯერ არ მგავდნენ - ხელების გარდა თმა არსად ჰქონდათ, ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან თითქმის შიშვლები იყვნენ. როგორც დავასკვენი, ავადმყოფობა ახალი შეყრილი ჰქონდათ, ჯერ კიდევ დრო სჭირდებოდათ ჩემ მდგომარეობამდე მოსასვლელად. ნამდვილად იცოდნენ, რომ იცვლებოდნენ და ერთმანეთი იპოვეს, რომ ერთად გადაეტანათ უბედურება.

მართალია, დროდადრო ერთმანეთს კი [illegible]დნენ, მაგრამ მომეჩვენა, რომ ამ ავადმყოფობიდან სიამოვნებას იღებდნენ. კარგად ვიცოდი, ეს რას ნიშნავდა, რამხელა შვება იქნებოდა ჩემთვის მათთან ერთად ყოფნა. მართალია, წლების განმავლობაში თავს მარტოობას ვაგუებდი, მაგრამ ახლა ნათლად ვხედავდი, ჩემი წლობით გამობრძმედილი სიმტკიცე ერთბაშად როგორ ქრებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ვერ ვბედავდი მათთან მიახლოებას.

მალე ახალგაზრდა კაცს ჩაეძინა. გოგონამ პერანგი დააფარა და შუბლზე აკოცა. შემდეგ ფრთხილად წავიდა.

მე ბუჩქებიდან გამოვედი და მისკენ უხმაუროდ წავედი. აი, ისიც, ბალახზე ეძინა, ახლა ძალიან ვნანობ, რომ საკუთარი თავი ნებაზე მივუშვი. სიფრთხილე სულ დამავიწყდა. წითელფრჩხილიანი ხელი სახეზე დავადე. კისერზე ვუკბინე, აზრზე არ ვარ, რატომ, შიმშილი მამოძრავებდა თუ სიხარული? საიდან უნდა ვიცოდე? მას გაეღვიძა, დაინახა ჩემი ვარდისფერი კბილები, ყვითელი თვალები, ჩემი ფარფარა შავი კაბა, დამინახა, როგორ გავრბოდი. დაინახა - საით.

ახალგაზრდა კაცმა სოფელში ხალხს ჩემ შესახებ უამბო და მათ თავისი ვარაუდები გამოთქვეს. მერე სასაფლაოზე წავიდნენ, ჩემი საფლავი გათხარეს, ცარიელა კუბო ნახეს და საშინელება იფიქრეს. ახლა ამ სახლისკენ მოდიან სიბნელეში, გრძელი ჯოხებით, ჩირაღდნებით. ჩემი დაც მათ შორისაა, მისი ქმარიც, ის ახალგაზრდაც, მე რომ ვაკოცე. ჩემთვის ეს კოცნა იყო.

რა უნდა ვთქვა, როგორ უნდა ავუხსნა, რა დამემართა? როცა ხალხი დემონს ითხოვს, ვიღაცამ უნდა ითამაშოს დემონის როლი და რა მნიშვნელობა აქვს, შენ თავად დათანხმდები თუ გაიძულებენ, ბოლო მაინც ერთია. „მე ადამიანი ვარ". შემეძლო მეთქვა, მაგრამ როგორ დავამტკიცებდი? „მე ვარ lusus naturae. წამიყვანეთ ქალაქში, ექიმებმა მნახონ". არანაირი იმედი არ შეიძლება მქონდეს. მგონი, კატასაც ჩემი ბედი ელის.

ბუნებით მიმტევებელი ვარ. ვიცი, გულის სიღრმეში, ცუდი არაფერი უდევთ. ჩემი თეთრი კაბა ჩავიცვი, რაშიც დამასაფლავეს, თეთრი ვუალიც ჩამოვიფარე, როგორც ქალწულს შეეფერება. ადამიანმა გარემოება სწორად უნდა შეაფასოს. ხმები გაძლიერდა, გაფრენის დროა. ცეცხლმოკიდებული სახურავიდან კომეტასავით დავეშვები, დავეცემი და ჭიაკოკონად ავბრიალდები. ჩემს ფერფლზე შელოცვებს იქამდე წაიკითხავენ, ვიდრე არ დარწმუნდებიან, რომ ამჯერად მართლა მოვკვდი. ცოტა ხანში დემონად გამომაცხადებენ, ჩემი თითის ძვლები კი ბნელი ძალის რელიქვიად გაიყიდება. იმ დროისთვის უკვე ლეგენდა ვიქნები.

ალბათ, სამოთხეში სხვა ანგელოზებს დავემსგავსები. ან, შეიძლება, ანგელოზები მე მგვანან. თუ ასეა, წარმომიდგენია, როგორ გაგიჟდება ყველა! აი, ამას კი მოუთმენლად დაველოდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაჰერე ალავი

# სადგური

სპარსულიდან თარგმნა მზია ბურჯანაძემ



ბნელოდა. ქმარი შორიდან ხელით მანიშნებდა, მოდიო. სამგზავრო ჩანთა ავიღე და მისკენ გავიქეცი. მატარებელი განუწყვეტლივ სტვენდა. მგზავრები ყოველ დასტვენაზე უფრო და უფრო მედგრად უტევდნენ მატარებელს. მინა მსხვილი ქვებით იყო მოფენილი. რაც უფრო დიდ ნაბიჯებს ვადგამდი, მით უფრო ნელა მივიწევდი წინ. სწორედ იმ დროს მივუსწარი, კიბეზე რომ ადიოდა. ჩანთა შევაგდე და სხეული მაღალ კიბეებზე ავითრიე. ქმარს არც შემოუხედავს. უგუნებოდ იყო. რატომ? რა ვიცი. ალბათ, ხმაურის ან მგზავრების მუჯლუგუნების გამო. ალბათ...

კუპეში შევიდა და კარი ხმაურით მოიჯახუნა. ჩანთა დერეფნის კუთხეში დავდე და რამდენიმე წუთით იქვე გავჩერდი. ღამის სიბნელეში მეჩეთისა და მეისრის ჯიხურის ნათურები ციმციმებდა. რამდენიმე გზააბნეული მგზავრი ჯერაც აქეთ-იქით მირბოდ-მორბოდა.

კვლავ კუპეს გავხედე. ნათურა ჩამქრალიყო. ჩემს ქმარს ჩასძინებოდა. ძილი ძალიან უყვარდა. მეც დაღლილი ვიყავი. დაწოლა მომინდა. უხმაუროდ შევედი კუპეში, კარი დავკეტე და ფარდები ჩამოვუშვი. მძიმე ჰაერი იდგა. მინის ჩამოწევა დავაპირე, რომ გადაბრუნდა და რაღაც ჩაიბურტყუნა. ცხადია, შესცივდა! შევწუხდი. ხელისცეცებით მივაგენი საწოლის ბოლოს ფუთასავით დაკეცილ პლედს და მის ქვეშ შევძვერი.

ძალიან მიყვარს მატარებლის დაგადუგი. იავნანად ჩამესმის. მერე რა, რომ ღამით რამდენჯერმე მეღვიძება. თვალს როგორც კი ვხუჭავ, ისევ ვიძინებ.

... ახლა მატარებელი უფრო მეტად ირწეოდა და თანდათან სვლას უკლებდა. საათს შევხედე. დილის შვიდის ნახევარს აჩვენებდა. ჩემს ქმარს პლედი მჭიდროდ შემოეხვია და მეცხრე ძილში იყო. გავედი, რომ სახეზე წყალი შემესხა. როცა დავბრუნდი, დავინახე, ტანსაცმელი ჩაეცვა და ფანჯარას ეჯაჯგურებოდა გასაღებად. კარი რომ მივხურე, თავი მოაბრუნა. კი მაგრამ, ეს ხომ ჩემი ქმარი არ იყო... დავიბენი. ჩქარ-ჩქარა მოვუბოდიშე და კუპედან გამოვედი. კუპე შემშლია. ისევ საპირფარეშოსკენ გამოვბრუნდი და ამჯერად მეტი ყურადღებით გადავთვალე: "სამი, ოთხი, ხუთი".

ჩვენი კუპე საპირფარეშოდან მეხუთე იყო. კარი გაეღოთ, მაგრამ ფარდები ჩამოეშვათ. ფარდის გადაწევა რომ დავაპირე, კუპედან ის კაცი გამოვიდა. ჩემთვის არც შემოუხედავს, თავი მიაბრუნ-მოაბრუნა და მზერა დერეფანს მოავლო. მერე, თითქოს საკუთარ თავს ებაასებაო, ჩაილაპარაკა: "ნეტა, ეს ქალი რა იქნა?"

მატარებელი ნელ-ნელა სადგურს უახლოვდებოდა. გვარიანად ვღელავდი. კუპეს ვერ ვაგნებდი. კი მაგრამ, როგორ? ისევ საპირფარეშოსკენ წავედი. საპირფარეშოს კედელთან – სასმელი წყლის ავზი, მის გვერდით – გამცილებლის კუპე, იქიდან მეხუთე კი ჩვენი კუპე იყო. კართან ისევ ის კაცი იდგა. მაპატიეთ-მეთქი, ვუთხარი და ფარდა ფრთხილად გადავწიე. კუპეს კუთხეში ჩემი ქმრის ჩანთა იდო. გულზე მომეშვა. ცხადია, საპირფარეშოში წავიდოდა. ცოტა კი გამიკვირდა, რადგან ისეთი კაცი არ იყო, ჩანთა ასე ბედის ანაბარა მიეტოვებინა. სკამზე ჩამოვჯექი. სხვა რა გზა მქონდა, უნდა დავლოდებოდი. ნეტა, მალე დაბრუნდებოდეს!

დერეფანი მგზავრებით გაივსო. ყველა ცდილობდა, სხვებზე ადრე ჩასულიყო მატარებლიდან და, რადგან ამას ვერ ახერხებდა, დროდადრო კინკლაობაც ჩაღდებოდა. კაცი ჯერაც კართან იდგა და თავს განუწყვეტლივ აქეთ–იქით ატრიალებდა. მერე უცბად მე მომიბრუნდა: "მაპატიეთ, ჩემი ცოლი ხომ არ დაგინახავთ?"

ის იყო, პასუხი დავაპირე, რომ პირი იბრუნა. საბრალო, ცოლზე ღელავდა. მეც ხომ ქმარზე ვწუხდი. სად უნდა წასულიყო? რა გამოსავალი მქონდა, აქვე უნდა დავლოდებოდი. მატარებელი გაჩერდა. კარები ხრჭიალით გაიღო და ხალხი კალიასავით მოედო სადგურს. საათი შვიდს აჩვენებდა. დაბნეულ-აღელვებული კაცი დერეფნის ერთი ბოლოდან მეორეში მიმოდიოდა.

"ნეტავ, რატომ არ ჩანს, სად უნდა წასულიყო?"

კუპედან გარეთ გამოვედი. საპირფარეშოს კარი მოვსინჯე. დაეკეტათ. არც გამცილებლის პოვნა ჩანდა იოლი. რა უნდა მექნა? მესამე ვაგონის ბოლოს რესტორანი იყო. ვიფიქრე, იქნებ ჩაის დასალევად წავიდა-მეთქი, მაგრამ რესტორნის კარი დაკეტილი დამხვდა. იქიდან ახალგაზრდა კაცმა მანიშნა, რესტორანი არ მუშაობსო. დავიძახე: "ჩემი ქმარი"... მაგრამ მან ყურადღება არ მომაქცია და წავიდა.

რამდენიმე წამს იქვე ვიდექი. გული გამალებით მიცემდა. კუპესკენ გამოვბრუნდი. დერეფანში კაცი აღარ ჩანდა. ალბათ, ცოლი იპოვა და წავიდა. გამცილებელმა გარედან დაიძახა: "ქალბატონო, მანდ რას აკეთებ? ჩამოდი".

მატარებელში ველარ დავრჩებოდი. ქმრის ჩანთის ასაღებად კუპეში შევედი, მაგრამ მისი კვალიც გამქრალიყო. ამოვისუნთქე. დავმშვიდდი. დავრწმუნდი, რომ არაფერი დამართნია. ცხადია, ჩემი წასვლის მერე დაბრუნდა, ჩანთა აიღო და ახლა გარეთ მელოდება.

სასწრაფოდ ჩამოვედი მატარებლიდან. ცოტა ხანს ხალხში ვეძებე, მაგრამ ამ აურზაურში მისი პოვნა ადვილი არ იყო. გადავწყვიტე, ცოტა დამეცადა, სანამ ხალხი შეთხელდებოდა. კუთხეში მივდექი. თუმცა რამდენიმე წამში იძულებული გავხდი, ადგილი შემეცვალა. აზრი არ ჰქონდა – სადაც არ უნდა დავმდგარიყავი, ყველგან უადგილოდ ვიდექი. ერთი მეჯახებოდა, მეორე კი ბრაზით მიყვიროდა: "გამატარე, ქალო!" ბოლო-ბოლო წავედი, სადგურის კუთხეში სკამზე ჩამოვჯექი. თავბრუ მეხვეოდა. წამით სახე ხელებში ჩავრგე და თვალები დავხუჭე. უცბად ვიღაცამ ძლიერად მომქაჩა სახელო და მკითხა: "სადა ხარ?!"

წამოვხტი. ვხედავ, ის კაცია, ცოლი რომ დაკარგა.

"მაპატიეთ, ქალბატონო, შემეშალა".

მერე ჩანთა აიღო და წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დევიდ ტროტერი

# გზავნილი 29-ე სართულიდან

### ანდრეას ბერნარდის "ლიფტის კულტურული ისტორიის" შესახებ

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*



ლეგენდის თანახმად, ლიფტის ისტორია მახვილგონივრული სარეკლამო ფანდით დაიწყო. 1854 წლის ზაფხულში, მეცნიერებათა და ტექნიკის მიღწევათა გამოფენაზე (ნიუ-იორკში), სახელგანთქმულმა ინჟინერმა და გამომგონებელმა ელიშა გრეივს ოტისმა წარმოადგინა თავისი ახალი უსაფრთხო ამწემოწყობილობა, რომელიც თორმეტმეტრიან რელსებს შორის ვერტიკალური მიმართულებით მოძრაობდა. მოწყობილობის თავზე მდგარ ასისტენტს გრძელი ხმალი ეკავა. ოტისმა ღია პლატფორმაზე დააწყო მძიმე კასრები, ყუთები და თვითონაც ზედ დადგა. როდესაც პლატფორმა ათი მეტრით მაღლა ავიდა, თანაშემწემ ხმლით მარჯვედ გაკვეთა ბაგირი, მაგრამ პლატფორმა ძირს არ დავარდნილა - ავტომატურმა მუხრუჭებმა ყურისწამღები ღრჭიალით შეაჩერა მისი ვარდნა. ოტისმა თავიდან შავი ცილინდრი მოიძრო, გაოგნებულ ბრბოს მიესალმა და დაიყვირა: "საშიში არაფერია, ბატონებო!". რომელი ტრანსპორტი უნდა ყოფილიყო უფრო უსაფრთხო? 1854 წელს ლიფტით მგზავრობას ახლდა ერთადერთი უხერხულობა - ლიფტს ან არ ჰქონდა კარი, ან ის ძნელად იღებოდა და იხურებოდა.

მაგრამ ანდრეას ზერნარდი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ლიფტები 1854 წლამდეც არსებობდა.

ძველ რომში კოლიზეუმის არენაზე გლადიატორებისა და მტაცებელი ცხოველების ასაყვანად იყენებდნენ მარტივ ამწემექანიზმებს. გარდა ამისა, გემრიელი კერძები სამზარეულოდან სასადილო დარბაზებში აჰქონდათ მომცრო ლიფტების მეშვეობით. სარწმუნო წყაროები იუწყებიან, რომ ჯერ კიდევ ჩვ.წ.-მდე 236 წელს შეიქმნა ამგვარი ლიფტი, რომელიც ლეგენდარულმა არქიმედემ გამოიგონა. ყოველივე ამის შესახებ თავის ნაშრომებში მსჯელობს სახელგანთქმული რომაელი არქიტექტორი ვიტრუვიუსი. მოგვიანებით (1830 წელს), ინგლისელი დიპლომატი ჩარლზ გრევილი აღტაცებით აღწერდა ლიფტს, რომელიც მოწყობილი იყო სარდინიის მეფე-დედოფლის სასახლეში, გენუაში: "ამ მექანიზმს გონდოლისებრი ფორმა აქვს. ის ჯაჭვის მეშვეობით მოძრაობს და ერთმანეთთან აკავშირებს სასახლის სხვადასხვა სართულს; ლიფტი ექვს ადამიანს იტევს და კარი აქვს". 1853 წლის ივნისში "ჰარპერს ნიუ მანსლი მეგეზინმა" გამოაცხადა, რომ ნიუ-იორკის კერძო სახლებში მალე დამონტაჟდებოდა ორთქლზე მომუშავე ლიფტები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ზედა სართულებზე ასვლა. საინტერესოა, რომ ელიშა გრეივს ოტისის სეხნიამ - ინჟინერმა ოტის ტაფტსმა 1859 წელს პატენტი აიღო მოწყობილობაზე, რომელსაც "ვერტიკალური რკინიგზა" უწოდა. ეს "რკინიგზა" გახლდათ ამ ტიპის პირველი მოწყობილობა, რომელსაც დახურული კაბინა ჰქონდა. ტაფტსის ლიფტი ძალზე საიმედო იყო, მაგრამ ნელა მოძრაობდა და მისი დამონტაჟება საკმაოდ ძვირიც ჯდებოდა.

ისმის კითხვა: რით დაიმსახურა ოტისის მახვილგონივრულმა მოწყობილობამ პირველი ამწეაპარატის სტატუსი? რატომ შეიქმნა ეს მითი? როგორც ჩანს, ამის მიზეზი ერთგვარი თეატრალური ეფექტია, რომელმაც საზოგადოებაზე თავისი კვალი დატოვა. საინტერესოა შემდეგი ფაქტიც: გვიანი შუა საუკუნეების დასაწყისიდან (როდესაც ევროპაში უკვე საკმაოდ ღრმა შახტები ითხრებოდა), ჩნდება მიწის ზედაპირზე მადნის ამოსაზიდი საშუალებები. საუკუნეების განმავლობაში ნედლეული და ტვირთი ბაგირიანი ჯალამბრებით აჰქონდათ. 1850 წლისათვის, როდესაც ლიფტები პირველად იქნა გამოყენებული შენობებში, ჰარცისა და რურის შახტების სიღრმემ ორი ათას ფუტს გადააჭარბა. იმის გამო, რომ ბაგირის გაწყვეტა სასიკვდილო საფრთხეს უქადდა მეშახტეებს, 1859 წელს გერმანიის მთავრობამ აკრძალა მუშახელის გადაყვანა ვერტიკალურ რელსებზე მოსრიალე კალათებით, რომლებითაც მადანი მიწის ზედაპირზე ამოჰქონდათ (მეშახტეებს კიბეები უნდა გამოეყენებინათ). მადნის მოპოვების ისტორიის განხილვისას ბერნარდი აკავშირებს ლიფტის ისტორიას არა მარტო, ზოგადად, ტრანსპორტის ისტორიასთან, არამედ - ტრანსპორტთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების ისტორიასთანაც. ამ მხრივ საინტერესო მასალის მოძიება შეიძლება 1940-იანი წლების ფილმებში (კეროლ რიდის "ვარსკვლავები ქვემოთ იყურებიან" და ჯონ ფორდის "როგორი მწვანე იყო ჩემი ველი").

ამასთან, ბერნარდის მთავარი მიზანია გვიჩვენოს, როგორ გადაიქცა ლიფტი ცათამბჯენების დაგეგმვის, კონსტრუირების და, საერთოდ, მთელი თანამედროვე ქალაქური ცხოვრების ნაწილად (ყურადღება, ძირითადად, გამახვილებულია გერმანიასა და შეერთებულ შტატებზე). 1870-იანი წლებიდან მოყოლებული, ლიფტის მუშაობის სრულყოფა (როგორც ერთი კომენტატორი ამტკიცებდა 1891 წელს) იქცა ცათამბჯენების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობად, ისევე, როგორც ფოლადის კარკასის შექმნა. ბერნარდი ამტკიცებს, რომ ლიფტი აუცილებელი იყო ქალაქების ვერტიკალური განვითარებისთვის. 1890-იან წლებში ამერიკის ყველაზე მაღალ შენობას წარმოადგენდა მასონთა ოცსართულიანი ტაძარი (ჩიკაგოში) და "ვულვორთის" 55-სართულიანი შენობა (ნიუ-იორკში), რომლის მშენებლობა 1913 წელს დასრულდა. ევროპაში ცათამბჯენების მშენებლობის ტემპი რამდენადმე ჩამორჩებოდა, რადგან ევროპელები ძველი ყაიდის არქიტექტურასთან ცათამბჯენების ჰარმონიულ შეხამებასთან ერთად, ამ უკანასკნელთა ინოვაციური დიზაინითაც იყვნენ დაინტერესებული. ამ ორი მიზნის ერთდროულად განხორციელებისკენ სწრაფვა ხელს უშლიდა ახალი არქიტექტურული ფორმების დანერგვას.

ბერნარდი კულტურის ისტორიკოსია და აინტერესებს არა მხოლოდ შენობათა ნაირსახოვნება, არამედ - მათი ისტორიული როლიც. ის ამტკიცებს, რომ ლიფტების სრულყოფის სიმბოლურ შედეგს წარმოადგენდა "ვერტიკალურობის რეკოდიფიკაცია", რაც მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულის (ეპოქალური წყალგამყოფის) განმავლობაში განხორციელდა. მაღალი შენობების საუკეთესო ბინებად მიჩნეულ იქნა ზედა სართულებზე განლაგებული ბინები, ანუ ძირეულად შეიცვალა ბინების "იერარქიული განლაგების" პრინციპი. ამასთანავე, ყველაზე უხარისხო ბინებად აღიარებულ იყო ისინი, რომლებიც ქვედა სართულებზე იყო განლაგებული. მაგალითად, უწინ ევროპის დიდ სასტუმროებში, ტრადიციულად, ზედა სართულებზე მხოლოდ ღარიბები და სასტუმროს პერსონალი ბინადრობდა და ისინი იძულებული იყვნენ, მრავალი სართულის კიბეებზე ფეხით ევლოთ. მაგრამ ლიფტების დამონტაჟების შემდეგ ზედა სართულები საოცრად მიმზიდველი გახდა. დაახლოებით მსგავსი მიგრაცია მოხდა სოციალური შკალის მეორე ბოლოშიც. ბინების ფასთა სტატისტიკა ბერლინში, ვიდრე რაიხის დაარსებიდან (1871 წ.) - პირველი მსოფლიო ომის დასაწყისამდე, ცხადყოფს, რომ ყველაზე ძვირი იყო მეორე სართულზე ("ბელეტაჟზე") განლაგებული ბინები, შედარებით იაფი ღირდა პირველ, მესამე და მეოთხე სართულებზე მდებარე ბინები, ყველაზე იაფი კი სხვენზე ან სარდაფში არსებული ბინები იყო. სწორედ აქ, შენობის ქვედა და ზედა ნაწილებში, ცხოვრობდნენ ქალაქის მოსახლეობის ულარიბესი ფენების წარმომადგენლები. მე-19 საუკუნის დასასრულს სანიტარიულმა რეფორმამ მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესა სარდაფების, როგორც საცხოვრებელი ადგილების პირობები. მაგრამ, როგორც ბერნარდი



აპაბუთებს, გაცილებით მეტი დრო დასჭირდა ლიფტების მეშვეობით სტანდარტულ მრავალბინიან შენობათა ზედა სართულების "რეაბილიტაციას".

ბელეტაჟი მხოლოდ პრესტიჟული სართული როდი გახლდათ. მას ჰქონდა - ან, უფრო ზუსტად, მან შეიძინა - ერთგვარი სიმბოლური ღირებულება. ამასთანავე, მდიდარი ადამიანები ხვდებოდნენ, რომ ზედა სართულებზე ცხოვრება გაცილებით უფრო სასიამოვნო უნდა ყოფილიყო, ვიდრე - ქვედა სართულებზე; "მაღლა" ცხოვრება განასახიერებდა ძალაუფლებას, რომელიც მათ ხელთ ეპყრათ თავიანთი ქონების წყალობით. 1930-იან წლებში ნიუ-იორკში "უოლდორფ-ასტორიას" 29-სართულიან ტყუპ კოშკებს კიდევ 14 სართული დააშენეს, რამაც მათ განსაკუთრებული მიმზიდველობა შესძინა. 29-ე სართულის სადემარკაციო ხაზის ქვემოთ "უოლდორფ-ასტორიის" ნომრები (თუმცა კი ძვირად ღირებული) ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის; ამ ხაზის ზემოთ კი ინყებოდა ის აპარტამენტები, რომელთაც საგანგებო ლაქიები ემსახურებოდნენ. ცათამბჯენების ზედა სართულები, რომლებშიც ოდესღაც მომსახურე პერსონალის საძინებლები იყო (ბერნარდის თქმით), "ელიტურ ანკლავად" იქცა. "უოლდორფ-ასტორიას" ექსპრესლიფტები, რომლებითაც მობინადრეები 29-ე სართულზე ადიოდნენ, შედარებით ნელა მოძრაობდნენ (უფრო მაღლა განლაგებული სართულების ლიფტებისგან განსხვავებით), რადგან მათ მოძრაობას მილგაყვანილობა აფერხებდა. ასეთი განსხვავება ლიფტებს (ან მათ სისწრაფეს) შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მმართველი ელიტის ანკლავების - პენტჰაუსის აპარტამენტებისა და წარმომადგენლობითი ლუქსების - შექმნაში. 1965 წელს პენტჰაუსი ჯერ კიდევ იმდენად გლამურული იყო, რომ ეს სიტყვა მამაკაცთა ჟურ-

ნალის სახელწოდებად იქნა შერჩეული.

ბერნარდი საინტერესოდ აანალიზებს მრავალფეროვანი მონაცემებს (სამშენებლო ნორმებითა და ინსტრუქციებით დაწყებული და ე.წ. "მაღალი ლიტერატურით" დამთავრებული) და ავლენს, თუ როგორ მძლავრ ზემოქმედებას ახდენდა ლიფტის ფენომენი თანამედროვე დედაქალაქების მცხოვრებთა სოციალურ ფსიქოლოგიაზე 1870- 1930-იან წლებს შორის. ვრცელ ბოლო თავში ის იკვლევს იმ "ატმოსფეროს", რომელიც ლიფტის კაბინაში წარმოიქმნება ხოლმე. კანონიკური თეორიის თვალსაზრისით, ლიფტით მგზავრობისას გარდაუვალია უსიამოვნო შეხვედრები უცნობ ადამიანებთან, რასაც დიდი ქალაქების მცხოვრებნი თავს ვერ არიდებენ. ბერნარდის თქმით, ლიფტის კაბინა - რომელიც ედგარ პოსა და ბოდლერის ეპოქაში მხოლოდ ზოგიერთ დიდ სასტუმროში იყო დამონტაჟებული, ხოლო გეორგ ზიმელისა და ვალტერ ბენიამინის დროს ქალაქის არქიტექტურის განუყოფელ ნაწილად იქცა - უმეტესად მოქმედების პირობითი ადგილია. ლიფტი იმხანად შენობის შიგნით იყო განლაგებული და ასვლისა და ჩამოსვლის ბოლო მომენტებში ღერძის ირგვლივ ტრიალებდა, რაც მგზავრების მღელვარებას იწვევდა.

ბერნარდი სთავაზობს ირვინ გოფმანს*, ჩაატაროს ეთნომეთოდოლოგიური ანალიზი იმ ადგილებისა, რომლებსაც იკავებენ მგზავრები ლიფტში შესვლისას: პირველი მგზავრი დგება ღილაკების გვერდით, მეორე - პირველის მოპირდაპირე კუთხეში, დიაგონალურად, მესამე - სადღაც, უკანა კედლის მახლობლად, მეოთხე - ცენტრში და ა.შ. და ყველანი სწრაფად იქცევენ პირს კარისკენ, ისე, თითქოს პარადზე იმყოფებოდნენ. ანტიპათიებს, რომელთაც განიცდიან ლიფტში ერთდროულად მყოფი მგზავრები, ბერნარდი "სოციოგრამას" უწოდებს. რა თქმა უნდა, ლიფტში შესული ადამიანების ქცევა განმარტებას საჭიროებს. მაგრამ ძალუძს თუ არა კანონიკურ თეორიას ამგვარი ქცევის ახსნა? ქუჩის გადაკვეთა იგივე როდია, რაც სართულებს შორის გადაადგილება.

ლიფტის გამოგონება განუყოფელია როგორც მექანიზებული ტრანსპორტის, ისე - ქალაქთმშენებლობის ისტორიისგან. ბოლოს და ბოლოს, მატარებლის მგზავრები იძულებულნი არიან, მდუმარედ ისხდნენ ან იდგნენ ერთმანეთთან ახლოს ზედიზედ რამდენიმე საათის განმავლობაში. ლიფტი, როგორც მგზავრების გადამყვანი მოწყობილობა, Fin-de-Si♡cle-ის ისეთსავე გამოგონებებს მიეკუთვნება, როგორებიცაა ავტომობილი და აეროპლანი. მათ მსგავსად, ლიფტისთვის დამახასიათებელია

სწრაფი მოძრაობაც და გარესამყაროსგან იზოლი-
რებულობაც. ის სხვა არაფერია, თუ არა ვერტიკა-
ლურად მოძრავი მატარებელი ან რაკეტა, რომე-
ლიც სამუდამოდ ჩარჩენილია თავის შახტში - სწო-
რედ ასეთია ის ტიმ ბარტონის ფილმში "ჩარლი და
შოკოლადის ფაბრიკა", ყოველ შემთხვევაში, იმ მო-
მენტამდე, სანამ ვილი ვონკა თითს დააჭერს ღი-
ლაკს წარწერით "ზევით და გარეთ". ლიფტი ავტო-
მანქანისა ან თვითმფრინავისგან იმით განსხვავ-
დება, რომ მასში გარესამყაროსგან იზოლირებუ-
ლობა უფრო მძაფრ კლაუსტროფობიურ განცდებს
იწვევს. ესაა უცხო ადამიანების ატანის კოლექტი-
ური უნარი და არა ჩვეულებრივი ქალაქური მონყე-
ნილობა.

ლიფტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენი-
ჭება ღილაკებს, რომლებიც დამონტაჟებულია კა-
ბინაშიც და კიბის ბაქანზე გამავალ გარე კედელ-
ზეც. მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ელექ-
ტრონული სიგნალიზაციის სისტემა, რომელმაც
ლიფტებით მგზავრობის პროცესი ინდივიდუალურ
კონტროლს დაუქვემდებარა. არც ერთი სხვა სატ-
რანსპორტო საშუალების მართვა არ საჭიროებს
მომხმარებლისგან იმაზე ნაკლები ენერგიის ხარ-
ჯვას, როგორც - ლიფტი. მისი ამოქმედებისთვის
თითქოს მხოლოდ ინფორმაციიის მიწოდებაა საჭი-
რო. ბერნარდის აზრით, ლიფტებმა ცათამბჯენე-
ბის რეპროგრამირება მოახდინა. უფრო ზუსტად
რომ ვთქვათ, მათ მოახდინეს რეპროგრამირება
ადამიანებისა, რომლებიც ამ ლიფტებს ნებისმიერ
ტიპის შენობებში იყენებენ. ლიფტში ჩვენი შე-
ვლისთანავე სისტემა შეიტყობს, თუ სად (რომელ
სართულზე) ვიმყოფებით და რა მიმართულებით
გვსურს გადაადგილება. ღილაკზე თითის დაჭერის
მეშვეობით მექანიზმს გადავცემთ ჩვენს რწმენას
იმისა, რომ მოწყობილობა საჭირო ადგილას გაჩერ-
დება და კარიც გაიღება. რაც უფრო მეტად აღვიქ-
ვამთ საკუთარ თავს როგორც შეტყობინებას, რო-
მელიც ემთხვევა სხვა შეტყობინებებს ან განსხვავ-
დება მათგან, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ
სწრაფად და უსაფრთხოდ მივაღწევთ დანიშნულე-
ბის ადგილამდე.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ტერმინი "კო-
მუნიკაცია" აღნიშნავდა ადამიანებისა და საქონ-
ლის გადაადგილებას და, ასევე, ინფორმაციის გა-
დაცემას. მეორე მნიშვნელობა თანდათან ჩაენაც-
ვლა პირველს. ჯერ კიდევ 1849 წელს ჯონ რასკინი
"არქიტექტურის შვიდ შუქურაში"** შენიშნავდა,
რომ "სწრაფად ვითარდება რკინიგზა, რომლის მეშ-
ვეობით მგზავრი ცოცხალი გზავნილის როლს ას-
რულებს". გაცილებით უკეთესი იქნებოდა (სისტე-
მის და, შესაძლოა, მგზავრის თვალსაზრისითაც),
რომ "ცოცხალი გზავნილი" ქცეულიყო ცოცხალ

* - Erving Goffman (1922—1982) - ამერიკელი (კანადური წარმომავლობის) სოციოლოგი, ამერიკელ სოციოლოგითა ასოციაციის 73-ე პრეზიდენტი. გოფმანის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომს (სოციოლოგიის სფეროში) წარმოადგენს სიმბოლური კომუნიკაციის გამოკვლევა, რომელიც თამაშის ფორმით ხორციელდება. ესაა: "საკუთარი თავის წარდგენა სხვებისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში"(1959). გოფმანი მოღვაწეობდა ფსიქიატრიის სფეროშიც.

** - ჯონ რასკინის წიგნი "არქიტექტურის შვიდი შუქურა" 1849 წელს გამოქვეყნდა და მაშინვე ძალზე პოპულარული გახდა. რასკინის აზრით, შვიდი პრინციპი, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ არქიტექტორებმა, არის: მსხვერპლი, ჭეშმარიტება, ძალა, მშვენიერება, სიცოცხლე, მეხსიერება და მორჩილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტყობინებად, მონაცემთა ერთობლიობად, რომლის წაკითხვა, შენახვა და გადატანა იოლია. 21-ე საუკუნის დასაწყისში ელექტრონული მედიის განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სატრანსპორტო კომუნიკაციის შესაძლებლობები (ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობით). თვითმფრინავებს არნახული სისწრაფით გადაჰყავთ ერთი ადგილიდან მეორეზე "ცოცხალი შეტყობინებები". 2012 წელს ჩეხეთის ავტომობილების ფირმა "შკოდამ" ბაზარზე გამოუშვა ახალი მოდელი - "სიტიგო", რომელიც აღჭურვილი იყო მრავალი ახალი დამატებითი საკომუნიკაციო საშუალებით. ამ მხრივ ლიფტს გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე ქველა სხვა სატრანსპორტო საშუალებას - მატარებელს, თვითმფრინავსა და ავტომანქანას.

ადამიანმა, როგორც შეტყობინებამ, უვნებლად უნდა მიაღწიოს დანიშნულების ადგილას, ესე იგი, ის (როგორც შეტყობინება) ვერავინ უნდა გაშიფროს. სწორედ ამ დანიშნულებას ასრულებს ლიფტის ეტიკეტი. შეიძლება დავაკვირდეთ ლიფტებში მიმდინარე უამრავ სცენას, რომლებიც 1930-იანი წლების შემდეგ გადაღებულ ფილმებში გვხვდება. ამ სცენათა დიდი უმრავლესობისთვის დამახასიათებელია ეტიკეტის სხვადასხვაგვარი დარღვევები, რომლებიც, თავისთავად, უფრო საინტერესოა, ვიდრე - თავად ეტიკეტი. ვნება ან ძალმომრეობა ამსხვრევს პიროვნულ ურთიერთმიმართებებს სოციოგრამაში და შახტში გაჭედილი ლიფტი იქცევა ციხის საკნად, საიდანაც თავს ველარ დააღწევთ, ან კიდევ - სააღსარებო ოთახად. ლიფტიდან თავის დაღწევის სცენები ზოგჯერ სახალისოა, ზოგჯერ კი - არა, მაგრამ რადგან მათში იგნორირებულია ეტიკეტი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს "კაბინის ატმოსფეროს", ამდენად, პერსონაჟების ქცევა მათში ხშირად სხვადასხვაგვარ "ეტიკეტს" ექვემდებარება. მაგალითად, ჯეიმს ბონდის შესახებ გადაღებულ ფილმებში გათვითცნობიერებული კინომანი გაიხსენებს, რომ თუკი დენიელ კრეიგი ფილმში "Quantum of Solace " (2008) დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ თავს ესხმის მტერს, შონ კონერიმ ფილმში "Diamonds Are Forever " (1971) მძიმე სასჯელი უნდა გადაიტანოს, სანამ ამას შეძლებს.

უფრო იშვიათია სცენები, რომლებშიც ლიფტი ლიფტად რჩება და, მაშასადამე, მისი ეტიკეტი უფრო ღირებულია, ვიდრე - ამ ეტიკეტის პოტენციური ან ფაქტობრივი დარღვევა. ეს სცენები, კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბერნარდი მათ ყურადღებას არ აქცევს. ჩემი აზრით, ყველაზე უფრო ძლიერია ისეთი კინემატოგრაფიული კონცეფციები, რომლებიც ითვალისწინებს, რომ ლიფტში ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩნდებიან შეტყობინებები და არა, უბრალოდ, ადამიანები. ასეთებია: კინგ ვიდორის "ბრბო", რობერტ უაიზის "ადმინისტრაციული ძალაუფლება", ჯერი ლუისის "შიკრიკი", ძმები კოენების "ჰადსაკერის ხელქვეითი" (ფრენკ კაპრას ფილმის ექსცენტრიკული ვერსია) და სხვ. ამ ფილმების თანახმად, შენობათა ზედა სართულებს ქვედა სართულებისგან განასხვავებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ამ მხრივ, ექსპრესლიფტი წარმოქმნის ერთგვარ ინფორმაციულ სუპერმაგისტრალს. კერძოდ, "ჰადსაკერის ხელქვეითში" ჩვენ წინაშეა როგორც ჩახუთული სარდაფი, ისე - ზედა სართულებზე განლაგებული ადმინისტრაციული ხელისუფლების გრილი სივრცეები. ჭკუასუსტი შიკრიკი, რომელსაც ტიმ რობინსი განასახიერებს, ექსპრესლიფტით აიტანს საიდუმლო "ლურჯ წერილს" (მოქმედება ხდება 1959 წელს) ზედა სართულზე და ამის წყალობით, ფაქტობრივად, თვითონ გადაიქცევა შეტყობინებად, რომელსაც ბოროტი კაპიტალისტი (პოლ ნიუმენი) იყენებს თავისი მაქინაციებისთვის. ფილმის დასასრულს მხოლოდ ანგელოზის ჩარევა იხსნის მთავარ პერსონაჟს დაღუპვისგან.

ლიფტის ეტიკეტის შესაბამისად ადამიანების განლაგებას ის მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, რომ გამორიცხავს ლაპარაკს. კინემატოგრაფის საუკეთესო სცენები, რომლებიც ლიფტებში თამაშდება, არ არღვევს ამ კანონებს, ანუ პერსონაჟები, როგორც წესი, დუმან. როდესაც ორ მკვლელს სურს გაიტაცოს სარეკლამო კომპანიის თანამშრომელი როჯერ თორნჰილი ლიფტიდან (ჰიჩკოკის ფილმში "ჩრდილოეთისკენ, ჩრდილო-დასავლეთის გავლით"), თორნჰილის დედა ეკითხება მათ, მართლა აპირებთ თუ არა ჩემი ვაჟის მოკვლასო. კერი გრანტი მხოლოდ იცინის დედის რეპლიკების საპასუხოდ და არ იმჩნევს, რომ მოტაცებისა ეშინია. მისი რეაქცია განპირობებულია აუცილებლობით - ის იმყოფება იმ ტრანსპორტში, რომელსაც ქცევის საკუთარი კოდექსი აქვს და ეს ქცევა - ერთგვარი მეტაკომენტარია. რაღაც მსგავსი ხდება ტელესერიალშიც "შეშლილი მამაკაცები". დონ დრეიპერი დგება ლიფტის ერთ კუთხეში, ორი სადაზღვევო აგენტი კი - მეორეში. ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც ქუდი ახურავს, ჰყვება თავისი სატრფიალო თავგადასავლების შესახებ და ტრაბახს აგრძელებს მას შემდეგაც, რაც მომდევნო სართულზე ლიფტში ქალი შემოდის. დრეიპერი ეუბნება აგენტს, ქუდი მოიხადეო, და როდესაც ეს უკანასკნელი არ ემორჩილება, თვითონ მოხდის ქუდს და მკერდზე მსუბუქად უბიძგებს. სწორედ ასეა. არც თავში ჩაარტყამს რაიმეს და არც აღშფოთებას გამოთქვამს. ქცევის გარკვეულ ეტიკეტს, რომელსაც ლიფტში შესვლისთანავე ვემორჩილებით, ყველამ და ყოველთვის უნდა მისდიოს. შესაძლოა, დრეიპერს ნანახი ჰქონდა ბილი უაილდერის ფილმი "ბინა", რომელშიც ჯეკ ლემონი ლიფტში ქუდს იხდის და ამით უჩვენებს შირლი მაკლეინს, რომ მართლაც თავაზიანი ადამიანია. ამ სცენებში ადამიანთა ქცევა ექვემდებარება არა იმდენად სპეციფიკურ ეტიკეტს, რამდენადაც - ზრდილობის იმ წესებს, რომლებიც სავალდებულოა ნებისმიერი ადამიანისთვის. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიფტი არც ისე "ჩვეულებრივი" მექანიზმია და, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მან არაერთ რეჟისორს საინტერესო ფილმის შექმნისკენ უბიძგა.

© London Review of Books, 2014

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსო დორეული

# აღდგომა სიკვდილის გარეშე. ხმაურის ისტორია. თავბრუდამხვევი სიები. სიკვდილი და სტატისტიკა. „ველინები" და დუმილი. პაროდიის საფრთხე.

## Sacré Derrida!

*„წინათ ველინა ამბობდა: „ადამიანებს ულირსი საქციელისკენ რომ არ ვუბიძგოთ, მასზე არ უნდა ვილაპარაკოთ ". თანამედროვე ცენზურა კი ამბობს: „იმისთვის, რომ ულირს საქციელზე არ ვილაპარაკოთ, ძალიან ბევრი უნდა ვილაპარაკოთ სხვა თემაზე. ბევრჯერ მიფიქრია, ვთქვათ, თუ შემთხვევით გავიგე, რომ ხვალ პრესამ ჩემს უმსგავსო საქციელზე უნდა ისაუბროს, რაც დიდ ზიანს მომაყენებს, რას ვიზამდი? რას და წავიდოდი და პოლიციის შენობასთან ან სადგურთან ბომბს დავდებდი. მეორე დღეს გაზეთების პირველი გვერდი ამ ამბავს დაეთმობოდა და ჩემი პატარა პირადი სკანდალი ქრონიკაში, ბოლო გვერდებზე გადაინაცვლებდა. მაშ, ვინ იცის, სინამდვილეში რამდენი ბომბი დაიდო იმისთვის, რომ გაზეთების პირველი გვერდებიდან სხვა ინფორმაცია გამქრალიყო. ბომბის მაგალითი ფონეტიკურადაც შესაფერისია, რადგან ზუსტად იმ დიდი ხმაურის მაგალითია, რომელიც ყოველივე დანარჩენს სიჩუმედ აქცევს"*

**უმბერტო ეკო, ესედან „ველინები" და დუმილი"**

*„ისე, ზოგჯერ ყურადღება მიაქციეთ, რას ამბობთ,*
*თორე ვინმემ, შეიძლება, მართლა დაგიჯეროთ"*

**კოსტას მონტისი, „ზოგიერთ ჩემს ლექსს"**

### „მეგობრებო, არ არსებობს მეგობრობა!"

უმბერტო ეკო ჰიუგოსადმი მიძღვნილ წერილში „ჰიუგო, hélas!" ქმნის მკითხველის ერთგვარ სრულყოფილ, სანიმუშო, იდეალურ ხატს, რომელიც, რა თქმა უნდა, ბუნებაში არ არსებობს.

ალბათ, ნებისმიერი ტექსტის შექმნის წინაპირობა სწორედ ასეთი მკითხველის შესაძლებლობის რელიგიური რწმენაა, რწმენა, რომელსაც არც დადასტურება უწერია და არც საპასუხო სარგებელს გვპირდება იმისთვის, რომ ჩვენი ნარმოსახვის მცირე ნაწილი არსებობისათვის დავუთმეთ.

მას ემპირიული მკითხველისაგან განსხვავებით, შეუძლია ნაწარმოების ნერის და გაგების პროცესი ნაშლის და კონკრეტიზაციის უკიდურესი ამონურვის ზღვრამდე მიიყვანოს. მაგრამ ვინ შეიძლება იყოს ტექსტის ასეთი მკითხველი, თუ არა თავად ტექსტი, რომელიც ფლობს მონოპოლიას ინტერპრეტაციაზე?

სწორედ ამიტომ, ამჯერად, მე მინდა ველაპარაკო ჩემს შინაგან აუდიტორიას, რომელიც თუ მსმენელის დეკორაციის როლს გაითამაშებს, გაცილებით გამიადვილდება პასუხი გავცე, ერთი შეხედვით, უნყინარ კითხვაზე, ერთმა ჩემმა ახლო მეგობარმა, დიმა ბახუტაშვილმა ცოტა ხნის ნინ რომ დამისვა: ვარ თუ არა კონფორმისტი? რაც, საბოლოო ანგარიშით, როგორც მოგვიანებით მივხვდი, ნიშნავდა: ვარ თუ არა მკვდარი?

ამ თემაზე საუბარი მინდა დავინყოთ მონტენის სიტყვებით, რომელსაც ბერძნული ფესვები აქვს. სიტყვებით, რომელსაც დერიდამ „მეგობრობის პოლიტიკა" („Politiques de l'amitié") მიუძღვნა. ისინი ასე ჟღერს: „მეგობრებო, (საერთოდ) არ არსებობს მეგობრობა!"("O mes amis, il n'y a nul amy").

სწორედ ამ აფორიზმმა, რომლის ნინააღმდეგობრიობა მაშინვე გაქრება, როგორც კი აღმოვაჩენთ, რომ ვერბალური ნიშანი და მისი ვიზუალური გამოსახულება არასოდესაა ერთბაშად მოცემული, მომცა საშუალება ჩემი მეტისმეტად ახირებული მეგობრის უხერხული კითხვა სანყენად არ მიმეღო და მეფიქრა თემაზე: რა წყვეტს დღეს, თუ ვინ არის ცოცხალი, ანუ ვინ გასცემს სიცოცხლის უფლებას...

### სიკვდილი და სტატისტიკა

თუ ლიტერატურა იწყება მაშინ, როდესაც ნიშანი საკუთარ თავში რეალობად და რეფერენციად, მის მხატვრულ მონუმენტად გაორების შესაძლებლობას აღმოაჩენს, შეიძლება თუ არა, რომ სიტყვა და საგანი არ ქმნიდნენ ერთ ფიგურას?

ეროვნული ბიბლიოთეკა



არსებობენ საგნები, რომლებიც ჯიუტად სწორედ მაშინ დუმან, როდესაც ჩვენ მათ დაჟინებით ვუყურებთ და ამ გაუსაძლისი სიჩუმის მიერ დატოვებული სიცარიელის კვალი გვაგრძნობინებს, რომ რეალობის ხელოვნებაში ტრანსლირებისას, ჩვენ თვალწინ იქსოვება ლიტერატურის სამუზეუმო ისტორია, რომლის დაბრუნებაც ობიექტურ რეალობაში შეუძლებელია, რადგან ის ერთგვარი სიტყვიერი თეატრია, რომელიც სინამდვილის ახახვისას იქიდან გამოდევნის მისი არსებობის გარდაუვალ და უეჭველ მოცემულობას და ფაქტებს მხოლოდ ყოფნის შესაძლებლობის ესთეტიკური შანსს უტოვებს.

ასე, ლიტერატურა უკვე შეუძლებელს ხდის სინამდვილისადმი ეთიკური და ონტოლოგიური მიმართების დისტანცია შევინარჩუნოთ, რადგან მასში ასახულ, ხელოვნებად დადასტურებულ რეალობას ჭეშმარიტება-მცდარობის კრიტერიუმებით ვეღარ გავასამართლებთ.

როდესაც ნახატი ნახატიდან აძევებს იმ საგნებს, რაც დახატულია, ტექსტი რეფერენციის ფუნქციისგან თავისუფლდება და შეუძლებელი ხდება საგნის ტექსტში (სიტყვაში) შეუმჩნეველი დაბრუნება, მხატვრობიდან გამოძევებული ნახატი კი დისკურსების სამყაროში დაბორიალობს, ამაოდ ცდილობს კვლავ რეალობის ნაწილი გახდეს და ბოლოს ის სინამდვილესა და ხელოვნებას შორის დატოვებულ ნაპრალში უბრალოდ, უკვალოდ უჩინარდება, ქრება.

აი, ისიც, ლუკას კრანახის ცნობილ ტილოზე მობინადრე შეუძლებელი სრულყოფილებით მხუნთქავი სიმახინჯე, რომლის ჩვენს ცხოვრებაში ამგვარი გროტესკული გამოვლენა გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ ის თითქმის ბოროტებაა, როგორც კი ჩვენი ყოფიერების საზღვრებს ტოვებს და ხელოვნების ქმნილებაში იწყებს თუნდაც ფოტოგრაფიული სიზუსტით გასულიერებას, უცბადვე იქცევა შთამბეჭდავ სანახაობად.

დედაბერი, რომლის ხილვისაც სარკეებსაც კი ეშინიათ, რაღაც ჯადოსნური ძალის წყალობით ტილოზე სახიჩრობის ღვთაებრივ მეტაფორად ირეკლება და თავისი მხატვრული გაუსაძლისი სიმძაფრით ბევრად აჭარბებს ფერწერულ ტექსტებს, რომლებზეც მხატვრები აბსოლუტურ სილამაზეს მოიპოვებენ (ალბათ, იმიტომ, რომ უბედურებისა არ იყოს, ყველა მახინჯი არსება ერთმანეთისაგან უცნაური დაუძლეველი სიმკაცრით განსხვავდება მაშინ, როდესაც ყველა ლამაზი ქმნილება ერთმანეთს ჰგავს).

ხელოვნების რაღაც შინაგანი მაგიის წყალობით ის აიძულებს ჩვენს ცნობიერებას საგნების, მოვლენებისა და ცოცხალი არსებებისადმი მიმართება საპირისპიროსაკენ შეცვალოს და დაგვატკბოს ქაოსისა და ხრწნის სილამაზით.

სწორედ ამიტომ, ლიტერატურაც ამ ესთეტიკური ტყუილის ძალით ახერხებს რეალობას მის გარეშე არსებობა აუკრძალოს. ლიტერატურას თითქოს ძალა შესწევს ცოდვების გამოსყიდვის, სინამდვილის ჯიუტ ფაქტად ქცეული სკულპტურის დანგრევის...

## პაროდიის საფრთხე

კლასიკურ პერიოდში ლიტერატურა გვევლინებოდა, როგორც რეალობის მეთვალყურე, დარაჯი, რომელიც მის საკრალურ სულს იცავდა და არ აძლევდა საშუალებას, გასცდენოდა მითოსურ საზღვრებს. როგორც კი ის ამას მოინდომებდა, ხელოვნება მაშინვე მისგან ისეთი გროტესკული კარიკატურის შექმნას იწყებდა, რომ მომენტალურად უქმდებოდა რეალობის ლეგიტიმაციის დისკურსი.

ლიტერატურა ამას ახერხებდა ასახვის ორი მთავარი საშუალებით: პაროდიით და ლითოტესით, მიმ-

ეროვნული

სგავსებისა და უტრირების მითოლოგიით.

სწორედ პაროდია ხდიდა შესაძლებელს მომხდარიყო ღმერთის ღმერთთან და მეტაფორის მეტაფორასთან შეხვედრა, დაპირისპირება და უზრუნველყოფდა, რომ აბსოლუტს საკუთარი თავი ხატებში ამოეცნო და დაეტოვებინა ხატები, ხელოვნების ესთეტიკური საუფლო.

მართლაც, პაროდია დედნისგან ტოვებდა მხოლოდ რეფერენტს და, შედეგად, კორპუსების ჩრდილი, ჩრდილის კორპუსებად იქცეოდა.

ხელოვნება სწორედ პაროდიის საშუალებით გვაფრთხილებდა, რომ ჩვენ ხელოვნების სივრცეში ვიმყოფებოდით, როგორც ეს ალენ რობ-გრიეს რომან „საშლელებში" ხდება.

ეს ტექსტი, ერთი მხრივ, სრულიად აშიშვლებს და ააშკარავებს თვით ტექსტის შექმნის, ან მისი შეუძლებლობის ისტორიას, საფრთხეს და სიუჟეტის „ისტორიული განჭვრეტის" (réflexion historique) ამაოებას, ხოლო, მეორე მხრივ, შესავალში პომიდვრის ერთი მეოთხედი ნაწილის აღწერა ქმნის ერთდროულად თანამედროვე სამომხმარებლო საზოგადოების პორტრეტს და და ამ პორტრეტის პაროდიას.

იგივე შეიძლება ითქვას ცოტა ხნის წინ ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში გამოჩენილ, ოთარ ჯირკვალიშვილის მოთხრობა „მღვდელზე", რომელსაც ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში არც წინაპარი და არც მემკვიდრე არ ჰყავს.

ტექსტში ენა სრულიად ალემატება სიუჟეტს და მასზე დიდ ხანს გრძელდება, ხოლო თხრობის გამოხატვის ფაქტი ქმნის თავად შინაარსს. უცნაური პარადოქსია, მაგრამ ხმა, რომელიც მასში მოქმედებს, მუდმივად უჩინარდება პირველი პირის ნაცვალსახელის მიღმა და „მაშინაც კი, როდესაც ის ამბობს „მე", უპირო ხმაა" (დომენიკ რაბატე), რომელიც ტოტალურ ანონიმურობას უმორჩილებს მეტყველების ყოველგვარ მოძრაობას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს, რომ ნაწარმოების კითხვისას გამუდმებით გვტანჯავდეს განცდა, რომ ტექსტი იმიტომ იწერება, რომ რაღაც არ იწერება.

„მღდელში" სიუჟეტის მიღმა უხმაუროდ მოძრავი უპირო ხმა გვაფიქრებინებს, რომ პაროდიასა და დედანს შორის ზღვარი ისევე იშლება, როგორც მკითხველსა და მწერალს შორის.

და იქნებ პაროდია უკვე გვევლინება არა იმის პორტრეტად, კარიკატურად, ვის / რის პაროდიასაც ის ქმნის, არამედ მის გამოსახულებად, პორტრეტად, თვითმყოფად, დამოუკიდებელ ტექსტად, ვინც ქმნის თავად პაროდიას.

სწორედ ასე გამოაძევებს რეფერენტს ხელოვნების სივრციდან რეალობა და გვარწმუნებს, რომ სინამდვილის პაროდირება უკვე შეუძლებელია, რადგან თავად სინამდვილე გახდა პაროდიული.

მართლაც, შესაძლებელია კი ჩვენი დროის ისეთი ფსიქო-კულტურული არტეფაქტებისგან, როგორებიც არიან: ზურა სალუქვაძე, გენრი დოლიძე, თემურ ელიავა, ნინო ჩხეიძე, თამაზ მეჭიაური, ლევან ვასაძე... ხელოვნებამ პაროდიის სკულპტურა გამოძერწოს? მათი ტექსტების სრულყოფილი პაროდია ხომ თავად მათივე ტექსტებია, რომელთა ლიტერატურად, კიჩად, ან მის კოშმარულ მოჩვენებად დაფასოებას მხოლოდ და მხოლოდ დისკური, ანუ „სამომხმარებლო საზოგადოების" ესთეტიკური და ბიოლოგიური უნარები უზრუნველყოფს?

პაროდიის ეს გამოხატული საფრთხე, მისი გამოცხადებული სიცოცხლის ქრონიკა, რაც მის დაშლუპველ ორსახოვნებას გულისხმობს, ამ სტილისტურ ხერხს აიძულებს საკუთარი ასახვის პოლიტიკა შეცვალოს და დღეს ის რეალობისგან ხელოვნების მოდელის შექმნის სტილისტურ მეთოდად უტრირების ნაცვლად მიბაძვას იყენებს.

ხელოვნებას დღეს ხმის შექმნა აღარ შეუძლია, მას არც საგნებისთვის ხმის დადების, მათი გახმოვანების ძალა შერჩა, ის უბრალოდ უფლებამოსილია მხოლოდ გააძლიეროს, დიდ სივრცეზე გაავრცელოს რეალობის მიერ შექმნილი მუსიკის დეციბალები და მათ მზაკვრული ესთეტიკური მანიპულაციებით სოციალური სანქციის მოპოვებაში დაეხმაროს, ანუ იყოს არა თავად ხმა, არამედ მისი გამაძლიერებელი მოწყობილობა. ის უკვე მოგვევლინა ხმაურის ზანტად მოფუსფუსე ეგზისტენციად, რომელმაც გადალახა მისი ჯებირები და ხელოვნებას ხელოვნების გამოსახვა დაავალა.

ასე იქცა მხატვრობა ჩარჩოდ, რომლის ნების მიერ სიბრტყეზე, ზედაპირზე ჩამოკიდებით მიიღებ ნახატს, ხელოვნების ნიმუშს, რომლიდანაც გამოანათებს ხმაური და რასაც ის თავისი ფართო ეკრანის თვალებით დაინახავს, სწორედ ის იქნება რეალობა.

ასე იბადება პოსტმოდერნიზმის ხმაურის ერთი შემზარავი პარადოქსი: ის სრულიად გამორიცხავს ნებისმიერი სახის ინტერტექსტუალობასა და ინსპირაციის ხდომილებას და, ამიტომაც, უკვე ტექსტებად აღარ შეიძლება ჩაითვალოს სხვისი ნივნის აშიებზე მინაწერი ტექსტები.

ლიტერატურა, რომელიც იცავდა საგნების სიჩუმეს და მარტოობას, დღეს ან სოციალური სინამდვილის რუპორია, ან წარსულის ბრწყინვალე, მაგრამ შექმნისთანავე სასიკვდილოდ განწირული სიტყვა.

ახლა სიტყვები ერთმანეთს ხმას სიმარტოვის უფსკრულიდან ველარ მიაწვდენენ, მათი ერთმანეთთან შეხვედრის ერთადერთი გზა სინტაქსი კი აღარ არის, არამედ დაგეგმილი, მოვლენათა დონეზე განსაზღვრული სოციალური შემთხვევითობების დაუსრულებული გამოცხადება.

ინდექსებად ქცეული სიტყვების დეკორაცია კი, რომელიც უკვე ხელოვნების სასაქონლე იარლიყია, ემორჩილება წესრიგის უზენაეს ფორმას - ხმაურის პოეზიას.

ასახვის თანამედროვე თეორიის ტრაგედია სწორედ ასეთია: სიცოცხლის უფლება აქვს მხოლოდ მას, ვინც ხმაურობს, ვინც არსებობის ერთადერთ საშუალებას, ხმაურს ირჩევს.

დღეს, როცა რეალობა იწარმოება „მინიატურიზებული კავშირებიდან, მატრიცებიდან, მეხსიერების ბანკებიდან" (ბოდრიარი) და ის გვთავაზობს აღდგომას სიკვდილის გარეშე, წესრიგის უნივერსალურ ფორმად სწორედ ხმაური გვევლინება. ხმაური, რომელიც არ სცნობს სუბიექტს და გამორიცხავს წარმომშობს, ინტერპრეტატორს და რომლიდანაც გამოდევნილია სიჩუმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, სწორედ ხმაური წყვეტს, ვინ არის ცოცხალი და ვინ - ნაკლებად.

სწორედ ხმაურმა მოიპოვა უფლება, რომ მის გარეშე ვერ გასულიერდეს ვერც ერთი ფილოსოფიური შეკითხვა და ჩაიგდო ხელში მონოპოლია ინტერპრეტაციაზე.

ხმაური ცდილობს ცხრილებსა და რეიტინგლისტებში მოათავსოს ყველაფერი, რასაც უნივერსალური ფორმის სახით არსებობაზე აქვს პრეტენზია, ანუ ისეთ ყოფნაზე, რომელიც არ არის არაფრის ინტერპრეტაცია, თარგმანი.

ასე ქმნის ხმაური სინამდვილის სტატისტიკისგან სტატისტიკის სინამდვილეს და ფარავს, შლის და აზმობს აღმნიშვნელის გარეშე დარჩენილი საგნების ბუნებრივ ფონეტიკურ სიჩუმეს, მარტოობას, ენისადმი გამომუშავებულ გულგრილობას.

წესრიგის ეს ანიმაცია საგნებს ერთ სივრცეში განლაგების ლოგიკას კარნახობს და აგებს თანამედროვე ყოფნის მეტალიტერატურულ სიას.

მაგრამ რა იდენტობის, მითის ირგვლივ ერთიანდებიან და იკრიბებიან ისინი?

სიის კლასიკურ პოეტიკას, ჰომოგენურობას განაპირობებდა თვისება, ან აღმქმელი ცნობიერება, რომელიც წყვეტდა, თუ რომელი საგნები და მოვლენები შეძლებდნენ მის ფარგლებში თანაცხოვრებას. კლასიკური სიისთვის უმთავრესი იყო დროის ისტორია, რომელიც იცავდა მისი წარმომადგენლების იდეას.

სია ქმნის საგნების ერთად ყოფნის აუცილებლობას და ისინიც ერთი ფონის წყალობით, ერთ სივრცეში განლაგების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდებიან.

წესრიგის ასეთ უნივერსალურ ლოგიკას გვთავაზობს, მაგალითად, სარამაგუს „იესოს სახარებაში" წარმოდგენილი სია, რომლის წაკითხვის შეუძლებლობის ფაქტი, მისი წევრების სიკვდილის ერთიანობის ამაოებას უსვამს ხაზს. თითქოს, სიკვდილი, რომელიც სიის წევრებს აერთიანებს, ცდილობს მათ სიცოცხლის უფლება მოუპოვოს:

„ადრიანე - გრდემლზე დააწვინეს და უროებით დაჩეჩქვეს; აფრა აუგსბურგელი - კოცონზე დაწვეს; ალაფიტე პრენესტელი - ფეხებით დაკიდეს და დაწვეს; აგრიკოლა ბოლონიელი - ჯვარს აცვეს და დალურსმეს; აქვედა სიცილიელი - ძუძუები მოაჭრეს; ალთიგეა კანტუარინელი - ხარის ძვალი ურტყეს და მოკლეს; ანასტას სალონელი - დაახრჩვეს და თავი მოჰკვეთეს; ანასტასია სირმიელი - ძუძუები მოაჭრეს და კოცონზე დაწვეს; ანსანიუს სინიელი - შიგნეულობა ამოჰგლიჯეს; ანტონ პამიერელი - ხელ-ფეხი და თავი მოჰკვეთეს; ანატოლი როვოლიელი - ჩაქოლეს, დაწვეს; აპოლინარიუს რავენელი - ჯერ კბილები დაამტვრიეს და მერე ნელ ცეცხლზე დაწვეს; ავგუსტა ტრევიზელი - თავი მოჰკვეთეს და დაწვეს; აურა ოსიელი - წისქვილის დოლაბში დაფქვეს; აურეია სირიელი - ლურსმებიან სკამზე დასვეს და სისხლისგან დაიცალა; აუტა - ისრებით დაცხრილეს; ბიბილიუს ანტიოქიელი - თავი მოჰკვეთეს; ბაბალე ნიკომედიელი - თავი მოჰკვეთეს; ბარაბა კვიპროსელი - ჩაქოლეს და დაწვეს; ბეატრიჩე რომაელი - წისქვილში დაფქვეს; კასიანე იმოლიელს თავისმა მონაფეებმა სტილეტი გაურჭვეს; კასტულიუსი - ცოცხლად დამარხეს; კიპრიანე კართაგენელი - თავი მოჰკვეთეს; კირიუს ტარსიელი - ბავშვობაში მოკლა მოსამართლემ, თავი ფიცარნაგის კისერზე არახუნებინა; კლარიუს ნანტელი - თავი მოჰკვეთეს, კლიმენტი - ღუზას მიაბეს და დაახრჩვეს; კრისპინე და კრისპინიანი - ორივეს თავები მოჰკვეთეს; ლიონელი ქერათმიანი - ცოფიან ხარს დააფლეთინეს; ქრისტინე ბოლსანელი - აწამეს დოლაბზე, ბორბალზე, მაჯაგანებითა და ისრებით. ამ ადგილამდე რომ ჩაიკითხა, ღმერთმა თქვა: და ასე შემდეგ, სულ ერთნაირად, განსხვავება მხოლოდ წამების მცირედ და ძნელად ასახსნელ წვრილმანებშია, ძირითადად ერთი და იგივეა: თავი მოჰკვეთეს, დაწვეს, დაახრჩვეს, ველურ მხეცებს დააგლეჯინეს, შუბებზე წამოაგეს, ხმლით აჩეხეს, ჯვარს აცვეს, დაახრჩვეს, ჩაახრჩვეს, ბორბალზე გააკრეს, ხელ-ფეხი და თავი მოჰკვეთეს, ჩამოახრჩვეს, ცხენების კუდზე გამოაბეს და ნაკუწებად დაგლიჯეს, ძუძუები მოაჭრეს, ენა ამოგლიჯეს, ჩაქოლეს, ჩაქოლეს, ოღონდაც რაც უნდა გასაკვირი იყოს, ჩაქოლეს ხის ფეხსაცმლებით, თავი მოჰკვეთეს, დაწვეს, დაახრჩვეს, ველურ მხეცებს დააგლეჯინეს, შუბებზე წამოაგეს, ხმლით აჩეხეს, ჯვარს აცვეს, დაახრჩვეს, ჩაახრჩვეს, რქებზე წამოაგეს, ჯვარს აცვეს, ჯვარს აცვეს, ჯვარს აცვეს, ჯვარს აცვეს - ეგება საკმარისია? ეგ შენს თავს უნდა ჰკითხო, მიუგო იესომ და ღმერთმა განაგრძო:

სიბინიანე ასიზელი - თავი მოჰკვეთეს; სატირნინუს ტულუზელი - ცოფიან ხარებს გაათელინეს; სებასტიანი - ისრებით დაცხრილეს, სიგიზმუნდი - ჭაში ჩააგდეს; თეკლე იკონიელი - ხელ-ფეხი და თავი მოაჭრეს და დაწვეს; თეოდორე - თავი მოჰკვეთეს; ტიბურციუსი - აგრეთვე; ტიმოთე ეფესელი - ჩაქოლეს; ურბანო - ჯვარს აცვეს და კიდევ ძალიან ბევრია ასეთი, აღარ გეყოფა? არ მეყოფა, მიუგო იესომ, იმ „ძალიან ბევრს" რა დაემართა? მოითხოვ, რომ გითხრა? მოვითხოვ" (*„იესოს სახარება", მთარგმნელი მიხეილ ანთაძე*).

სიას, რომლის კითხვაც ნელ-ნელა მოსაბეზრებელი ხდება, რადგან ბადებს ისეთ შეგრძნებას, რომ მასში ერთი და იგივე მეორდება, უმრავლესობა (მათ შორის მეც) ბოლომდე არც წაიკითხავს, არადა მასში ჩვენ წინ მძიმედ სუნთქავს სიკვდილის ტოტალური სიურრეალიზმი, რომელიც მსხვერპლის ზრდასთან ერთად ესთეტიკურ ბრწყინვალებას იძენს და, ასევე, მისი (სიკვდილის ხერხების) სახისმეტყველების დაჟინებული გამეორება, რომელიც თითქოს მიცვალებულთა ღვაწლის უკვდავყოფის მიზნით სენტიმენტალური ცინიკურობით ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ სიკვდილის ამ რუტინულ ხმაურში, თითოეულ მის ბინადარს საკუთარი, უნიკალური ადგილი მოუპოვებია, რომ ის, რაც ცოცხალი ისტორიის მეხსიერებას დაუსხლტა, მის მიღმა, წმინდანთა სამუზეუმო გასტრონომიაში ერთადერთ ექსპონატად დაიდებს ბინას. სიის წევრთაგან უამრავს კი არ გაუმართლა და მათ გალეულილი სიცოცხლის სანაცვლოდ მხოლოდ „და ა. შ"-ში მოუწიათ განთავსება.

რელიგია ვალდებულიც კია სიკვდილის გამოსახულებათა მრავალფეროვანი კოლექციის თითოეულ წარმომადგენელს მიანიჭოს ძვირფასი მსხვერ-

პლის სტატუსი და მათი სულების ცივი შენაკადების შეერთებით დაგუბებული აქერონტის ზედაპირის გამჭვირვალე და გამაყრუებელ სიჩუმეს ალაგ-ალაგ არღვევდეს გარდაცვლილთა საზარელი გმინვა და სიცილი.

ეს სიკვდილის ნამდვილი, დაუსრულებელი თეოფანიაა, რომელსაც შეუძლია ერთ წერტილად შეკრას, გააერთიანოს და ამით სიცოცხლის უფლება მიანიჭოს მათ, ვისი ყოფნის შინაგანი ტექსტის ამოწურვაც უკვე დადასტურდა.

სწორედ ამ ძალით, აბსოლუტური არარსებობის უხილავი მატერიით, რომელიც სარამაგუს ერთ სხვა რომანში ხსნის მეტაფორად გვევლინება, საუკუნის მანძილზე ნაწამები სხეულები მოიპოვებენ ერთ სიმბოლოდ გაერთიანების სიცოცხლეს.

ასე, მწერალი თითქოს არ აძლევს საშუალებას ისტორიის მეტად ლიტერატურულ ხასიათს „ხრწნის სიმშვიდით" წაშალოს მათი ხსოვნის სიკვდილის სტატისტიკაში გაუჩინარებული კვალი. „და მაინც, სიკვდილის პირას მყოფი დამშეული სხეული, ნაწამები სხეული, გატეხილი ნებელობა, დაცარიელებული მზერა, ომის მასობრივი საფლავები, ცხოვრების სასაცილო, უბადრუკი და უგულებელყოფილი პირობები, გარიყულების მიტოვებულობა, მიგრანტთა უმისამართობა, ან თუნდაც ახალგაზრდის ან მოხუცის სასოწარკვეთა, ყოფნის უფლების მდუმარე ჩამორთმევა, დაჟღაბნილი სისულელე - ეს ყველაფერი არსებობს. ეს ყველაფერი არსებობს, როგორც არსებობის უარყოფა. არადა, არსებობის მიღმა არაფერი არსებობს, და არსებობა, რომელსაც უარს ეუბნებიან გაზიარებაზე, უარყოფილი არსებობაა. ეს უარი, სადაც არ უნდა ჰქონდეს მას ადგილი, მთელს არსებობას ეხება, რადგან იგი ყოფნის საზიაროობას ბღალავს. ამგვარად გვაიძულებს ეს უარი თანაგამოვცხადდეთ და პასუხი ვაგოთ მასზე, ანუ ჩვენზე" *(ჟან-ლუკ ნანსი, "La comparution)*.

მაგრამ თუ სია ქმნის საგნების ერთად ყოფნის აუცილებლობას და ისინიც ერთი ფონის წყალობით, ერთ სივრცეში განლაგების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდებიან, წესრიგის რომელ უნივერსალურ ფორმას შეუძლია ერთი იდეის შიგნით დაიტიოს საგნები, რომლებითაც გაჟღენთილია ჩვენი არსებობა?

ორთავიანი თახვები, მოსამართლე - ნარინჯისფერი ნინდებით, გმირი მამა, რომელიც მეცამეტე შვილს ელოდება, მცენარე, რომელიც კიბოს კურნავს, ადამიანი, რომელსაც ნესტოებიდან მირონი სდის, მოსიყვარულე ცოლ-ქმარი, რომელმაც თიხისგან და ბოსტნეულის ნარჩენებისგან სახლი ააგო, რეი ჰატერი, რომელიც შეუჩერებლად ლაპარაკობდა 20 საათის განმავლობაში, ინდოელი იოგი ქალბატონი, რომელიც, როგორც იქნა, აგერ უკვე 2 თვეა, ტრაკიდან მიირთმევს და პირიდან მოისაქმებს, ლევან ბერძენიშვილი, რომელმაც 2015 წელს, საერთო ჯამში, 344 საათის ხანგრძლივობის საჯარო ლექციები წაიკითხა, ახალი გვინეა, სადაც სამჯერ გათხოვილი ქალის ცოლად მოყვანა უფასოა, ლონდონის ერთ-ერთი ოჯახი, სადაც სადღესასწაულო დღეებში სატელეფონო ზარები არ წყდება, რადგან ამ ოჯახის უფროსის გვარი - ტაქსია, ქართველი ბავშვი ჟიურის წინაშე წარსდგა და რაც შემდეგ მოხდა, ყველას გაგაოცებთ, ჩვენს ქვეყანაში აღმოჩენილი უშველებელი ხმალთევზა, რომელიც სანდო წყაროს ცნობით, გუსტავ კლიმტის შორეული ბიძაშვილი გამოდგა, იაპონელი ქალიშვილები, რომლებსაც გათხოვებისას კბილებს შავად უღებავენ და წარბებს პარსავენ, ქალბატონი, რომელიც საკუთარი ჩიხუახუას ჯიშის ძაღლისგან ტყუპებს ელოდება, სანტიაგო კანისარესი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი ბანაობისას მიღებული ტრამვის გამო გამოტოვა, ოზურგეთში, ზუსტად პირველი სკოლის წინ მცხოვრები მღვდელი, რომელსაც პარასკეობით ბატონი რეზო ამაშუკელისა და ბობ დილანის სექსი ესიზმრება, კრიტიკოსი იკა ზებურიშვილი, რომელმაც ტელევიზორში სიტყვა „პრეზერვატივის" გაგონებისას ინფარქტი მიიღო, „21-ე საუკუნის სვიმონ მესვეტედ" წოდებული ჩეჩენი ქალბატონი, რომელსაც 16 საათის განმავლობაში ზედიზედ 152 ადამიანთან ჰქონდა სექსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, რომელიც სტუდენტის შვილს აძინებს, სანამ დედამისი კოლოკვიუმს წერს, ინდოელი მამაკაცი, რომელმაც კლდეში 110-მეტრიანი გზა პენისით გათხარა, ლევან დადიანი, რომელმაც საკუთარ ცოლს ღალატის გამო ცხვირი მოაჭრა, რიხარდ ვაგნერი, რომელმაც „ნიბელუნგების ბეჭედი" ერეკლე მეორეს მიუძღვნა, ბელურა-ალბინოსი, რომელიც ავსტრალიაში აღმოაჩინეს, კაცი, რომელსაც 70 წელია არაფერი უჭამია და დაულევია, გერმანელი მოდელი, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე დიდი სარძევე ჯირკვლები აქვს, ტყუპები, რომლებსაც სხვადასხვა მამა ჰყავთ, ჩემი მეგობარი ბიჭი, რომლის კატასაც თავი ძაღლი ჰგონია, ხოლო ძაღლს - კატა, მუცელში მყოფი ბავშვი, რომელიც დედის სიმღერისას ტაშს უკრავს, გონოლულუს მცხოვრები, რომელიც გინესის წიგნში მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელის ქონის გამო შევიდა, აი ისიც: "მარგალიტის მთებს შორის მდებარე ჩემი სახლის მშვენიერი არომატი ცის თვალში აირეკლება", ჩუქჩა ქალები, რომელთათვისაც ასო "რ"-ს წარმოთქმა აკრძალული იყო, ჯორჯ ვაშინგტონის სახელი, რომელიც ჰქვია 7 მთას, 8 მდინარეს, 9 ტბას და 120 ქალაქსა და სოფელს, „ქართველ ქალ პოეტთა ანთოლოგია", ჰიტლერი, რომელიც ვეგეტარიანელი იყო, ეგვიპტელი მისიონერი, რომელიც 1966 წელს ბორდოში ჩამოსხმულ კალვადოსს შარდავს, ბატონი გივი ღვინჯილია, რომელმაც წყალტუბოს მიმდებარე ტერიტორიაზე სპილო მოინადირა, ეკატერინე ტოგონიძე, რომელმაც წიგნი დაწერა, რობი უილიამსი, რომელმაც ქართველ ერს ტრაკი უჩვენა, ირლანდიელი ახალგაზრდა, რომელიც აუზში ბანაობისას უეცრად შაქრის პატარა ნატეხად იქცა და გადნა, სტიქაროსანი ლევან ქადაგიძე, რომელიც პირდაპირ გლდანის უზარმაზარი შაურმის ჭამისას ცხონდა, სინგაპურის ზოგიერთი სილამაზის სალონი, სადაც კლიენტებს პედიკიურს თევზები უკეთებენ, მერწყული, რომელიც, როგორც იქნა, პლუტონის ლიბიდოურ ზონაში შევიდა, ღვაწლმოსილი ქართველი მწერალი, რომელსაც, როგორც მწერალთა კავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური იუწყება, უეცრად, ლექსის წერისას ობი მოეკიდა, საკმაოდ სარწმუნო მტკიცებულება, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მიხედვითაც, კარლსონი წარმოშობით სურამელი იყო, ტელეკომპანია „გრუპავოი", რომლის ინფორმაციითაც, გლდანის აღმოსავლეთ რეგიონში ცაზე ღრუბლებით გიორგი მაისურაძე, ელტონ ჯონი და ცირა ბარბაქაძე ერთ ჰიპოსტაზად გამოისახნენ.

სწორედ ასე, ხმაური გვევლინება სინტაქსურ კატეგორიად და ერთადერთ შესაძლებლობად, სიტყვები ერთმანეთს დაუკავშირდნენ. მათი შეხვედრის პოეზიის რუკას უკვე გრამატიკული ცხრილები და მოვლენების განლაგების ლოგიკა კი აღარ ხატავს, არამედ ხმაურის წესრიგი. თითქოს ამ სიის საშინელების, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, წევრებს ის იდეა აერთიანებთ, რომ მათი გაერთიანება შეუძლებელია.

მოვუსმინოთ ფუკოს: „ცნობილია, რაოდენ გაოცებას იწვევს უკიდურესობათა სიახლოვე, ანდა სრულიად უბრალო, უნებლიე მეზობლობა ისეთი საგნების, რომელთაც არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან; ენციკლოპედიაში მოცემული თავად ჩამონათვალიც კი, რომელიც უამრავ საგანს ერთად უყრის თავს - თითქოს ერთმანეთს „აჯახებს", - მაგიურ ძალას ფლობს. „მე მშიერი აღარ ვარ", - ამბობს ესთენე. - მთელი დღის განმავლობაში ჩემი ნერწყვის საფარქვეშ უსაფრთხოდ იქნებიან: Aspics, Amphisbenes, Anerudutes, Abedessimons, Alarthraz, Ammobates, Apinaos, Alatrabans, Aractes, Asterions, Alcharates, Arges, Aaraines, Ascalabes, Attelabes, Ascalabotes, Aemorroides..." მაგრამ ყველა ეს ჭია და გველი, აყროლებული და საფლობი ტლაპოს ყველა ეს მკვიდრი ესთენეს ნერწყვში მათ სახელწოდებათა მარცვლების მსგავსად ფუთფუთებს. სწორედ ეს ნერწყვი იქცევა მათ საერთო ადგილსამყოფლად ისევე, როგორც საოპერაციო მაგიდა შეიძლება იქცეს ქოლგისა და საკერავი მანქანის საერთო ადგილად; ამ ჩამონათვალში მათი შეხვედრის უცნაურობა თუ ელინდება, ეს ამ და-ს, ამ ში-ს, ამ ზე-ს წყალობითაა, რომელთა სიმყარე და სიცხადე უზრუნველყოფს ერთმანეთთან კავშირის უქონელი განლაგების შესაძლებლობას. ცხადია, წარმოუდგენელია, რომ ჰემოროიდები, ობობები და ამობატები ერთ მშვენიერ დღეს ესთენეს კბილებქვეშ ერთმანეთში არეულიყვნენ და, ბოლოს და ბოლოს, ამ სტუმართმოყვარე და გაუმაძღარ ხახაში მათ მართლაც შეძლებოდათ თანაარსებობა ერთი სახის წიაღში".

თუ წესრიგის ერთ, დაუშლელ იდეად გამოცხადების მიდრეკილება უკვე თავად საგნებში აღარ არის მეტაფიზიკურად კოდირებული და ის ჩნდება მათ შორის ისევე, როგორც სიტყვათა შორის რელაციური, სინტაქსური კავშირები, ნათელი ხდება, საიდან იღებს სათავეს ლიტერატურაში ის ტოტალური აგრაფია (გავიხსენოთ ახალი რომანის კიდევ ერთი წარმომადგენლის, მიშელ ბიუტორის პერსონაჟი ჟაკ რეველი, რომელიც „დროის განრიგში" ვერაფრით ახერხებს ისტორიის მოყოლას), როცა „სიტყვის თავზე აღარ ირწევა საგნების ჯოჯოხეთური ტვირთი" (ბარტი).

მაგრამ როგორ უნდა გაირღვეს ენის მანეკენის მიერ შექმნილი ის მოჯადოებული წრე, რომელიც ადამიანებს ერთნაირად ალაპარაკებს? „კლასიკური მეტყველების რელაციური ბუნება ხომ იმით ვლინდება, რომ თვით სიტყვები მეორე [illegible] დადიან, პირველს კი მათი წრფივი მოწესრიგებულობა იკავებს; ერთი და იმავე მარადიულ ურთიერთობათა მჭიდრო კონტაქტით გაცვეთილი კლასიკური ენის სიტყვები იმისკენ ისწრაფვიან, რომ რაიმე ალგებრული სისტემის ელემენტებად გადაიქცნენ: რიტორიკული ფიგურა და კლიშე კავშირის პოტენციური ინსტრუმენტებია: ისინი კარგავენ საკუთარ სიმკვრივეს, რათა სამეტყველო თანმიმდევრობაში უფრო მყარი ადგილი დაიკავონ; ქიმიური ელემენტების მსგავსად, ისინი ფლობენ ვალენტობის თვისებას და ქმნიან ენობრივ სივრცეს, რომელიც სავსეა სიმეტრიული კავშირით, გადაკვეთითა და ნასკვებით" (ბარტი)...

ამ ჩიხიდან, რომელიც თითქმის შეუძლებელს ხდის ნებისმიერი სამეტყველო აქტი აღვიქვათ, როგორც უკვე გამოთქმული აზრის კოფიერების განსხვავებული ფორმა, თავის დასაღწევად ბარტმა იპოვა გზა. ის თვლის: იმისათვის, რომ ენის გრამატიკა საგანთა გრამატიკას დაუსხლტეს და

რეალობის გამეორებით ინფიცირებული მეტყველება არ დამორჩილდეს სინტაქსის მიერ შემოთავაზებულ მყარ, თითქმის სიმბოლოებად ქცეულ შესიტყვებებს, საჭიროა ის იქცეს ისეთივე ლიტერატურად, რომელშიც გრამატიკა იძენს პროსოდიულ უნარებს ისევე, როგორც ეს ლია სტურუას ბოლო კრებულში („მგლის საათი) დაბეჭდილ უამრავ ლექსთაგან ერთ-ერთშია („გვიანი შოუ"):

ღამე, როცა განსაკუთრებით
გეშინია საწოლისა და ენდობი ტელევიზორს,
რომელსაც ინტელექტუალური გადახრა ეწყება:
შოუმენი (ათასსანთლიანი ნათურა შუბლზე)
პროფესორების ჯგუფს (წარმოუდგენელი ვოლტაჟი)
ეკითხება: - შეიძლება ადამიანს აზროვნება
ასწავლო?
პროფესორებს თავში კომპასები აქვთ,
შეთავსებით რადიო, დილის 8 საათზე
ჰიმნსაც კი ასრულებს: „ვივა აკადემია!
ვივა პროფესორე!"
რა შუაშია ლენინი?
ისარი გაურკვეველ მიმართულებას უჩვენებს -
უფრო სახეებისკენ თავისთავად,
კითხვის ნიშანს რომელ ნახვრეტში ჩაუტენი?
ღმერთმა თუ ააშენა, ისედაც,
კონსტრუქციაში ჩააყოლებდა,
თუ არისტოტელემ გამოაგდო თავიდან,
ინსტინქტებს შეკრებენ და აზრს გამოაგდებენ,
ბუნებისგან აიღებენ მაგალითს,
ოქროსფერი საყვირებიდანაც რომ
დამჭკნარი თირკმელები ცვივა,
ლობიოს მარცვლებივით,
დიალიზით გაუგრძელებენ ჰარმონიას,
რომ სხვა მუსიკაში გადავიდეს, ინფარქტებიანში,
როცა ტანი საწოლიანად გტკივა,
რაც რითმისთვის უხერხულია,
ამიტომ ნათურები, კომპასები, რადიოები,
საგნები თავისთავად! უმნეობა მათ წინაშე,
მაგრამ დროის რომელიღაც ნახვრეტიდან
რუშების გახამებული აპოკალიფსი,
რომელიც სულ სხვა მუსიკასთან მიდის.

სხვა ლექსთანაც! (თავისუფალთან?)
რასაც მიხვდები ამის შესახებ, იტყვი,
ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე.

ხოლო, იმისთვის, რომ ლიტერატურამ შეინარჩუნოს ის დეკორაციის მეტაფიზიკა და განცდის არითმია, რომელიც მას ენის ცნობიერების სხვა გამოვლინებებისგან დისკურსულად გამოარჩევს, საჭიროა ისეთი დაჟინებული ლინგვისტური პროტესტი, როცა, რითმები უარს იტყვიან იყვნენ სინტაქსის რუტინული დეტერმინიზმის მსხვერპლნი და შემოგვთავაზებენ უკომპრომისო ამბოხს მეტყველების ბგერწერული განსაზღვრულობის მიერ გამოთვლილი ფსევდო-ჰარმონიის დასამხობად:

რაღაც ფილმი გადიოდა,
თუ არ ვცდები - ვისკონტი,
მაგრამ თავი ისე მქონდა!
ფილმის თავი ვის ჰქონდა!
თოფი გქონდეს! - ალბათ, ეკრანს
და მის მკვლელებს ესროდი!
ყველა ერთი ნაგავია -
ის როლი და ეს როლი!
არც ჩაპლინზე ფიქრობ ახლა
და არც რენე კლერზე!
კაი გოგო კი ხარ, მარა
ფიქრობ მხოლოდ ლუდზე!
ვისკი მაინც რაღად გინდა -
მთვრალი თუ ხარ უვისკოდაც!
აზრიც ვერ გამოიტანე -
ფილმის თავი ვის ჰქონდა!
არც კრწანისზე ფიქრობ ახლა
და არც ერეკლეზე!
კაი გოგო კი ხარ, მარა
ფიქრობ მხოლოდ ლუდზე!

ასე გამოდის ტარიელ ჭანტურია ენის და რიტორიკული ფიგურების მიერ მონოპოლიზებული სინტაქსის წინააღმდეგ, ხოლო ლია სტურუა სიტყვებს ათავისუფლებს კონტექსტით განსაზღვრული მნიშვნელობისგან და მათ სემანტიკური მოქმედების ენციკლოპედიურ სივრცეს უქმნის - ერთიანად ფლობდნენ უკლებლივ ყველა მნიშვნელობას მაშინ, როდესაც რელაციურობიით დამთრგუნველი სინტაქსური კავშირები ბევრ თანამედროვე ავტორს აიძულებს სიტყვის მხოლოდ ერთ მნიშვნელობაზე გააკეთოს არჩევანი. ლია სტურუას პოეტიკის და ესთეტიკის მთავარი ნიშანი სწორედ ის არის, რომ სიტყვები ერთმანეთს უკავშირდებიან „უნებლიე მეხსიერების" წყალობით და ამიტომ მათ ფიგურებად გადაქცევის, სრულყოფილი რეფერენციის უნარი აქვთ.

## „ველინები" და დუმილი

როგორ უნდა დაბრუნდნენ საგნები სიტყვებში მაშინ, როცა კიჩლიტერატურის ტოტალიზების პროცესი აბსოლუტურ ნიშნულს მიუახლოვდა და როცა მედიის, სოციალური ქსელის მიერ შექმნილმა ხმაურის ყოვლისმომცველმა მითმა საგნებს ენის საკრალური სული ამოხადა და მისი მატერიის ნარჩენებისგან, ნამსხვრევებისგან შეკოწიწებულ უსიცოცხლო სკულპტურებად აქცია?

აი, აქ კი, ჩემო მეგობარო, ლიტერატურა საკუთარ თავზე იღებს მძიმე ტვირთს და ვალდებულებას - ჩაიკეტოს დუმილში და ყური უგდოს მეტყველების მუნჯ ნაწილს. აი, ისე, როგორც მან ეს შენს ერთ-ერთ ლექსში მოახერხა:

ამ ლექსს შენი თმის ფერსაც ვერ გავუმხელ
და იძულებული ვარ მეტაფორები მოვიფიქრო
ამ საშინელ რეალობაში.
უსულო საგანთა თვისებები აქ არ გამომადგება,
ჯერ ისედაც როგორი შეზღუდული ვარ:
ქვა, ხე, სახლი, ზეცა -
ამათ ვერ სცდება ჩემი ობიანი ენა
და მილიარდ მნიშვნელობას შორის
მხოლოდ შემჩნეულებს იყვარებს
და თანაც, უსულო რაცაა
შენ საერთოდ არ შეგეფერება.
სულიერ საგანთა თვისებებიც დიდად არ
გამომადგება,
აქაც ასეა:
ბელურა ჩიტი, თოვლის ქალი,
სახელი ისტორიიდან, ან რომანიდან,
გვარიც შესაძლებელია,
ამათ სინათლეს და სიცხადეს შენზე ვერ
გადმოვიტან,
ფრაზის ელვარებისთვის ჩრდილად ვერ გამოგიყენებ
არადა, როგორლაც ხომ უნდა აღინიშნო,
ვიფიქრე პირიქით უფრო შეიძლება
შენი თვისებები სხვებს გავუნაწილო.
და ვწერ სახლებზეც, ჩიტებზეც, ათას სისულელეზეც
სიყვარულით იცვლება კონტექსტი
და ჩიტი ჩიტი არაა
და სახლი სახლი არაა
არც სისულელე გამოდის სისულელე.



აქ შეიძლება ყოფილიყო
თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

